საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№17 (393)
10 – 16 მაისი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



**გულითადად გილოცავთ დიდ სამამულო ომში გამარჯვების 72 წლისთავს!**

2

# ევას ვაშლი და ბიძინას ვერცხლი





შოთა ბუაძე:

**39 შეღავათით ვსარგებლობდით, ყველაფერი წაიღეს, წაგვართვეს, დაგვამცირეს**

**ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება** 10

ტარას იჩქიტიძე:

**აღარც მინდა, სადმე ჯილდოებით გამოვჩნდე... იყო დრო, როდესაც საცემადაც იწევდნენ. დღეს ასე აღარ არის, მაგრამ...**



## ადოლფ ჰიტლერი და სტალინიზმის სხვა მსხვერპლნი 9

სოსო ცინცაძე: 5

**აფხაზებსა და ქართველებს შორის არა შერიგების, არამედ გაუცხოების პროცესი მიმდინარეობს. მათ მხოლოდ ის იციან, რომ საქართველოში შიმშილი და უმუშევრობაა**





3 **დიდი ხანია, შესცქერის მაღლა ვაშლს ცელქი... ჯეჯელავა**

## საქართველო – აშშ-ის პაიკი რუსეთის წინააღმდეგ 4



**რატომ ცდილობდნენ კიევში ხალხთა მეგობრობის თაღის ლგბტ-თა ფერებში გადაღებვას** 6



3 **უჩა ნანუაშვილი – ივანიშვილის კიდევ ერთი შეცდომა**

**«კვირიკაშვილის მოულოდნელი გამოძახება ვაშინგტონში შტატების მიერ საქართველოს მეშვეობით რუსეთის პროვოცირების მორიგი რაუნდის დაწყებას მოასწავებს»** 5

**«პაპათა ვაჟკაც თაობას გამარჯვებისთვის მადლობა!»** 8

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ივანიშვილის ჰიბრიდული რეჟიმი მიზანს ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით აღწევს — ერთი მხრივ, ის ცდილობს, ავანსცენაზე დისკუსიის ის მონაწილეები გამოიყვანოს, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია, და ამით პრობლემის მიმართ ინტერესი შეამციროს; მეორე მხრივ კი, წინა პლანზე წამოწიოს ტაქტიკური მნიშვნელობის საკითხები, რათა მისთვის მნიშვნელოვანი უპრობლემოდ გაიტანოს.**

# ევას ვაშლი და ბიძინას ვერცხლი

## რისთვის სჭირდება ივანიშვილს სააკაშვილის რეჟიმის ერთგული მსახურები, რომლებიც «საოცნებო ხელისუფლებაში» გადაბარგდნენ? პასუხი ძალიან მარტივია: მათი მართვა გაცილებით იოლია

**ჰიბრიდული რეჟიმი, კლასიკური ავტორიტარულისგან განსხვავებით, იძულებულია, დემოკრატიული პოლიტიკური პროცესისა და მუდმივი საზოგადოებრივი დისკუსიის იმიტაცია უზრუნველყოს. ამ საკითხის განხილვისას შეიძლება ძალიან სწრაფად მივიდეთ დასკვნამდე, რომ საქართველო არა დემოკრატიისკენ, არამედ საპირისპირო მიმართულებით მიდის.**

გასულ კვირას, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა ხათუნა გოგორიშვილმა, რომელსაც იმ ლეგენდარული როლის გამო, რომელიც ქართული დემოკრატიის ისტორიაში შეასრულა, ხშირად „გაყალბების დედოფალს“ უწოდებენ, განაცხადა: „ჩემთვის მიუღებელი იყო ის გამოსვლები, რომ თურმე ცენზურის დაწესებაზე უნდა ვიმსჯელოთ“ (ინტერპრესნიუსი). საუბარი ეხებოდა ევა გოცირიძის ინიციატივას, რომელიც მოსამართლეთა შეურაცხყოფისთვის გარკვეული სანქციების დაწესებას ითვალისწინებს. დემოკრატიული საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება ევა გოცირიძის მიმართ იმდენად ნეგატიურია, რომ მას, პრინციპში, შეიძლება ქართული იუსტიციის თვითმავალი კოშმარიც კი ეწოდოს, თუმცა ახლა მეტაფორების განვრცობის დრო არ არის — მნიშვნელოვანია სულ სხვა რამ.

**ჩვენ ვხედავთ მცირე ეპიზოდს, რომელშიც ერთმანეთს არცთუ უმნიშვნელო თემაზე ორი მხარე უპირისპირდება, მაგრამ აშკარაა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დებატებში ჩართვას არ მოისურვებს, რადგან ორივე ზემოთ ნახსენები პერსონა მისთვის მიუღებელია.** იგივე შეიძლება ითქვას კონსტიტუციის განხილვის პროცესზე, სადაც ერთ მხარეს დგას საპარლამენტო უმრავლესობა კონსტიტუციის გაუპატიურების პროექტით, მეორე მხარეს კი — მოძრაობა „დაიცავი კონსტიტუცია“, რომელიც სასწრაფო წესით ნაციონალებმა და მათმა სატელიტებმა შექმნეს, აგრეთვე, პრეზიდენტი მარგველაშვილი თავისი დაუკმაყოფილებელი ამბიციებით. საქართველოს ბევრ მოქალაქეს თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას კონსტიტუციის განხილვაში მონაწილეობის მიღება და კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა უნდა, მაგრამ არ სურს ასოცირება ზემოთ ნახსენებ ძალებთან, რომლებიც ავანსცენას იკავებენ და თავისი ხმაურით ნებისმიერ განსხვავებულ მოსაზრებას ახშობენ. ხელისუფლებამ თვითონ აირჩია მთავარი ოპონენტი, თანაც ისეთი, რომელსაც, როგორც კეთროვანს, სხვები არ ეკარებიან, და მასთან ემოციური დისკუსიას მართავს. თუმცა იმიტაციის პროცესი ამით როდი შემოიფარგლება, გაცილებით მნიშვნელოვანია არსებითი საკითხების ჩანაცვლება მეორეხარისხოვანით.

კიდევ ერთხელ შევეხოთ გოცირიძის ინიციტივას, რომელიც ძალიან ჰგავს საგანგებოდ შემოგდებულ განხეთქილების ვაშლს (გარკვეული თვალსაზრისით, ის ცდუნების ვაშლიცაა) — მან მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი ნაწილის ცალსახად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რადგან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს უკავშირდება. იუსტიციის საბჭო ჯიუტად არ იხევს უკან და თანმდევი კომენტარებით ცეცხლზე ნავთს ახამს. ამის გამო მეორე მხარე კიდევ უფრო ღიზიანდება და ამ დროს თითქმის არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ყოველივე ეს არის დამაბნეველი მანევრი, უხეშად რომ ვთქვათ, „ბოლი“ ან, ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანებს თუ დავესესხებით, „ოპერაცია პრიკრიტია“.

ხმაური გოცირიძის ინიციატივის გარშემო ატყდა, რომელიც, 99%-იანი ალბათობით, მალევე ყველას დაავიწყდება, რადგან ხელისუფლება ჯერ იმდენად არ გაგიჟებულა, რომ გამოხატვის თავისუფლების აშკარა შეზღუდვაზე წავიდეს (თუ უკვე გაგიჟდა, მალე ვნახავთ). ამასობაში საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტს, რომელიც სასამართლო ხელისუფლების მდგომარეობაზე გავლენას ათწლეულების განმავლობაში მოახდენს, ყურადღებას თითქმის არავინ აქცევს. პროექტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების პარლამენტისთვის წარდგენის უფლება ჩამოერთმევა პრეზიდენტს და იუსტიციის საბჭოს გადაეცემა (ადრე გათვალისწინებული იყო არჩევა „არანაკლებ 10 წლის ვადით“, ახლა უვადო იქნება). ძველი სისტემა ნამდვილად არ იყო იდეალური და ამაზე ვენეციის კომისიაც მიუთითებდა. ამას დაემატა პრეზიდენტისთვის უფლებების ჩამორთმევის მორიგი ტალღა და შესაბამისი შედეგი მივიღეთ. მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ საუბარია იმ იუსტიციის საბჭოზე, რომლის მდივანი **ლევან მურუსიძეა**, რომელმაც გირგვლიანის (და არაერთ სხვა) საქმეში საბედისწერო როლი შეასრულა; საუბარია იმ საბჭოზე, რომელიც გულმოდგინედ იცავს სააკაშვილისა და ადეიშვილის „ზონდერ-მოსამართლეების“ ინტერესებს. მისთვის თუნდაც მცირე დამატებითი უფლების მინიჭება, ალბათ, გაცილებით საშიშია, ვიდრე ძველი არასრულყოფილი წესის შენარჩუნება.

ფრიად სადავოა ახალი ნორმა, რომელიც მოსამართლეებისთვის გამოსაცდელი ვადის დაწესებას ეხება. ის, დიდი ალბათობით, მნიშვნელოვნად გაუიოლებს ხელისუფლებას მოსამართლეების მართვის პროცესს — ნებისმიერ შემთხვევაში, სასურველია, დებატები ამ საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე გაიმართოს. საკამათოა იუსტიციის საბჭოს წევრების და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების არჩევის წესიც და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნიუანსი, მაგრამ ძირითად ადგილს საზოგადოების ცნობიერებაში იკავებს იმიტაციური ხასიათის დისკუსია ევა გოცირიძის უცნაურ იდეებზე, რომელიც, სავარაუდოდ, დემოკრატიული საზოგადოების სიმბოლური გამარჯვებით დაგვირგვინდება. ამასობაში, საკონსტიტუციო ცვლილებები უპრობლემოდ გავა და ეს საბოლოოდ განამტკიცებს სტრატეგიულ ალიანსს ახალ ხელისუფლებასა და სააკაშვილადეიშვილის მოსამართლეთა კორპორაციას შორის, რომლის მთავარი პრინციპი, ალბათ, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: „მორჩილება ძველი ცოდვების დავიწყების სანაცვლოდ“.

**ივანიშვილის ჰიბრიდული რეჟიმი მიზანს ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით აღწევს — ერთი მხრივ, ის ცდილობს, ავანსცენაზე დისკუსიის ის მონაწილეები გამოიყვანოს, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია, და ამით პრობლემის მიმართ ინტერესი შეამციროს; მეორე მხრივ კი, წინა პლანზე წამოწიოს ტაქტიკური მნიშვნელობის საკითხები, რათა მისთვის მნიშვნელოვანი უპრობლემოდ გაიტანოს.**

მსგავსი მანევრები, სავარაუდოდ, იმიტომ სჭირდება, რომ, ძველი ტიპის დიქტატურებისგან განსხვავებით, თანამედროვე ჰიბრიდულ რეჟიმებს ჭარბი ძალის გამოყენების შესაძლებლობა არ აქვს. ეს, სხვათა შორის, არ ესმოდა სააკაშვილს და ხელისუფლება სწორედ ამიტომ დაკარგა. **ახალი რეჟიმი კი მართავს ფსევდოდემოკრატიულ კარნავალს, რომელიც აბნევს საზოგადოებას და ხელს აპათიის გავრცელებას უწყობს.**

კიდევ ერთი საგულისხმო ეპიზოდი — ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატი **ვანო ზარდიაშვილი** (სააკაშვილის მმართველობის წლებში ადეიშვილის ხელქვეითი; ყოფილმა თანამშრომლებმა თავის დროზე დაადანაშაულეს იმაში, რომ მანდატურებს ოპოზიციის დასარბევად ამზადებდა, სასამართლოში მოსასმენ აპარატურას ამონტაჟებდა და ა.შ.) სახალხო დამცველს დაუპირისპირდა და განაცხადა, რომ ნანუაშვილი ჩაბმულია სასამართლო სისტემის მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში. „ბატონო უჩა, რელსებს აცდით, ხომ ხვდებით“, — განაცხადა ზარდიაშვილმა. იყო ასეთი რეპლიკაც: „აბსოლუტურად სხვა ბოსტანში გადახვედით და იქიდან აფასებთ სიტუაციას“. **დღესდღეობით ძნელი დასადგენია, კონკრეტულად რომელ ბოსტანში ეუფლებოდა ვანო ზარდიაშვილი რიტორიკის ხელოვნებას, თუმცა, მიუხედავად იმისა, როგორ ვაფასებთ უჩა ნანუაშვილის საქმიანობას ომბუდსმენის პოსტზე, ფაქტია, რომ სააკაშვილის მმართველობის წლებში მას ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ძალიან ბევრი კარგი რამ აქვს გაკეთებული. რაც შეეხება ზარდიაშვილს საკმაოდ ბევრი ადამიანი (ეს სოციალურ ქსელებშიც კარგად ჩანს) მას, უბრალოდ, „ზონდერს“ უწოდებს და დაახლოებით ისე ახასიათებს, როგორც ლევან მურუსიძეს.**

წამით წარმოვიდგინოთ, რომ დროის მანქანა არსებობს და ივანიშვილის მხარდამჭერებს 2012 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე ეს ჩანაწერი უჩვენეს: „ქართული ოცნების“ დეპუტატი ვანო ზარდიაშვილი უჩა ნანუაშვილს რელსებსა და ბოსტანზე ესაუბრება. პლუს ამას ლევან მურუსიძის მოკლე ინტერვიუ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე. რამდენ ხმას მიიღებდა ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“?

დღეს ხშირად ისმის კითხვა: **რისთვის სჭირდება ივანიშვილს სააკაშვილის რეჟიმის ერთგული მსახურები, რომლებიც „საოცნებო ხელისუფლებაში“ გადაბარგდნენ?**

პასუხი ძალიან მარტივია — მათი მართვა გაცილებით იოლია. ამ ფაქტის და მისი ცინიკური ქვეტექსტის გააზრება „2012 წლის ოპოზიციონერებს“ საშინელ აპათიაში აგდებს, ეს კი ხელისუფლებისთვის საკმაოდ მომგებიანია. ძველ ტოტალიტარულ რეჟიმებს მასების მოტივირება და მათი ენერგიის მობილიზება სჭირდებოდათ. მათგან განსხვავებით, **თანამედროვე ჰიბრიდული, ფსევდოდემოკრატიული რეჟიმებისთვის ერთ-ერთი მთავარი რესურსი ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აპათიაა.**

არსებობს საზოგადოების მცირე ნაწილი, რომელიც ხედავს (ან თუნდაც გრძნობს) ახალი სისტემის უსამართლობას და, ასე თუ ისე, აცნობიერებს, რა მიზნებს ისახავს ხელისუფლება, მაგრამ, ვინაიდან ქართველებს თვითორგანიზებასთან და ლიდერობისთვის ბრძოლასთან ტრადიციული პრობლემები გვაქვს, ვერ ხერხდება საკმარისად მძლავრი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების ფორმირება, რომლებიც აიძულებენ მთავრობას, მოუსმინოს მათ და რომლებიც ამოაყირავებენ დღევანდელ იმიტაციურ პოლიტიკას თავისი ფსევდო-დისკუსიებით. ძველ პარტიებს არც ამის შნო და არც სურვილი აქვთ; ისინი უკვე სისტემის ნაწილს წარმოადგენენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი რიგითი წევრებისა თუ მხარდამჭერების ნაწილი ამას ვერ აცნობიერებს. რაოდენ ბანალურად უნდა გაიჟღეროს, **ერთადერთი გამოსავალი ისევ და ისევ სამოქალაქო აქტიურობაა, უსამართლობასთან ბრძოლაზე ორიენტირებული მცირე ჯგუფების შექმნა, რომლებმაც შემდგომ შეიძლება კოალიციები ჩამოაყალიბონ. რეალურად ეს ნოლიდან დაწყებაა და ხანგრძლივ პერსპექტივაზე ორიენტირებული პროცესი, მაგრამ სამართლიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისკენ მიმავალი სხვა გზა, ალბათ, მაინც არ არსებობს, ხელისუფლების წესებით თამაში კი ზარდიაშვილის რელსებით მურუსიძის ბოსტანში მიგვიყვანს.**



ეს კაცი, განათლების მინისტრი და ვიცეპრემიერი, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ხანია, შესცქერის ფოთლებში მოელვარე სისხლივით წითელ ვაშლს, ლაპარაკობს თითქმის ყველაფერზე — კომბლეზე, მეცხვარეზე, თამადაზე, ჭირზე, ლხინზე, ქატოზე, ფქვილზე, „გუგლზე“, ჭიანჭველაზე — განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა და მათი გამოსწორების გზების გარდა.

ქრონიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უჩა ნანუაშვილი — ივანიშვილის კიდევ ერთი შეცდომა



**საქართველოს ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლიდან თითქმის 5 წელი გავიდა და აშკარად ჩანს, რომ ამ პოლიტიკური ძალის მიერ დაშვებული შეცდომები და ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება განპირობებულია ბიძინა ივანიშვილის საკადრო შეცდომებით — საქართველოს მთავრობასა თუ საკანონმდებლო ორგანოში ბევრია, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური პირი, ზოგიერთი კი ანტისახელისუფლო, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებით გამოირჩევა.**

ბიძინა ივანიშვილმა პირველი საკადრო შეცდომა 2012 წელს დაუშვა, როდესაც თანამშრომლობა დაიწყო თითქმის ნულოვანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკურ პარტიასთან, რომლის წარმომადგენლებიც შემდგეგ საკვანძო პოსტებზე დანიშნა: **დავით უსუფაშვილი** — პარლამენტის თავმჯდომარედ, მისი მეუღლე **თინა ხიდაშელი** — თავდაცვის მინისტრად (თუმცა, ხიდაშელის დანიშვნა აშშ-ის ელჩის, რიჩარდ ნორლანდის, რჩევით მოხდა) და ა.შ.

შემდეგი შეცდომა **ირაკლი ალასანიასა** და მის პარტია „თავისუფალ დემოკრატებთან“ თანამშრომლობა იყო. ირაკლი ალასანია თავდაცვის მინისტრად დანიშნა, მისი ცოლისდა **მაია ფანჯიკიძე** კი — საგარეო საქმეთა მინისტრად. მოგვიანებით გაირკვა, რომ ირაკლი ალასანია და მაია ფანჯიკიძე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისთვის მიუღებელნი იყვნენ. შემდეგი იყო საქართველოს მოსახლეობისთვის თავსმოხვეული, ივანიშვილის ხათრით არჩეული პრეზიდენტი, მდიდარი სექსის მქონე, „ქსლის მბეჭველი“ **გიორგი მარგველაშვილი**, რომელიც მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებზე ვეტოს დადებით არის დაკავებული და ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებს. შემდეგია თბილისის მერი **დავით ნარმანია**, რომელსაც დედაქალაქელთა არანაირი პატივისცემა არ აქვს.

ივანიშვილის საკადრო შეცდომების სიაშია სახალხო დამცველი **უჩა ნანუაშვილიც**, რომელიც პოსტზე 2012 წლის დეკემბერში აირჩიეს და მას შემდეგ მხოლოდ სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვით არის დაკავებული, ნორმალური ადამიანების ინტერესებს კი აინუნშიც არ აგდებს. უჩა ნანუაშვილისთვის ხალხი შემოიფარგლება მხოლოდ ე.წ. უმცირესობით და ხალხად საერთოდ არ მიიჩნევს უმრავლესობას. შეგახსენებთ, რომ უჩა ნანუაშვილი პირველი იყო, ვინც სასულიერო პირების დასჯა (დაპატიმრება) მოითხოვა 2013 წლის 17 მაისს რუსთაველზე განვითარებული მოვლენების გამო, როდესაც გეები და ლესბოსელების ერთი ნაწილი სპექტაკლის გამართვას აპირებდა, ხოლო მეორე ნაწილი — ტაძარში დასვენებული სიწმინდეების შებღალვას; თანაც, მღვდელმსახურთა დასჯაზე ლაპარაკობდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევით. ეს ის სახალხო დამცველია, რომელსაც თვითონ უჩივიან თანამშრომლები თავიანთი უფლებების დარღვევისთვის და უგებენ კიდეც სასამართლო პროცესს — 2016 წელს უჩა ნანუაშვილს სასამართლომ სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის სამსახურში აღდგენა დაავალა. ამასთანავე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნანუაშვილს კიდევ არაერთი თანამშრომელი უჩივის, ჩანს, მათი უმეტესობა არაკანონიერი მიზეზით არის სამსახურიდან დათხოვნილი. ტრაგედიაა, როდესაც ადამიანი, რომელსაც, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულებმა დაცვა უნდა სთხოვონ, თვითონ, როგორც გაუხარდება, ისე აგდებს სამსახურიდან თანამშრომლებს, თუმცა თავისი მოადგილისთვის ძვირად ღირებული მანქანის შეძენაზე უარს არ ამბობს, არც საკუთარი პერსონისთვის პრემიებისა და დანამატების გამოწერაზე. ვებგვერდ gurianews.com-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად:

**„უჩა ნანუაშვილმა 2016 წლის განმავლობაში, ჯამში, 11 800 ლარის პრემია და დანამატი მიიღო, აქედან 7000 ლარის პრემია — ერთჯერადად მხოლოდ 2016 წლის დეკემბერში. სახალხო დამცველის თვიური ხელფასი 7000 ლარია, ანუ წლის განმავლობაში, ჯამში, 84 000 ლარი ხელფასად აქვს მიღებული. მისმა შემოსავალმა კი შარშან პრემია-დანამატებითა და ხელფასით 95 800 ლარი შეადგინა. საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილეების პრემია-დანამატებმა 2016 წელს, ჯამში, 26 200 ლარი შეადგინა.**

საქართველოს სახალხო დამცველის მივლინებებზე 2016 წელს, საერთო ჯამში, 22 362.96 ლარი დაიხარჯა. უჩა ნანუაშვილი 2016 წელს იმყოფებოდა ავსტრიაში, უნგრეთში, ტაილანდის სამეფოში, გერმანიაში, საფრანგეთში, 2017 წლის მარტში — შვეიცარიაში“.

ამასთანავე, 2014-2016 წლებში **ომბუდსმენის აპარატმა ავტომანქანების შესაძენად, ჯამში, 416 250 ლარი დახარჯა.**

**აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4,8 მლნ ლარია გამოყოფილი და ეს თანხა, ძირითადად, სექსუალური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას ხმარდება.**

აი ასეთია ივანიშვილის „ქართული ოცნების“ მიერ 2012 წელს სახალხო დამცველად არჩეული უჩა ნანუაშვილის „მოღვაწეობის“ შედეგები.

**ლუკა მაისურაძე**

**«უჩა ნანუაშვილმა 2016 წლის განმავლობაში, ჯამში, 11 800 ლარის პრემია და დანამატი მიიღო, აქედან 7000 ლარის პრემია — ერთჯერადად მხოლოდ 2016 წლის დეკემბერში. სახალხო დამცველის თვიური ხელფასი 7000 ლარია, ანუ წლის განმავლობაში, ჯამში, 84 000 ლარი ხელფასად აქვს მიღებული. მისმა შემოსავალმა კი შარშან პრემია-დანამატებითა და ხელფასით 95 800 ლარი შეადგინა»**



# დიდი ხანია, შესცქერის მაღლა ვაშლს ცელქი... ჯეჯელავა

**კაცობრიობის ისტორიაში ვაშლს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და, როგორც ჩანს, ახლაც არ დაუკარგავს. ბიბლიის მიხედვით, ევამ და ადამმა სწორედ ვაშლის შეჭმის შემდეგ ჩაიდინეს ცოდვა და ამის გამო ისინი ღმერთმა სამოთხიდან გააძევა; ვაშლი, ე.წ. განხეთქილების ვაშლი იყო ტროას ომის საბაბი; ვაშლის თავში დაცემა დაეხმარა ისააკ ნიუტონს მიზიდულობის კანონის აღმოჩენაში... უცნობია, რა დაეცა თავში საქართველოს განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას, რომელმაც მინისტრობა ქართულ ზღაპრებსა და ლექსებთან ბრძოლით დაიწყო, მაგრამ რამდენიმე დღის წინათ მან კიდევ ერთხელ გაამხიარულა ქართველი საზოგადოება თავისი ორიგინალური იდეით.**



**„სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ვთანამშრომლობთ ძალიან აქტიურად. გვინდა და აქ უკვე დაძალება არ გამოვა, ეს იქნება უფრო შეთავაზება სკოლებისთვის — ჯანსაღი პროდუქტი, ბოსტნეული, ხილი. შვედეთში იყო პროექტი, რომ სოფლის მეურნეობამ დაიწყო პროექტი და ყველა სკოლის შესასვლელში დადგა ვედრო, თასი ვაშლით.**

**თუ არ გინდა, ნუ შეჭამ. ჩემი ოცნებაა, რომ ყველა სკოლის შესასვლელში ვაშლიანი თასი იდგას. ნუ შეჭამს, თუ არ უნდა, ბოლოს მაინც შეჭამს, ესუსნავებათ ბავშვებს და მიადგებიან იმ ვაშლს და შეჭამენ“** (სტილი დაცულია), — განაცხადა ვიცეპრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ სკოლის ბუფეტებიდან არაჯანსაღი საკვების ამოღებაზე საუბრისას.

მოკლედ, ეს კაცი, განათლების მინისტრი და ვიცეპრემიერი, რომელიც, როგორც ჩანს, დიდი ხანია, შესცქერის ფოთლებში მოელვარე სისხლივით წითელ ვაშლს, ლაპარაკობს თითქმის ყველაფერზე — კომბლეზე, მეცხვარეზე, თამადაზე, ჭირზე, ლხინზე, ქატოზე, ფქვილზე, „გუგლზე“, ჭიანჭველაზე — განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა და მათი გამოსწორების გზების გარდა.

ამ შემთხვევაში (ვაშლის), ბატონ ჯეჯელავას, ეტყობა, გაახსენდა **აკაკი წერეთლის** ლექსი „ვაშლი და შაქარა“, რომელიც უკვე ამოღებულია სასკოლო სახელმძღვანელოდან:

### ვაშლი და შაქარა

**მაღლა ფოთლებში ელვარებს**
**ვაშლი სისხლივით წითელი,**
**მას აქეთ-იქით აქანებს**
**სიო საამო და ნელი.**

**დიდი ხანია, შესცქერის**
**მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა,**
**ოჰ, ნეტავ ერთი მოსწყდესო,**
**ამბობს თვის გულში პატარა.**

**თითქოს უსმინა ქარმაო,**
**ხე შეარხია გრიალით,**
**ყუნწში მოსწყვიტა ნაყოფი,**
**ძირს მოდის**
**ბზრიალ-ტრიალით.**

**ყმაწვილმა ხელი დასტაცა,**
**ქარს მადლი უძღვნა გულითა**
**და სახლისაკენ მოჰკურცხლა**
**აღვსილმა სიხარულითა.**

ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელიც უარყოფს ჯეჯელავას თვალსაზრისს საზეპიროებზე: **„იქნებ ამიხსნათ, რატომ უნდა იცოდეს და ისწავლოს ბავშვმა ქართული ნაწარმოებიდან საზეპიროები? არსებობს „გუგლი“, რომლის მეშვეობითაც ადამიანს თავის გამოტენვა აღარ დასჭირდება“...**

თუმცა, სულაც არ არის გამორიცხული, სწორედ „გუგლის“ მეშვეობით შეეტყო განათლების მინისტრს, რომ „ბავშვებს ესუსნავებათ“ და ჯანსაღი საკვები სჭირდებათ.

ისე, ხომ არ სჯობს, ეს ლექსი „ვაშლებიანი თასის“ გვერდით გავაკრათ ან სულაც სახელმძღვანელოებში დავაბრუნოთ?..

**ნიკა კორინთელი**

**P.S. ალექსანდრე ჯეჯელავას სხვა „ფრთიანი ფრაზები“: „კომბლე მოძალადე და ცუდი მეცხვარეა“; „თამადაც ვიყავი და იქაც არ გამომადგა ლექსები და საზეპიროები“; „კომბლე ცუდი მეცხვარეა, სუპერმენი და სპაიდერმენი მასწავლებლები არიან“; „როცა ვკითხულობდი — ჭირი იქა, ლხინი აქა, მიკვირდა, რატომ არ შეიძლება იქაც ლხინი იყოს და აქაც-მეთქი?! მეზობელთან ცუდი რატომ უნდა ხდებოდეს, მას ქატო რატომ უნდა ჰქონდეს და მე — ფქვილი?“. „ჭიანჭველას კვალიფიკაცია არ ჰქონდა ხტომაში და მაინც გადახტა, გადახტა და ჩავარდა. ჭიანჭველა არის ადამიანი, რომელიც შარში გაეხვია თავისი უნიჭობით“...**

**P.P.S. ანეკდოტი ვაშლის თემაზე: გველი სამოთხის ბაღში გაშმაგებული აწყდება აქეთ-იქით: ხან ერთ ხეს მივარდება, ხან — მეორეს. მამაზეციერი ეკითხება, — რა დაგემართა, რას ეძებო?**

**გველმა, — ადამსა და ევას, მინდა, ვაჭამო ვაშლი, მაგრამ ვერსად ვიპოვე, ყველა ვაშლის ხე ბიძინა ივანიშვილმა ამოთხარა და სხვაგან გადარგოო...**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ დოკუმენტით, რუსეთის გაღიზიანების გარდა, ვერაფერს მივიღებთ და, თუ რისთვის სჭირდება ჩვენი თემით ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის გაღიზიანება, ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ ტრამპმა და მისმა გარემოცვამ იციან. როცა ამერიკის პრეზიდენტად დონალდ ტრამპი აირჩიეს, კი ვთქვით, ამერიკა ტრამპშიაო და... ასე თუ გაგრძელდა, მალე საქართველოც იმაზე დიდ ტრამპში იქნება, ვიდრე ახლაა.**

# საქართველო — აშშ-ის პაიკი რუსეთის წინააღმდეგ

**საქართველოს ხელისუფლებამ, ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, კონსტიტუციის პროექტის სახალხო განხილვა დაიწყო. პარალელურად, რამდენიმე ოპოზიციური პარტია თავისთვის განიხილავს კონსტიტუციის პროექტს და ცდილობს, ხალხს დაუმტკიცოს, რომ ეს პროექტი დიქტატურამდე მიგვიყვანს. ოპოზიციური პარტიები განსაკუთრებულ აქცენტს პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევაზე აკეთებენ, ანუ სამომავლოდ პრეზიდენტს თურმე სამასი ხმოსანი აირჩევს და მათი რეპუტაცია ისეთი უმწიკვლო იქნება, რომ იმ ხმოსნებს თამამად შეგვეძლება ვუწოდოთ ფრთოსნები...**



შეხვედრების ფრაგმენტები საკმაოდ ვრცლად გადაიცემა და შუქდება ტელევიზიით. სამწუხაროდ (თანაც, ძალიან სამწუხაროდ), „ქართული ოცნების“ ლიდერები სულ უფრო მეტად ემსგავსებიან **მიხეილ სააკაშვილს**, ხოლო პარტია — „ნაციონალურ მოძრაობას“. მმართველი გუნდის აქტიური მხარდამჭერები ქოქოლას მოგვაყრიან, როგორ ბედავთო, მაგრამ, აბა, **დაფიქრდით და გაიხსენეთ, როგორ არ მოგწონდათ, როცა მიშას შეხვედრებზე ლექსებს უკითხავდნენ, როცა ბაღის ბავშვებს ჩაამწკრივებდნენ და „მიშა-მიშას“ აყვირებდნენ...** და რა ხდება ახლა? — **როცა „ოცნების“ ლიდერებს უკითხავენ ლექსებს და დარბაზიდან, კონსტიტუციაზე საუბრის ნაცვლად, უკანალს ულოკავენ, ვერ ხვდებით, რომ მარაზმია?!** თუ დაგავიწყდათ, წყალში შესულ სააკაშვილს ქალი რომ დაედევნა, წაიქცა და ზედ მიშას საზარდულთან ჩაიმუხლა, რამდენი იცინეთ, რამდენი აქილიკეთ... ახლაც საზარდულთან ჩაცუცქულების შთაბეჭდილებას ტოვებს აქტივი და ვაი, რომ ეს ხელისუფლებას მოსწონს. **ირაკლი კობახიძის ნეტარი სახე რომ დავინახე, როცა აქებდნენ, რა ბედნიერი იყო, მაშინვე მიშას ღიმილი დამიდგა თვალწინ, ის ღიმილი, ძალიან რომ გაუხანგრძლივდებოდა და ტუჩის კუთხიდან გადმოსული დორბლი აწყვეტინებდა. ბევრი არ გიკლიათ დორბლის წამოსვლამდე, ბატონებო, და, როცა აქტივი მიგყავთ შეხვედრებზე, ის მაინც აუხსენით, რომ კონსტიტუცია „გააპრავონ“, დისკუსიაში ჩაერთონ და პოეზიის ხუთი წუთი არ მოაწყონ...**

გასული კვირის ყველაზე საინტერესო თემა მაინც საგარეო საქმეთა მინისტრის — **მიხეილ ჯანელიძის** მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებული გზავნილი იყო. სწორედ ამის შემდეგ შევიტყვეთ, რომ ამერიკამ უპრეცედენტო მხარდაჭერა გამოგვიცხადა და **დონალდ ტრამპმა** ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც თურმე საშვილიშვილოდ დაცულები ვიქნებით. მოკლედ, ჯანელიძის თქმით, თურმე:

* პირველად მოხდა აშშ-ის კანონით საქართველოს ტერიტორიების — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების — რუსეთის მიერ ოკუპირებულად აღიარება;
* აშშ-ის მხრიდან დაწესდა შეზღუდვა ნებისმიერ დაფინანსებაზე იმ სახელმწიფოსი, რომელიც არ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;
* აშშ-ის წარმომადგენლებს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში აეკრძალათ მხარდაჭერა იმ პროგრამებისა, რომლებიც არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს;
* აშშ-ის სახელმწიფო მდივანს დაევალა, 90 დღის განმავლობაში კონგრესს მოახსენოს რუსეთის მიერ ოკუპაციის მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ;
* „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნებს გამოეყოთ დამატებითი დახმარება რუსეთის აგრესიის გასამკლავებლად და ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელშესაწყობად...

როგორია?

**ჯანელიძის აღფრთოვანებას პარლამენტის თავმჯდომარეც აჰყვა და ირაკლი კობახიძემ გამოაცხადა, აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა უპრეცედენტო დოკუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერასო.** კობახიძეს აჰყვა ექსპერტი **გია ხუხაშვილიც** და მანაც არანაკლებ ხმამაღლა თქვა: **„ირაკლი კობახიძე არის პარანოიდალური. სახიფათოა, რომ ხელისუფლებაში ასეთი ადამიანები არიან — ავითარებს რაღაც შეთქმულების თეორიებს და სრულ ისტერიკაშია...“**

**ეს შეხვედრა თურმე დაგეგმილი არ ყოფილა, კვირიკაშვილი მხოლოდ ვიცეპრეზიდენტს უნდა შეხვედროდა და, ოვალურ კაბინეტში «შემთხვევით» მყოფმა ტრამპმა რომ შეიტყო, საქართველოს პრემიერი ჩამოსულაო, «შემთხვევით» მიიწვია სასაუბროდ**

აი, ასე იციან ხოლმე ექსპერტებმა, გაგიხარდება რაღაც და მერე აფუჭებენ ყველაფერს. რეალურად კი...

**ვერ გეტყვით, ცუდი სიზმარი ნახა ტრამპმა თუ მელანიამ უთხრა უარი რამეზე და კარგ განწყობაზე ვერ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ განცხადებით ამერიკა კვლავ შეეცადა, საქართველოს გამოყენებით რუსეთი გაეღიზიანებინა და, სავარაუდოდ, გამოუვიდა კიდეც. ამერიკამ კუნთების თამაში დაიწყო და ერთ-ერთ კუნთად ნაგულისხმევი საქართველო ისევ აათამაშა. რა მოგვიტანა ამ თამაშმა 2008 წელს, ერთად ვნახეთ და ვიგემეთ...**

თუ ამერიკას ჩვენი მხარდაჭერა ამ დონეზე სურდა, 2008 წლის შემდეგ ლამის 9 წელი გავიდა, მაგრამ არ დასჭირვებია. ახლა დასჭირდა, რომ რუსეთისთვის საჭადრაკო დაფაზე სვლა გაეკეთებინა და პაიკით შეუტია. ამერიკის ხელში საქართველო პაიკი რომ არის, თუ ვინმე არ აღიარებს, მისი პრობლემაა. და ჩვენ ეს გვიხარია. უფრო ზუსტად, ხელისუფლებას უხარია და იმას კი არავინ ამბობს, დღეს, ხვალ ან ზეგ რუსეთმა სამაჩაბლოში ან აფხაზეთში კიდევ რამდენიმე მეტრით რომ გადმოწიოს საზღვარი, **რა მოხდება?** არაფერიც არ მოხდება, ამერიკა ამ დოკუმენტს თვალებზე აგვაფარებს: ჩვენ ვაპროტესტებთ და ახლა თქვენ გამო ომს ხომ არ დავიწყებთო?!

ერთი ამბავი ატყდა: **გიორგი კვირიკაშვილი დონალდ ტრამპს** შეხვდა და ხედავთ, ამერიკა როგორ მხარში გვიდგასო?! თანაც, ეს შეხვედრა თურმე დაგეგმილი არ ყოფილა, კვირიკაშვილი მხოლოდ ვიცეპრეზიდენტს უნდა შეხვედროდა, ოვალურ კაბინეტში „შემთხვევით“ მყოფმა ტრამპმა რომ შეიტყო, საქართველოს პრემიერი ჩამოსულაო, „შემთხვევით“ მიიწვია სასაუბროდ. რეალურად კი, საქართველოში რამდენიმე ღონისძიება იყო დაგეგმილი, რომლებში მონაწილეობასაც კვირიკაშვილი ამერიკის ელჩთან ერთად აპირებდა, მაგრამ რაღაც შეიცვალა და ეს შეხვედრები გაუქმდა. კვირიკაშვილი ელჩთან ერთად სასწრაფოდ გამოიძახეს შტატებში და ჩვენი პრემიერიც ოკეანის გაღმა იმაზე სწრაფად აღმოჩნდა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა. რა მოელანდა და დაესიზმრა ტრამპს, ნამდვილად ვერ გეტყვით, მაგრამ ღმერთმა არ ქნას, ამ ვიზიტის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლის მსგავსად, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის სახელით, აფხაზეთზე ან ე.წ. სამხრეთ ოსეთზე ისევ იერიში მიიტანოს. რა მოგვიტანა მაშინ ამ ნაბიჯმა, კარგად მოგეხსენებათ და, თუ იმასაც გაიხსენებთ, რომ ყველაფერი ამერიკაში **სააკაშვილის** დაუგეგმავი ვიზიტით დაიწყო, მოვლენების მსგავსებას ნათლად დაინახავთ. შესაბამისად, აქ, თუნდაც 9 მაისს გაკეთებული მწვავე განცხადებების ფონზე (რომ თურმე მოსკოვის ყოფილი მერი უნდა დაგვეპატიმრებინა, რომ თურმე „ღამის მგლების“ წარმომადგენლები გამარჯვების პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან, უნდა გვეცემა), ვინმემ არ მოიფიქროს და ჩვენი ბიჭები ისევ საზარბაზნე ხორცად არ აქციოს. მით უმეტეს, რომ **ლევან იზორიამ** საექვოდ განაცხადა, ამერიკასთან ერთად ვიწყებთ საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის ძალიან ამბიციურ პროგრამასო...

კვლავ პირველ თემას დავუბრუნდეთ.

**რა მოხდება,** თუ რომელიმე სახელმწიფო ოკუპაციას აღიარებს? — ისევ არაფერი. ამერიკა ისევ ამ ფურცელს აგვაფარებს და გვეტყვის: მე ვაპროტესტებ, იმ ქვეყანას აღარ დავეხმარებიო.

და დახმარებაში, ალბათ, ის იგულისხმება, ავღანეთსა და ცენტრალურ აფრიკაში ჩვენს ბიჭებს რომ ვგზავნით სხვის ომში, თავზე ხელს რომ გვისვამენ და გვპირდებიან, ნატოში მიგიღებთო... აღარ გადაუსვამს თავზე ხელს ამერიკა ვინმეს და... არც არაფერი, ბატონებო, არც არაფერი. **ამ დოკუმენტით, რუსეთის გაღიზიანების გარდა, ვერაფერს მივიღებთ და რისთვის სჭირდება ჩვენი თემით ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთის გაღიზიანება, ეს, სავარაუდოდ, მხოლოდ ტრამპმა და მისმა გარემოცვამ იცის. როცა ამერიკის პრეზიდენტად დონალდ ტრამპი აირჩიეს, კი ვთქვით, ამერიკა ტრამპშიაო და... ასე თუ გაგრძელდა, მალე საქართველოც იმაზე დიდ ტრამპში იქნება, ვიდრე ახლაა.**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. იცით, რა მაინტერესებს? კონსტიტუციას საჯაროდ რომ იხილავენ, მთავრობის არც ერთი წევრი რატომ არ ესწრება ამ განხილვებს? პრემიერსა და მინისტრებს კონსტიტუცია არ აინტერესებთ? მე ისე უფრო მგონია, როგორც „ცისფერ მთებშია“: წავიკითხეთ და გამომსვლელთა მოსაზრებას ვეთანხმებით...**



**ვერ გეტყვით, ცუდი სიზმარი ნახა ტრამპმა თუ მელანიამ უთხრა უარი რამეზე და კარგ განწყობაზე ვერ იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ განცხადებით ამერიკა კვლავ შეეცადა, საქართველოს გამოყენებით რუსეთი გაეღიზიანებინა და, სავარაუდოდ, გამოუვიდა კიდეც. ამერიკამ კუნთების თამაში დაიწყო და ერთ-ერთ კუნთად ნაგულისხმევი საქართველო ისევ აათამაშა. რა მოგვიტანა ამ თამაშმა 2008 წელს, ერთად ვნახეთ და ვიგემეთ...**

„ამერიკასთან თამაშმა რაც მოუტანა საქართველოს, ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ გამოასწორებს, თუ არ მოხდა პოლიტიკური მიმართულების ძირეული შეცვლა. ამ ცვლილებას კი „ოცნების“ გუნდი ვერ განახორციელებს, იმიტომ, რომ ისინი იგივე ნაციონალები არიან“.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# კვირიკაშვილის მოულოდნელი გამოძახება ვაშინგტონში შტატების მიერ საქართველოს მეშვეობით რუსეთის პროვოცირების მორიგი რაუნდის დაწყებას მოასწავებს

**საქართველოს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ დონალდ ტრამპს შეხვდა. შეხვედრა „თეთრ სახლში“ პრეზიდენტის კაბინეტში გაიმართა. როგორც მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ განცხადებაშია აღნიშნული, მხარეებმა ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ისაუბრეს და სამომავლო გეგმები განიხილეს. საუბარი, აგრეთვე, იყო სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაზე.**

სქართველოს პრემიერმა შეხვედრის დასრულების შემდეგ მედიასთან განაცხადა, რომ ტრამპის ადმინისტრაციისგან მხარდაჭერის თაობაზე მკაფიო გზავნილები მიიღეს: „ჩვენ გვქონდა საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრა ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსთან. გარკვეულწილად შევაჯამეთ გასული 25 წლის ურთიერთობა. მოგეხსენებათ, ვზეიმობთ ურთიერთობის 25 წლის იუბილეს და ვისაუბრეთ მომავალ 25 წელზე. ჩვენ მივიღეთ ძალიან მყარი გარანტიები აშშ-სთან ყველა მიმართულებით პარტნიორობის გაღრმავების კუთხით. ეს იყო ძალიან პოზიტიური შეხვედრა. ვისაუბრეთ ურთიერთობებზე ყველა მიმართულებით. ეს არის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულება, კულტურული ურთიერთობები, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში მხარდაჭერა, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რომელიც გაგრძელდა პრეზიდენტთან შეხვედრით. პრეზიდენტის მხრიდან ასევე მივიღეთ ძალიან მკაფიო გზავნილები საქართველოს მხარდაჭერაზე და ვფიქრობთ, რომ მთლიანობაში ეს არის უმნიშვნელოვანესი საქართველოს განვითარებისთვის, სტაბილურობისთვის. და აშშ, როგორც საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას და ეს ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაღრმავდება მომავალში“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

**კონკრეტულად რა მხარდაჭერას სთავაზობს ვაშინგტონი საქართველოს, როგორ გაგრძელდება ორი ქვეყნის ურთიერთობა მომავალში და რა იქნება ამ ყველაფრის შედეგი? კომენტარისთვის პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს დავუკავშირდით.**

— ამერიკასთან თამაშმა რაც მოუტანა საქართველოს, ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ გამოასწორებს, თუ არ მოხდა პოლიტიკური მიმართულების ძირეული შეცვლა. ამ ცვლილებას კი „ოცნების“ გუნდი ვერ განახორციელებს, იმიტომ, რომ ისინი იგივე ნაციონალები არიან.

რაც შეეხება კონკრეტულად პრემიერმინისტრის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ შეხვედრაზე ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის მიერ გამოითქვა უკმაყოფილება საქართველოს მიერ ირანის მიმართ გადადგმული გარკვეული ნაბიჯების გამო. მოგეხსენებათ, ამერიკელებს მაინცდამაინც არ სიამოვნებდათ ის ამბავი, რომ საქართველომ თავის დროზე ირანთან უვიზო მიმოსვლა შემოიღო, თუნდაც იმიტომ, რომ ირანი ვაშინგტონმა გამოაცხადა პირველ საფრთხედ და ტერორისტული დაჯგუფებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დასაყრდენად. ეს ერთი.

მეორე — სერიოზულად ემზადებიან იმისთვის, როდის და რა ვითარებაში შეიძლება მოხდეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. როგორც ამბობენ, ეს შეხვედრა, უნდათ თუ არა, მაინც გაიმართება რამდენიმე თვეში, როცა შედგება დიდი ოცეულის შეხვედრა. როგორც ვატყობ, ამერიკელებს სურთ, ამ შეხვედრისთვის რუსეთზე მეტი უპირატესობა ჰქონდეთ და ამისთვის იყენებენ საქართველოს. ანუ, **საქართველო არის ქვეყანა, რომლიდანაც რუსეთს შეიძლება გარკვეული პოლიტიკური წინააღმდეგობა შეექმნას ამერიკის პოზიციების გაფართოების თვალსაზრისით.** არაფერს ვამბობ უკრაინაზე, რადგან იქ ისედაც კარგი პოციზიები აქვს ამერიკას. ეს ყველაფერი კი, ჯამში, რა თქმა უნდა, გამოიწვევს გარკვეულ დაძაბულობას რუსეთის დღევანდელ ხელისუფლებაში და ამას შემდეგ შესაბამისი ქმედებებიც მოჰყვება...

**— როგორ აისახება ეს ყველაფერი საქართველოზე?**

— **კვირიკაშვილის მოულოდნელი გამოძახება და დაბარება ვაშინგტონში შტატების მიერ საქართველოს მეშვეობით რუსეთის პროვოცირების მორიგი რაუნდის დაწყებას მოასწავებს. სხვაგვარად შტატებს აბსოლუტურად არაფერი ესაქმება საქართველოსთან. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ამერიკის გლობალურ პოლიტიკაში შეიძლება რამე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავოს.** ჩვენ ვართ ძალიან პატარა, არშემდგარი სახელმწიფო, რომელსაც არანაირი სერიოზული გავლენა არ აქვს და ვერც ექნება მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებზე. საქართველომ 2008 წელს ერთხელ უკვე მიიღო ძალიან მძიმე საზღაური იმ პროვოკაციული პოლიტიკისთვის, რომელსაც „თეთრი სახლის“ დაკვეთით ასრულებდა და რომელიც არ შედიოდა მის სახელმწიფოებრივ ინტერესებში, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ჭკუის სასწავლებლად. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური ნება წინდახედულება დღევანდელ ხელისუფლებასაც აკლია. **რა უზრძანა პატრონმა და არის თუ არა სახელმწიფოებრივი სუიციდის მორიგ მცდელობაზე წამსვლელი ყმა ხელისუფლება** — აი, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობა. ასე რომ, ღმერთმა ნუ ქნას, ომი განმეორდეს!

**«რა უზრძანა პატრონმა და არის თუ არა სახელმწიფოებრივი სუიციდის მორიგ მცდელობაზე წამსვლელი ყმა ხელისუფლება — აი, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამერიკისა და საქართველოს ურთიერთობა. ასე რომ, ღმერთმა ნუ ქნას, ომი განმეორდეს!»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**



## სოსო ცინცაძე:

# აფხაზებსა და ქართველებს შორის არა შერიგების, არამედ გაუცხოების პროცესი მიმდინარეობს. მათ მხოლოდ ის იციან, რომ საქართველოში შიმშილი და უმუშევრობაა

**ახალი კონსტიტუციის პროექტის მიხედვით, ქართული მიწის უცხოელებზე გასხვისება ნებადართულია. ამასთანავე, უქმდება პრეზიდენტის საყოველთაო არჩევის წესი. საკონსტიტუციო ცვლილებებთან ერთად, სასამართლო თავისი პრესტიჟის გაზრდას ცდილობს და მოსამართლეების შეურაცხყოფისთვის რეგულაციების დაწესებას გეგმავს, რაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად შეფასდა. რა შედეგები შეიძლება მოიტანოს კოსტიტუციის პროექტში ამ ცვლილებების შეტანამ? — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა.**

**— ბატონო სოსო, 2012 წელს წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება იყო, რა გააკეთა და რას აკეთებს „ქართული ოცნება“ ამ ურთიერთობების მოსაგვარებლად?**

— აბსოლუტურად არაფერს. არ ვიცი, რა სტრატეგია აქვს „ქართულ ოცნებას“ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ძალიან ადვილი იყო რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება, მაგრამ ვხედავთ, რომ აღდგენას 2-3 ათეული წელიც არ ჰყოფნის. საქართველოს ხელისუფლებას ამ ურთიერთობის მოგვარების სტრატეგია არ აქვს. ჩვენი პოლიტიკური ელიტა შეგუებულია არსებულ ვითარებას. აფხაზებსა და ქართველებს შორის არა შერიგების, არამედ გაუცხოების პროცესი მიმდინარეობს. მათ ჩვენზე მხოლოდ ის იციან, რომ საქართველოში შიმშილი და უმუშევრობაა. არც ერთი ხელისუფლების მხრიდან არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ გადადგმულა ამ მიმართულებით. ჩვენმა მაღალჩინოსნებმა თავიანთი მოღვაწეობა ჟენევაში სეირნობას მოანდომეს, რასაც სახელს ვერ ვუძებნი.

**— სტრასბურგის სასამართლოს მიერ დაწუნებული მოსამართლის — ევა გოცირიძის ინიციატივით, მოსამართლეების შეურაცხყოფისთვის რეგულაციების დაწესება იგეგმება. ეს ინიციატივა ხომ არ შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას?**

— ეს არის საშინელი ცენზურის გამოხატულება. **თურმე შეურაცხყოფაა, რომ იტყვი, ბრმა არისო, იმ მოსამართლეზე, რომელიც შავზე ამბობს, თეთრიაო.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი **ლევან მურუსიძე** ამბობს, რომ ჩვენ შეგვიძლია მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არასწორი ვუწოდოთ, მაგრამ არ შეგვიძლია მათ მონობა დავწამოთ. ეს სასაცილოა! ეს მის ინტელექტზე მეტყველებს. მე თუ მკითხავთ, **ევა გოცირიძის ინიციატივა სასამართლო სისტემაში არსებული განუკითხაობის გადაფარვას ემსახურება.** სასამართლო სისტემა მთლიანადაა შესაცვლელი, რეფორმებია საჭირო. მაშინ, ბატონო, დავურიგოთ მოსამართლეებს ინდულგენციის მსგავსი სიგელი და ვუთხრათ, — რაც უნდა გააკეთო, ხელს არავინ გახლებს! ასეთ ნდობას სასამართლო სისტემა საზოგადოების მხრიდან არ იმსახურებს.

**— ევა გოცირიძის კიდევ ერთი ინიციატივის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეები, რომლებიც გამოსაცდელი ვადით არიან დანიშნულნი, მოსამართლის თანამდებობაზე ავტომატურად უვადოდ უნდა დაინიშნონ. რას ფიქრობთ ამ ინიციატივაზე?**

— სასამართლო სისტემის ამ შემადგენლობისთვის არ მემეტება უვადო რეჟიმი. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში პროფესიონალები გამოჩნდებიან. მე არ ვაღიარებ იმ მაღალჩინოსნებს, რომლებიც ადრე უკანონო გადაწყვეტილებას იღებდნენ. **ვეკითხები მურუსიძეს: იცი, როგორი იყო ჰიტლერის რეჟიმი? გიორგი დიმიტროვი (კომუნისტი აგენტი), რომელიც გერმანიის პარლამენტის შენობის დაწვაში იყო ეჭვმიტანილი, ნაცისტმა მოსამართლეებმა გაამართლეს. მათ ჰიტლერის არ ეშინოდათ და მურუსიძეს მიშასი შეეშინდა?** საფრანგეთის მეფე **ლუი XIV** თავის დროზე 9 მოსამართლე შეკრიბა, რათა მეფის მოწინააღმდეგისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ, მაგრამ მოსამართლეებმა ბრალდებული გაამართლეს. ეს იმის ფონზე, როცა მოსამართლეებს გაანალიზებული ჰქონდათ, რომ მათ ამის გამო პროვინციებში გადასახლება არ ასცდებოდათ. გგონიათ, საქართველოში ყველა მოსამართლეს ზურგზე ფრთები ამოსდის? ძალიან ცოტა დრო გავიდა ტოტალური რეჟიმიდან, შევარდნაძისდროინდელი მექრთამეობიდან და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შექმნილი წნეხიდან. ჩვენთან „შინაგანად თავისუფალი თაობა“ არ არსებობს — დღეს ყველაში ზის პატარა მონა.

**— კონსტიტუცის პროექტის მიხედვით, პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევს. ხალხისთვის პრეზიდენტის არჩევის უფლების ჩამორთმევა დემოკრატიული პრინციპებიდან გადახვევას ხომ არ ნიშნავს?**

— როგორც პარლამენტის წევრებს, ისე საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის „მეოცნებეებს“ არ აქვთ არავითარი ნდობა საზოგადოებაში. სანამ მოსახლეობის პოლიტიკური კულტურა ოდნავ მაინც არ მიუახლოვდება განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურ კულტურას, პრეზიდენტი საყოველთაო წესით უნდა ავირჩიოთ. ახლა ვუსმენთ ტელევიზორში, რომ პრეზიდენტს არანაირი იურიდიული უფლება არ აქვს და როგორ შეიძლება საყოველთაო წესით აირჩიონ. სამაგიეროდ, პრეზიდენტს მორალური უფლებები შეუნარჩუნდება და მმართველი პარტია იძულებული გახდება, ანგარიში გაუწიოს მის ინტერესებს. ახლა **„ოცნების“ ვიღაც ბიჭები პრეზიდენტს, როგორც უნდათ, ისე აბუჩად იგდებენ. ...**

**— ...**

ახლა **„ოცნების“ ვიღაც ბიჭები პრეზიდენტს, როგორც უნდათ, ისე აბურთავებენ და ამბობენ, რად გვინდა ისეთი პრეზიდენტის საყოველთაო არჩევა, რომელსაც უფლებები არ ექნებაო, მაშინ მე გეკითხებით: რისთვის გვინდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხების სამინისტრო, რომელიც აბსოლუტურად არაფერს აკეთებს და რომლის შენახვის ფულს ჩვენ ვიხდით?**

ესაუბრა **ეკა ზარნაძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების უკრაინაში გადმოტანის კიდევ ერთი მცდელობაა გადაწყვეტილება, რომელიც ახლახან მიიღო უკრაინის დედაქალაქის მთავრობამ, კონკურს „ევროვიზია-2017“-ის მიმდინარეობისას, 9-13 მაისის პერიოდში, მონუმენტ „ხალხთა მეგობრობის თარილის“ ლგბტ-თა ფერებში „შემოსვისა“ და არტობიექტად გადაქცევის შესახებ სახელწოდებით „მრავალფეროვნების თალი“.**

# რატომ ცდილობდნენ კიევში ხალხთა მეგობრობის თალის ლგბტ-თა ფერებში გადაღებვას

**2014 წელს კოპენჰაგენში გამართულ „ევროვიზიის“ კონკურსში ავსტრიელი ტრანსვესტიტის — კონჩიტა ვურსტის (ტომ ნოივირტის) გამარჯვებისა და აშშ-ის იმჟამინდელი ვიცეპრეზიდენტის — ჯო ბაიდანის დამუქრების შემდეგ — ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უნდა დაკანონდესო, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა კიდევ უფრო გამძაფრდა. სწორედ ამ პროპაგანდის ნაწილია ის, რაც ამ დღეებში უკრაინის დედაქალაქში მოხდა.**

უკრაინელი ნაციონალისტების მიერ ამერიკელი პატრონების ძალისხმევით კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ არა მხოლოდ უკრაინის ეკონომიკა განიცდის დეგრადაციას, არამედ, ე.წ. დასავლური ფასეულობების გავლენით, დავიწყებას ეძლევა ის ტრადიციები და ფასეულობები, რომლითაც გამორჩეული იყო ეს ქვეყანა საბჭოთა კავშირის პერიოდში — კერძოდ, მეგობრული, სულიერი და რელიგიური (უკრაინელთა უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელია) კავშირებით არა მხოლოდ სისხლით მონათესავე რუს ხალხთან, არამედ საქართველოსა და სხვა ქვეყნებთანაც, თუმცა მხოლოდ უკრაინა არ განიცდის ე.წ. დასავლური დემოკრატიის გავლენას. ასეთი ქვეყნების რიგში საქართველოცაა. ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა თავის დროზე ერთხმად დაუჭირეს მხარი ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, ახლახან კი უარი თქვეს, კონსტიტუციაში ჩაეწერათ დეფინიცია, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთიანობა.

2016 წლის ბოლოს უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა „პეტრე პოროშენკოს ბლოკიდან“ — **სერგეი ლეშჩენკომ** განაცხადა, რომ უკრაინის საკანონმდებლო ორგანო აუცილებლად მიიღებს კანონს ქვეყანაში ერთი და იმავე სქესის მქონე პირებს შორის ქორწინების ლეგალიზაციის შესახებ.

**„რა თქმა უნდა, ეს მოხდება, ოღონდ საკითხავია — როდის. ეს შეიძლება იყოს ევროკავშირში უკრაინის ინტეგრაციის ერთ-ერთი პირობა. მოხდება ეს 2017 წელს? — არ ვიცი. შესაძლოა, ამჟამინდელმა პარლამენტმა არ მიიღოს ეს კანონი, მაგრამ შემდეგი აუცილებლად მიიღებს, თუკი, რა თქმა უნდა, შენარჩუნდება ორიენტაცია ევროპის კავშირზე“,** — დაიმედა უკრაინელები ლეშჩენკომ ერთ-ერთი გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში. საპრეზიდენტო ფრაქციის წარმომადგენელი მხარს უჭერს, აგრეთვე, უკრაინაში ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზებას (დააკვირდით — როგორ ერთნაირად მოქმედებენ ე.წ. პროამერიკული ძალები თავიანთი ქვეყნის საწინააღმდეგოდ. საქართველოშიც ხომ ასე მოხდა: მართლმადიდებელი ეკლესიის ლანძღვა-გინების ფონზე ჯერ ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, შემდეგ ჰომოსექსუალების ე.წ. აღლუმის ჩატარებას შეეცადნენ, ახლახან კი პოლიტიკური ცენტრის — „გირჩის“ თაოსნობითა და ხელისუფლების თანხმობით, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის — მარიხუანის მოხმარებისთვის სასჯელი თითქმის გაუქმდა — ნ. კ.).

**„მსოფლიოში დაიწყო მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზება. ესეც აუცილებლად მოხდება უკრაინაში, მაგრამ საზოგადოება ამისთვის ჯერ არ არის მზად** (საქართველოში კი, როგორც ჩანს, უკვე მოამზადეს საზოგადოება ჩვენმა „კეთილისმსურველებმა“ — ნ. კ.). **ამასთანავე, საჭიროა პროსტიტუციის ლეგალიზებაც, რაც სოციალური დაცვის, ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიებს მისცემს ამ საქმით დაკავებულებს. ფული კი მიმართული იქნება ბიუჯეტისკენ. ბევრი ქვეყანა პროსტიტუციას იყენებს, როგორც სატყუარას ტურისტებისთვის. უკრაინელები ამ სახელმწიფოების მოსახლეობაზე სულელები არ უნდა იყვნენ. პროსტიტუცია აუცილებლად უნდა იყოს ლეგალიზებული“,** — განაცხადა უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა სერგეი ლეშჩენკომ.

ამ დასავლური ფასეულობებისა და ღირებულებების უკრაინაში გადმოტანის კიდევ ერთი მცდელობაა გადაწყვეტილება, რომელიც ახლახან მიიღო უკრაინის დედაქალაქის მთავრობამ, **კონკურს „ევროვიზია-2017-ის მიმდინარეობისას, 9-13 მაისის პერიოდში, მონუმენტ „ხალხთა მეგობრობის თარილის“ ლგბტ-თა ფერებში „შემოსვისა“ და არტობიექტად გადაქცევის შესახებ სახელწოდებით „მრავალფეროვნების თალი“.**



**«ჩვენ არ ვეთანხმებით ამ ე.წ. მორთულობას, რადგან ეს ლგბტ-ს შეფარული პროპაგანდაა. ეს არის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება კიევის მერიისა, რომელსაც სურს, თავი მოაწონონ ევროპას. კიევის ხელისუფლება ცდილობს, უკრაინა და მისი დედაქალაქი წარმოადგინოს, როგორც გარყვნილების დედაქალაქი»**




„ვამაყობ, რომ ქვეყანა ნელნელა იცვლება — ივსება ახალი აზრებით, თავისუფალი ადამიანებისთვის დამახასიათებელი ახალი განცდებით, აზროვნებით, სულიერად თავისუფალი ადამიანებით. შევხედოთ არტინსტალაცია Arch of Diversity-ს („მრავალფეროვნების თალი“) — ყველაზე დიდ ხელოვნურ ფერად ცისარტყელას. ევროვიზიის შემდეგ კი ყველაფერს ისევ თავის ადგილას დავაბრუნებთ, როგორც იყო“, — დაწერა სოციალურ ქსელში სამუშაოების შემსრულებელი კომპანია CFC Consulting-ის მმართველმა **ევგენი კუროჩკამ.**

აი ასეთი „თავისუფალი აზროვნებისა და სულიერების მქონე საზოგადოების“ შექმნას ცდილობს აშშ-ის მარიონეტი უკრაინის ხელისუფლება ქვეყანაში, ასეთია „დემოკრატიული“ დასავლეთის ნება, რომელსაც სურს, არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინაში, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაამკვიდროს ჰომოსექსუალიზმი, ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება, სექსგანათლების გაკვეთილები 6-7 წლის ბავშვებისთვის, ჰომოსექსუალი წყვილების მიერ ბავშვის შვილად აყვანა, პედოფილია და სხვა საზიზღრობები, რომლებსაც ადამიანის მოდგმა ოდითგანვე ეწინააღმდეგებოდა, თუმცა დღეს ეს მანკიერებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა დემოკრატიის მქადაგებელ სახელმწიფოებში, რომლებსაც სურთ, ეს ყველაფერი თავს მოახვიონ მართლმადიდებელ ქვეყნებს, რომლებშიც ჯერ კიდევ ძლიერია ტრადიციული ფასეულობები.

**გიორგი გელაშვილი**

**P.S. უკრაინელი ნაციონალისტების რადიკალური გაერთიანება „მემარჯვენე სექტორის“ წარმომადგენლებმა ხალხთა მეგობრობის თაღის ცისარტყელას ფერებში გადაღებვის სამუშაოები შეაჩერეს.**

**„ჩვენ არ ვეთანხმებით ამ ე.წ. მორთულობას, რადგან ეს ლგბტ-ს შეფარული პროპაგანდაა. ეს არის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება კიევის მერიისა, რომელსაც სურს, თავი მოაწონონ ევროპას. კიევის ხელისუფლება ცდილობს, უკრაინა და მისი დედაქალაქი წარმოადგინოს, როგორც გარყვნილების დედაქალაქი“, — განაცხადა „მემარჯვენე სექტორის“ სპიკერმა არტემ სკოროპადსკიმ.**

**ცნობისთვის:**

**„ხალხთა მეგობრობის თაღი“ კიევის ერთ-ერთ პარკშია. ის 1982 წელს გახსნეს სსრკ-ის შექმნის 62-ე წლისთავზე.**

# ევროკომისიის ხელმძღვანელი სამიტზე მთვრალი მივიდა

**ევროკომისიის ხელმძღვანელი ჟან-კლოდ იუნკერი კვიპროსის საკითხის მოსაგვარებლად ჟენევაში გამართულ სამიტზე ნასვამ მდგომარეობაში მივიდა.**

როგორც The Sun-ი წერს, იუნკერი ხალხსა და ავეჯს ეჯახებოდა და კოლეგებს ფამილარულად ექცეოდა.

იუნკერი ნასვამ მდგომარეობაში ადრეც გამოცხადებულა სამიტზე. ორი წლის წინათ ინტერნეტში გავრცელდა ლატვიაში გამართული სამიტის ამსახველი ვიდეო, რომელზეც „მეტისმეტად კარგ განწყობაზე“ მყოფი იუნკერი პრეზიდენტებს, პოლიტიკოსებს ხან მოფერებით სილას აწნის, ხანაც ჰალსტუხს სთავაზობს.



ჟან-კლოდ იუნკერი 2015 წელს ლატვიაში გამართულ სამიტზე

სხოვს სახელისა...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მილიონერ დეპუტატთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ ელგუჯა გოცირიძეს 6 057 100 ლარით და ივლიანე წულაიას 5 940 000 ლარით.

# ელგუჯა გოცირიძის აქციები, ანგარიშები და ივლიანე წულაიას შპს-ები

## რა ქონებას ფლობენ «ქართული ოცნების» მილიონერი დეპუტატები

**საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, 900 ათასამდე მოქალაქე სოციალურ შემწეობასა და პენსიაზეა დამოკიდებული, რომელიც სრულფასოვანი კვებისთვისაც არ არის საკმარისი. მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის ლამის მილიონამდე მოქალაქე შიმშილის ზღვარზეა, პარლამენტსა თუ მთავრობაში მილიონერების სიმცირეს არ ვუჩივით. საქართველოს პარლამენტში 41 მილიონერი დეპუტატია (დამთხვევა სიმბოლურია — 41 ხომ „ქართული ოცნების" საარჩევნო ნომერია)... მილიონერ დეპუტატთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ ელგუჯა გოცირიძეს 6 057 100 ლარით და ივლიანე წულაიას 5 940 000 ლარით.**


ელგუჯა გოცირიძე


ივლიანე წულაია

„ქართული ოცნების" მილიონერი დეპუტატი **ელგუჯა გოცირიძე** 1958 წლის 20 მარტს თერჯოლაში დაიბადა. მისი მეუღლე **რუსუდან ავალიანი** 1958 წლის 17 ივნისს ცაგერშია დაბადებული. დეპუტატს ქონებრივი დეკლარაცია 2016 წლის 29 დეკემბერს შეუვსია. გოცირიძის უძრავი ქონების ნუსხა ასე გამოიყურება: 1500 კვ.მ აგარაკი დაბა კოჯორში დეპუტატის საკუთრებაა. აგრეთვე, 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთი დაბა კოჯორში. ელგუჯა გოცირიძეს ეკუთვნის 152 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისში კოსტავასა და ღამბაშიძის ქუჩებს შორის. რუსუდან ავალიანის საკუთრებაა 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი წავკისში. დეპუტატის მეუღლის საკუთრებაა 212.14 კვ.მ საცხოვრებელი სახლი თბილისში ონიაშვილის ქუჩაზე და 54.49 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი ამავე მისამართზე. ონიაშვილის ქუჩაზე 23.80 კვ.მ. ავტოფარეხი რუსუდან ავალიანის სახელზეა გაფორმებული. დეპუტატის მეუღლის საკუთრებაა 280.00 კვ.მ საცხოვრებელი სახლი ნუცუბიძის ქუჩაზე და 89 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართობი იმავე მისამართზე.

**ელგუჯა გოცირიძე სს „ჩაჩავას კლინიკის" აქციების მფლობელია,** ფასიანი ქაღალდის ნომინალი 1 ლარია, მის საკუთრებაში კი 499 582 ფასიანი ქაღალდია.

გაგაცნობთ დეპუტატ გოცირიძისა და მისი მეუღლის საბანკო ისტორიას, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავია: ელგუჯა გოცირიძეს „კორსტანდარტ ბანკში" ანაბარზე 50 000 აშშ დოლარი და 70 000 ევრო ერიცხება, მის მეუღლე რუსუდან ავალიანს კი — 100 000 აშშ დოლარი. ელგუჯა გოცირიძე „თი-ბი-სი ბანკში" ანაბრის სახით 123 000 ევროს და 63600 აშშ დოლარს ინახავს. რუსუდან ავალიანის ანაბარზე „თი-ბი-სი ბანკში" 335 000 ევრო და 105 250 აშშ დოლარია. ელგუჯა გოცირიძეს „პროკრედიტ ბანკში" ანაბარზე 50 000 აშშ დოლარი, ამავე ბანკში მიმდინარე ანგარიშზე კი 11 718 აშშ დოლარი და 9211 ევრო ერიცხება. „პროკრედიტ ბანკში" სახელფასო ანგარიშზე 2804 ლარი აქვს, ხოლო მის მეუღლეს — 3519 ლარი.

როგორც, აღვნიშნეთ „ოცნების დეპუტატი" ელგუჯა გოცირიძე სს „ჩაჩავას კლინიკის" აქციონერია და მისი წლიური შემოსავალი დეკლარაციაში 1 011 839 ლარითაა განსაზღვრული. სს „ჩაჩავას კლინიკის" პარტნიორია დეპუტატის მეუღლე და მისი წლიური შემოსავალი 35110.07 ლარია. ელგუჯა გოცირიძე 2016 წელს დარეგისტრირებულ შპს „საქცივპროდუქტის" პარტნიორიცაა.

დეპუტატს განათლება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში მიუღია, სპეციალობით — სამკურნალო საქმე. მისი სამუშაო გამოცდილება კი ასეთია:

* „ჩაჩავას კლინიკის" გენერალური დირექტორი (2001-2016)
* აკად. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი ექიმი (1994-2001)
* ქალაქის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი (1985-1994)
* ქალაქის სამშობიარო სახლის განყოფილების გამგე (1984-1985)
* ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ქირურგი (1982-1984)
* ქუთაისის ავტოქარხნის მედ. სან. ნაწილი, ქირურგიული განყოფილების ექიმი-ინტერნი (1981-1982)

ელგუჯა გოცირიძე პარლამენტში ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების" მდივანია.

„ქართული ოცნების" კიდევ ერთი მილიონერი დეპუტატი **ივლიანე წულაია** 1982 წლის 11 ივლისსს სამტრედიაში დაიბადა. მისი მეუღლე **ქეთევან გოცაძე** კი 1984 წლის 21 აპრილს — თბილისში. შვილები: **ოთარ, დავით** და **სოფია** წულაიებიც თბილისში არიან დაბადებულები.

„ოცნების დეპუტატი" წავკისში 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელია. ის **ნიკოლოზ ჩხეტიანთან** ერთად ფლობს 101 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართობს თბილისში, გამრეკელის ქუჩაზე. ქეთევან გოცაძის საკუთრებაა 17461 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე. დეპუტატის მეუღლის სახელზეა, აგრეთვე, გაფორმებული 1151.47 კვ.მ საცხოვრებელი სახლი გრიგოლ ფერაძის ქუჩაზე. დეკლარაციაში მოხვდა დეპუტატის ორი მაჯის საათი, რომელთა ღირებულებაც 10 000 ლარს აღმატება. ერთი ROLEX-ის ფირმისაა, მეორე — HUBLOT-ის.

რაც შეეხება ივლიანე წულაიასა და მისი მეუღლის ანგარიშებს, დეკლარაციის თანახმად, ასეთი სურათი გვაქვს: დეპუტატს „თი-ბი-სი" ბანკის საკრედიტო ბარათზე 9717.41 ლარი ერიცხება, მიმდინარე ანგარიშზე — 199 48.44 აშშ დოლარი. ივლიანე წულაიას „პროკრედიტ ბანკში" მიმდინარე ანგარიშზე 4482.20 ლარი ერიცხება. ქეთევან გოცაძეს „თი-ბი-სი ბანკის" სახელფასო ანგარიშზე 15000 ლარი ერიცხება. წულაიას „საქართველოს ბანკში" მიმდინარე ანგარიშზე 2110.09 ლარი, ხოლო ამავე ბანკში საკრედიტო ბარათზე 4155.25 ევრო ერიცხება. დეკლარაციის შევსების მომენტში „ოცნების დეპუტატს" ხელზე 10000 და 5000 ლარი ჰქონდა.

**ელგუჯა გოცირიძეს «კორსტანდარტ ბანკში» ანაბარზე 50 000 აშშ დოლარი და 70 000 ევრო ერიცხება, მის მეუღლე რუსუდან ავალიანს კი — 100 000 აშშ დოლარი. ელგუჯა გოცირიძე «თი-ბი-სი ბანკში» ანაბრის სახით 123 000 ევროს და 63600 აშშ დოლარს ინახავს. რუსუდან ავალიანის ანაბარზე «თი-ბი-სი ბანკში» 335 000 ევრო და 105 250 აშშ დოლარია. ელგუჯა გოცირიძეს «პროკრედიტ ბანკში» ანაბარზე 50 000 აშშ დოლარი, ამავე ბანკში მიმდინარე ანგარიშზე კი 11 718 აშშ დოლარი და 9211 ევრო ერიცხება**

ივლიანე წულაია 2008 წელს დარეგისტრირებულ შპს „სი ენდ სან"-ის პარტნიორია. ასევე, 2008 წელს დარეგისტრირდა შპს „ლეიქ ვიუ", სადაც წულაიას პარტნიორობა უვადოდ განისაზღვრება. **შპს „ნეიშენალ პარკი" 2008 წლის აგვისტოს ომიდან რამდენიმე დღეში, 31 აგვისტოს, დარეგისტრირდა და „ოცნების" დეპუტატი, წულაიას, პარტნიორობა ამ შემთხვევაშიც უვადოდ განისაზღვრა. ამავე დღეს შპს „თბილისი ვიუც" დარეგისტრირდა, სადაც წულაია ასევე უვადო პარტნიორია.** წულაია, აგრეთვე, გახლავთ, 2009 წელს დარეგისტრირებულ შპს „გრინქარდ.ჯი"-ს უვადო პარტნიორი. შპს „ვიუ პოინტი" 2007 წელსაა რეგისტრირებული და დეპუტატის პარტნიორობა აქაც უვადოდ განისაზღვრება. 2009 წელს დარეგისტრირებულ შპს „კვარიათი სანსეტის" უვადო პარტნიორადაც გვევლინება პარლამენტარი წულაია. იგი პარტნიორია, აგრეთვე, 2010 წელს დარეგისტრირებულ შპს „იეიდი პარკს".

ივლიანე წულაია 2010 წელს დარეგისტრირებულ შპს „რაზიმ"-ის პარტნიორიცაა უვადოდ. შპს „არქი დეველოპმენტი" და შპს „არქი თაუერი" 2013 წელს დარეგისტრირდა და წულაია აქაც უვადო პარტნიორია. შპს „სანსეტ ლაუნჯი", შპს „სილვერ 39"-ი, შპს „ტექნიკა" და შპს „დეპოც" 2013 წელს დარეგისტრირებული კომპანიებია და დეპუტატის პარტნიორობის ვადა აქაც განუსაზღვრელი, ანუ უვადოა. შპს „ლესელიძე +"; შპს „იტონგ კავკასუს"; შპს „ნოვო ტექი"; შპს „სანსეტ ჰოლი"; შპს „არქი ენერჯი" და შპს „არქი ჰოთელსი" 2014 წელს დარეგისტრირებული კომპანიებია და „ოცნების დეპუტატის" მონაწილეობა ზემოთ ჩამოთვლილ ბიზნეს საქმიანობაში უვადო პარტნიორობითაა განსაზღვრული. ივლიანე წულაიას სახელს უკავშირდება: შპს „დიდი დიღომი 5"; შპს „დიღომი პალასი 6" , შპს „იტონგ კაპიტალი"; შპს „არქი საბურთალო"; შპს „არქი ინვესთმენთს"; შპს „ბაკურიანი რიზორთი"; შპს „პრაიმ დიღომი"; შპს „პრაიმ არქი"; შპს „გორგასალი რეზიდენსი"; შპს „გოლდენ პალასი"; შპს „კვარიათი სანსეტი"; შპს „ვიაკონი"; შპს „არქი"; შპს „იეიდი პარკსი"; შპს „ვიუ პოინტი"; შპს „აიეფსი ჯორჯია"; შპს ესსისიეფი"; შპს „სვის კაპიტალ ქონსთრაქშენი"; შპს „არქი დეველოპმენტი"; შპს „კერა დეველოპმენტი";

შპს „არქის" დირექტორობიდან ივლიანე წულაიას წლიური შემოსავალი 225017.50 ლარია.

ივლიანე წულაიას არასაცხოვრებელი ფართობის იჯარით გაცემის შედეგად წლიური შემოსავალი 3000 აშშ დოლარს შეადგენს. დეპუტატს „თი ბი სი ბანკში" იპოთეკით უზრუნველყოფილი 433300 აშშ დოლარი სესხი აქვს და მისი წლიური გასავალი 62721.29 აშშ დოლარია.

ივლიანე წულაიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული, სპეციალობით სამართალმცოდნეობა.

მისი სამუშაო გამოცდილება კი ასეთია:

* შპს „არქის" აღმასრულებელი დირექტორი (2007-2016)
* იურიდიული კომპანია „დიგესტას" მმართველი პარტნიორი (2005-2007)
* იურიდიული კომპანია „გაბისონია, დიტრიხი და პარტნიორების" ადვოკატი (2004-2005).

**შპს «ნეიშენალ პარკი» 2008 წლის აგვისტოს ომიდან რამდენიმე დღეში, 31 აგვისტოს, დარეგისტრირდა და «ოცნების» დეპუტატის, წულაიას, პარტნიორობა ამ შემთხვევაშიც უვადოდ განისაზღვრა. ამავე დღეს შპს «თბილისი ვიუც» დარეგისტრირდა, სადაც წულაია ასევე უვადო პარტნიორია**

**გიორგი გელაშვილი**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სირცხვილია, ძალიან დიდი სირცხვილი, დღეს ასეთ თემებზე რომ გვიწევს წერა! თემებზე, რომლებიც, უბრალოდ, აქსიომა და უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობენ ჩვენში ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მოტივით გვაიძულებენ მსგავს საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. ძნელია, ამ დონის რეგვნობას ყურადღება არ მიაქციო და გულგრილად აუარო გვერდი...**

# პაპათა ვაჟკაც თაობას გამარჯვებისთვის მადლობა!

**ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, სკოლის დამთავრებიდან 25 წლის შემდეგ კიდევ თუ მომიწევდა „შედარებითი დახასიათების“ დაწერა, თანაც — ადოლფ ჰიტლერისა და იოსებ სტალინის. განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების გმირთა შედარებითი დახასიათების დაწერას მასწავლებლები მთხოვდნენ ხოლმე, მეორე მსოფლიო ომის მთავარ გმირთა შედარებითი დახასიათების დაწერას კი შექმნილი სიტუაცია მკარნახობს და ამიტომ ნებაყოფლობით ვწერ.**



ნუ გაგიკვირდებათ, რომ **სტალინსაც** და **ჰიტლერსაც** — ორივეს **გმირი** ვუწოდე, რადგან აქ ეს სიტყვა გამოყენებულია **მთავარი მოქმედი პირის** მნიშვნელობით და არა მაინცდამაინც დადებითი პერსონაჟის გაგებით. მოგეხსენებათ, ეს ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც ასეა: გმირი შეიძლება დადებითიც იყოს და უარყოფითიც.

და, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებშია ხოლმე, მწერალს, რაც უნდა ანგელოზად სურდეს დადებითი გმირის წარმოჩენა, მის პერსონაჟს მაინც აქვს არაერთი უარყოფითი თვისება და 100 პროცენტით დადებითად მისი დახატვა საკონტროლო წერისას მაინც საძნელო საქმეა, თუკი ობიექტურობას დაიცავ. სამაგიეროდ, ძალიან მარტივია, უარყოფით გმირს ბოლომდე ჩამოუთვალო ცოდვები, რადგან ასეთ უარყოფით ადამიანებს, როგორც წესი, ძალიან იშვიათად მოეძებნებათ რაიმე დადებითი.

ასევეა სტალინ-ჰიტლერის ამბავშიც. რაც უნდა მსოფლიოში ფაშიზმის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მედროშე ვეძახოთ, იოსებ სტალინს უარყოფითი თვისება მაინც ჰქონდა და არც არავინ უარყოფს მის მიდრეკილებებს ტოტალიტარიზმისკენ და ადამიანთა სიცოცხლის ძალიან მარტივად გაწირვის ჩვეულებას.

**ჩვენს ქვეყანაში უკვე ძალიან მოდურია დიქტატორი და ტირანი სტალინის ლანძღვა და რაღაც კუთხით ეს გასაგებიცაა. თუმცა, გაუგებარია, რატომ მოიკიდა ფეხი ნელნელა ჰიტლერის ქება-დიდებამ, მისმა წარმოჩენამ ლამის წამებულ რაინდად.**

წესით, **ადამიანი, რომელიც გმობს სტალინს ტირანიისთვის, ჰიტლერს კიდევ უფრო მეტად უნდა გმობდეს. განა შეიძლება ერთი ტირანი მისი კათმოძულეობის გამო მიუღებელი იყოს, ხოლო მეორე — მისაღები?**

ახლა, შესაძლოა, „ჰიტლერისტებმა“ კითხვაც შემომიტრიალონ: კარგი, მაგრამ იმ ხალხზე რაღას იტყვი, რომელსაც პირიქით — ჰიტლერი სძულს, ხოლო სტალინს აქებს?

ამაზე, თუ დააკვირდით, წინასწარვე გავეცი პასუხი: სტალინს ის მაინც ეთვლება დადებითში, რომ ფაშიზმის დამარცხებაში უდიდესი წვლილი შეიტანა და მისი თაოსნობით ევროპის ათეულობით დაპყრობილი და დამონებული ქვეყანა გათავისუფლდა ნაცისტებისა და ფაშისტების ულისგან....

აი, ჰიტლერს კი, რა გინდა, დადებითი უპოვო?!

თუმცა ამ, ურთულეს კი არა, შეუძლებელ ამოცანასაც „წარმატებით“ ართმევს თავს ზოგიერთი.

რა დასამალია და, **საქართველოში უკვე შესამჩნევად არის გააქტიურებული ჰიტლერის მაქებართა, მისი პერსონის თაყვანისმცემელთა ჯგუფები.** მოცემული სურათის გაანალიზება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ, **ამ ჯგუფებში, ძირითადად, უვიც, გაუნათლებელ და ზერელე ინფორმაციის მქონე 15-20 წლის ყმაწვილებს ითრევენ. სატყუარა კი მათი მხრიდან ამ საკითხის ზერელე ცოდნაა. ამ ახალგაზრდებს თავში უტენიან, რომ ჰიტლერი სინამდვილეში იყო მაღალი საზოგადოებრივი თვითშეგნების, საკუთარ ერზე შეყვარებული, პატრიოტი, ვაჟკაცი და თავგანწირული მოღვაწე, რომლისაც შურდათ მსოფლიოს ლიდერებს და დამარცხების შემდეგ, უბრალოდ, სახელი გაუტეხეს მას.**

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „ჰიტლერისტები“ საკუთარ გაერთიანებებს „ანტილიბერალურს“, „ქართულ სულს“ „ძალას“ „აზრსა“ თუ „იდეას“ არქმევენ.

საბოლოოდ, ქმნიან ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს მათი ეს ყოვლად საშიში პროპაგანდა, უბრალოდ, ლიბერალიზმთან ბრძოლაა და, ამასთანავე, ქართული პატრიტიზმიც სწორედ ჰიტლერის იდეების მხარდაჭერასა და გაცოცხლებაზე გადის, რაც, პირდაპირ უნდა ვთქვათ, სახელმწიფოებრივ საფრთხეს შეიცავს.

დიდი სიმახინჯეა ისიც, რომ რადიკალი მართლმადიდებლები თავიანთ ქმედებებსა და აზრებს „ანტილიბერალიზმად“ ასაღებენ. არადა, სულაც არ არის აუცილებელი, თუკი ანტილიბერალი ხარ, აუცილებლად რადიკალური ტრადიციონალისტი და უკიდურესი მართლმადიდებელი იყო; თუმცა განსხვავება ისაა, რომ **მართლმადიდებლები სახელმწიფოსთვის საშიში დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრები არ არიან. აი, ანტილიბერალებად შეფუთული ფაშისტები კი სახელმწიფოსთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ.**

და მაინც, რა არის ის ძირითადი პოსტულატები, რომლებზეც ქართველი „ჰიტლერისტები“ თავიანთი იდეოლოგიის დაფუძნებას ცდილობენ?

ერთი, ძალიან მოძველებული რეგვნობა არის ეს: **„შემოსულიყვნენ გერმანელები, რატომ ვეომეთ, ბავარიულ ლუდს დავლევდით ახლა“. ამ ტიპის მსჯელობის მოყვარულთ, არ ახსენდებათ, როგორი „ბავარიული ლუდი“ ასვეს ფაშისტებმა იმ ქვეყნების მკვიდრთ, რომლებიც დაიპყრეს და დაიმონეს!** თუმცა ზოგიერთ სულელს „საბუთად“ მოაქვს ადოლფ ჰიტლერის მიერ ხელმოწერილი ბრძანება: „კავკასიაში შესვლის შემდეგ ქართველებს პატივი ეცით, ხელი არ ახლოთ და კავკასიის მართვა ჩააბარეთ“. ასეთი ბრძანება მართლა არსებობდა და ის ხელიდან ხელში გადასცა პირადად ადოლფ ჰიტლერმა ქართველ მოღალატეთა (დიახ, მოღალატეთა!) ბატალიონების მეთაურს — **შალვა მაღლაკელიძეს.**

მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ჰიტლერს ბრძანებებისა და ხელშეკრულებების დარღვევისა ძალიან ერიდებოდა? **ვითომ ვერ გადაახევდა თავზე ამ ბრძანებას შალვა მაღლაკელიძეს კავკასიის აღებისთანავე? იმის დაჯერება, რომ ადოლფ ჰიტლერი ამას არ იზამდა, ან დიდი გულუბრყვილობაა, ან შეგნებული დემაგოგია!**

კიდევ ერთ გამაოგნებელი „არგუმენტი“: ჰიტლერი სტალინს იმით სჯობდა, რომ სტალინი საკუთარ ხალხს ხვრეტდა და ხოცავდა, ხოლო ჰიტლერი მხოლოდ სხვა ერებს ერჩოდაო! ჯერ ისიც საინტერესოა, რატომ არის ეს ჰიტლერისთვის „შეღავათი“, მაგრამ **ამ საოცრად კომიკური თეორიის მომხრეებს, როგორც ჩანს, ჰგონიათ, რომ ჰიტლერი გერმანიის ხელისუფლებაში მართლა ძალიან ჰუმანური გზებით მოვიდა და შემდგომაც ძალიან მშვიდობიანად მართავდა ქვეყანას.**

ოფიციალურად ადოლფ ჰიტლერი ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოვიდა, მაგრამ რას უშვრებოდნენ, როგორ აწიოკებდნენ და აშინებდნენ ე.წ. ჰიტლერიუგენდები, ტერორისტული შეიარაღებული ჯგუფები იმ ოჯახებს, რომლებიც მომავალ ფიურერს ხმას არ მისცემდნენ, ამის შესახებ არაერთ ისტორიულ წყაროში შეიძლება ამოიკითხოთ.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ჰიტლერმა **მასობრივად დააპატიმრა და დახვრიტა თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები, ხოლო ბერლინის დაცემის დღეებში გაჰყვიროდა, რაკი გერმანელებმა ეს ომი წააგეს, ისინი სუსტი ერია, ამიტომ გერმანელი ერი უნდა განადგურდესო. ჰიტლერი თავადვე ანადგურებდა ბომბებისგან დასაცავად თავშესაფრებში შემალულ გერმანელებს. ამის ნათელი მაგალითია ბერლინის მეტროპოლიტენში წყლის ნაკადის მიშვება.**

მტრის მიერ დატყვევებულ ჯარისკაცებს სტალინი აპატიმრებდა, ჰიტლერი — არაო(!) — ასეთ გამოაგნებელ აზრსაც მოისმენთ... არავინ იცის, ფაშისტებს რომ ეს ომი მოეგოთ, რას უზამდა ფიურერი საბჭოთა ჯარების ტყვეობისგან თავდახსნილ გერმანელ ჯარისკაცებს... თუმცა არსებობს ისტორიული ფაქტები, როგორ აპატიმრებდნენ გერმანიაში და როგორ გზავნიდნენ სპეციალურ ციხეებში იმ ოჯახებს, რომელთა წევრი ჯარისკაცის შესახებ გესტაპო მიიღებდა ცნობას, რომ იგი საბჭოთა ტყვეობაში აღმოჩნდა. ფრონტზე მეომარ არაერთ გერმანელ ჯარისკაცს ოჯახი დაუხვირტეს კიდეც.

საბოლოოდ, ჰიტლერის ჰუმანურობის მტკიცება კრახს რომ განიცდის ხოლმე, უკვე ისევ ჩვენს ეროვნულ გრძნობებს უბრუნდებიან და აი, ასეთ გამაოგნებელ შტერობასაც კი წააწყდება კაცი:

**„რას ვზეიმობთ და აღვნიშნავთ ჩვენ, ქართველები, 9 მაისს? ვინ გაიმარჯვა ვისზე? ქართველები ხომ როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე ფაშისტების მხარესაც იბრძოდნენ?! რომელმა ქართველებმა გაიმარჯვეს? თუკი ჩვენ აღვნიშნავთ რუსული ჯარის შემადგენლობაში მეომარი ქართველების გამარჯვებას, მაშინ გავიხსენოთ, რომ ისტორიულად ქართველები ირანის შაჰების, ოსმალოს ხონთქრების, მონღოლი ყეენების ჯარებშიც იბრძოდნენ! მაშინ, მოდი, მათი გამარჯვებების დღეებიც ვიზეიმოთ“.**

აი, ასეთ სისულელეს რომ იტყვის და დაწერს ადამიანი, იქ უკვე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ, ჩვენი მკითხველი შეურაცხყოფად ნუ მიიღებს და ძალიან დებილებისთვის ავხსნი:

შაჰის, ყეენისა თუ ხონთქრის ჯარები იბრძოდნენ თავიანთი კერძო მიზნებისთვის, ან რომელიმე ქვეყნის დასაპყრობად ან, უბრალოდ, ასაოხრებლად.

ხოლო **დიდ სამამულო ომში ქართველები იბრძოდნენ არა რუსეთის ან საბჭოთა კავშირის, ან, მით უფრო, „ბოლშევიკების“ მხარეს, არამედ მსოფლიო კოალიციის შემადგენლობაში მსოფლიოსთვის ყველაზე დიდი ჭირისა და უბედურების — ფაშიზმისა და ნაციზმის დასამარცხებლად.**

შესაბამისად, **9 მაისს კაცობრიობა (და არა რუსეთი) აღნიშნავს არა ქართველების გამარჯვებას ან არა იმ ჯარებისა და იმ ქვეყნის გამარჯვებას, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდნენ ქართველები, არამედ მსოფლიოს, კაცობრიობის, დედამიწის გამარჯვებას მსოფლიოს ისტორიაში ბოროტების ყველაზე საშინელი სახით გამოვლენაზე — ფაშიზმზე!**

და **ამის ახსნა რომ ადამიანს დაჭირდება და „ყეენის ჯარებში ბრძოლას“ და მსოფლიო ანტიფაშისტურ კოალიციაში ბრძოლას შორის პარალელს გაავლებს, მას ეს წერილიც არ წააკითხოთ — აზრი აღარ აქვს, მას აღარაფერი ეშველება!**

განსაკუთრებით გასაოცარია ისეთი ადამიანების არსებობა, რომლებსაც **მიშა სააკაშვილის** წინააღმდეგ ბრძოლით მოაქვთ თავი და მას გმობენ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევისა და ადამიანების წამების მოტივით. ამასთანავე, ჰიტლერსა და ჰიტლერის მხარეს მებრძოლებს უჭერენ მხარს.

საოცრებაა კიდევ ერთი ფაქტი: ბოლო პერიოდში დაიწყეს ასეთი აზრის განვითარება — **„ჰიტლერს ფაშისტს არასწორად უწოდებენ! ფაშისტები მუსოლინი და ფრანკო იყვნენ, ჰიტლერი მხოლოდ ნაცისტი იყო“.**

ნამდვილად გაუგებარია, რატომ გამორიცხავს ერთი მეორეს? უკაცრავად, მაგრამ ჰიტლერი ნაცისტიც იყო, ფაშისტიც, მანიაკიც, სატანაც და დედააფეთქებული ნაძირალაც!

და ვერანაირი „დიფერენციაცია“ ამას ვერ უშველის!

**სირცხვილია, ძალიან დიდი სირცხვილი, დღეს ასეთ თემებზე რომ გვიწევს წერა! თემებზე, რომლებიც, უბრალოდ, აქსიომა და უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობენ ჩვენში ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მოტივით გვაიძულებენ მსგავს საკითხებზე ყურადღების გამახვილებას. ძნელია, ამ დონის რეგვნობას ყურადღება არ მიაქციო და გულგრილად აუარო გვერდი...**

არადა, ამ დღეს ყველაზე მეტი ყურადღება ამ ომის ნამდვილ გმირებს — ომის ფრონტებზე რიგით ჯარისკაცებად მებრძოლ ჩვენს პაპებს ეკუთვნით, მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვების დღის უმთავრეს გმირებს.

**პაპათა ვაჟკაც თაობას გამარჯვებისთვის მადლობა!**

ეს ფრაზა ამ სტატიას სათაურადაც ზუსტად ერგება...

**თუ მავანი მოწადინებულია, უსახელო პოლიტიკურ მსხვერპლს ძეგლი დაუდგას, მაშინ, სურს თუ არა, ძეგლი უნდა დაუდგას ჰიტლერსაც, ტროცკისაც, ტუხაჩევსკისაც, იაგოდასაც და ეჟოვსაც.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ადოლფ ჰიტლერი და სტალინიზმის სხვა მსხვერპლნი

**ამა წლის ოქტომბრის ბოლოს მოსკოვში აკადემიკოსი სახაროვის სახელობის პროსპექტისა და „სადოვოე კოლცოს“ გადაკვეთაზე უნდა აღიმართოს ხალხის შემოწირულობით აგებული „სახალხო ძეგლი“ სახელწოდებით „გოდების კედელი“, რომელიც მიეძღვნება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნას. მონუმენტის ავტორი გახლავთ თბილისელი კაცი, წარმოშობით სომეხი, რუსეთის სახალხო მხატვარი, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული გიორგი ფრანგულიანი, ხოლო ამ „ღრმად ფილოსოფიური“ მონუმენტის იდეის ავტორია კიდევ ერთი სომეხი, ოღონდ მოსკოველი, რუსული პოლიტოლოგიის „მნათობი“ სერგეი ყარაგანოვი.**



ბატონი **სერგეი ყარაგანოვი** 1995 წლიდან არის წევრი საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოსთან არსებული კონსულტაციური კომიტეტისა, რომელსაც ბოლო ამოსუნთქვამდე თავმჯდომარეობდა ცნობილი გლობალისტი, პროგრესული ძალების მიერ კაცობრიობის მტრად აღიარებული **დევიდ როკფელერი.** სხვათა შორის, ზემოხსენებული საბჭო არის ყველაზე მძლავრი კერძო ორგანიზაცია, რომელიც ზეგავლენას ახდენს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე. თუმცა, როკფელერების ხელისბიჭობასთან ერთად, ყარაგანოვი 2004 წლიდან არის მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ საფინანსო დაწესებულებასთან, „დოიჩე ბანკთან“, არსებული **ალფრედ ჰერჰაუზენის** საზოგადოების მზრუნველთა საბჭოს წევრიც...

„სახალხო ყულაბაში“ უკვე შეგროვებულია 2 მილიონ 200 ათასი რუბლი. ყველაზე მეტი თანხა, ერთი მილიონი რუბლი, შეტანილი აქვს ცნობილი პროვოკატორის, დეზინფორმატორის, უნიჭო მწერლისა და „ზონის“ დამსმენის — **ალექსანდრე სოლჟენიცინის** შვილს — **ერმოლაი სოლჟენიცინს;** ხოლო ყველაზე მცირე, 50 რუბლი, ამ „დიდებული“ საქმისთვის გაიღო პენსიონერმა ქალაქ იოშკარ-ოლადან, რომელმაც რეკვიზიტზე ხელი მოაწერა, როგორც „რეპრესირებულის ქალიშვილმა“.

ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა ყარაღანოვს: ხომ არ ფიქრობთ, ძეგლი დაუდგათ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მსხვერპლსო? ბატონმა სერგეიმ კითხვის შინაარსი ვერ გაიგო. ჟურნალისტმა აუხსნა, რომ სტალინიზმის ყველაზე ცნობილი მსხვერპლი არის **ადოლფ ჰიტლერი**, რომელიც სტალინმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და, „ულვაშას“ ხელში რომ არ ჩავარდნოდა, გერმანელი ხალხის საყვარელმა ფიურერმა ბუნკერის ერთ ბნელ ოთახში თავი მოიკლა. დაბნეულმა ყარაღანოვმა მხრები აიჩეჩა და თქვა, რომ მას მხედველობაში არ ჰყავდა ასეთი მსხვერპლი. მაშ, როგორი მსხვერპლი ჰყავდა პოლიტოლოგს მხედველობაში?

იქნებ სიცრუის მოციქულ **იოზეფ გებელსს?** ფაშისტური ევროპის მთავარ იდეოლოგსაც სტალინმა ჭკუა ისე უღრძო, რომ მან ცოლი და 6 შვილი საიქიოში გაისტუმრა, მერე კი თავადაც ჯოჯოხეთის გზას დაადგა. თუმცა დღეს დოქტორ გებელსის ბნელი სული ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის თითოეული თანამშრომლის ტვინსა და გულშია ჩაბუდებული და „უწყლოდ იტანჯება“.

**სტალინიზმისა და პირადად სტალინის უარყოფა XX საუკუნის უარყოფაა და, ფაქტობრივად, განაცხადია სიბნელესა და სიღატაკეში დაბრუნებაზე**

აი სტალინიზმის დანარჩენი მსხვერპლი: **ლევ ტროცკი** (ლეიბა ბრონშტეინი), რომელმაც შექმნა პირველი საკონცენტრაციო ბანაკები და გეგმავდა „მსოფლიო რევოლუციის“ ხანძრის აგიზგიზებას. ამ ხანძარში რუსეთს უნდა შეესრულებინა ფიჩხის მეტად არასახარბიელო როლი; **გრიგორი ზინოვიევი**, იგივე ევსეი-გერშენ რადომისლსკი და **ლევ კამენევი** (ლევ როზენფელდი), რომელთა დანაშაულებრივმა ქმედებებმა რუსეთში შიმშილი გამოიწვია; კიდევ — **მიხეილ ტუხაჩევსკი** (მეტსახელად „წითელი ბონაპარტი“) — საკმაოდ უნიჭო მხედართმთავარი, სამაგიეროდ, წარმატებული ეკზეკუტორი. 1920-1921 წლებში ტამბოვის გუბერნიაში აჯანყების ჩახშობისას მომავალმა მარშალმა გლეხების რაზმების წინააღმდეგ გამოიყენა არტილერია, ავიაცია და ქიმიური იარაღიც კი. ტუხაჩევსკის თვალწინ ორსულ ქალებს ხიშტებით უფატრავდნენ მუცლებს. მისი ბრძანებით იტაცებდნენ და ხვრეტდნენ აჯანყებულთა ნათესავებს...

სტალინიზმის „მსხვერპლთა“ სიაში „საპატიო ადგილი“ უკავიათ **ჰენრიხ იაგოდასა** (ენოხ იეგუდა) და **ნიკოლოზ ეჟოვს**, რომლებმაც „თავი ისახელეს“ გასული საუკუნის 30-იან წლებში. ყველა ეს ადამიანი სტალინიზმის მსხვერპლია და, **თუ მავანი მოწადინებულია, უსახელო პოლიტიკურ მსხვერპლს ძეგლი დაუდგას, მაშინ, სურს თუ არა, ძეგლი უნდა დაუდგას ჰიტლერსაც, გებელსაც ტროცკისაც, ტუხაჩევსკისაც, იაგოდასაც და ეჟოვსაც.** ლიბერალები მაინც გვეტყვიან: არა, ასეთებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ მხოლოდ მათ, ვინც უდანაშაულო იყოო... მაგრამ **საიდან იციან ამ ნიანგის ცრემლის მოღვარღარე ლიბერალებმა, რომ ის პირები, რომლებსაც გულისხმობენ, უდაშაულონი იყვნენ?** ლიბერალებო, იქნებ ამ პირებზე უფრო ნაკლები იცით, ვიდრე იმავე ჰიტლერზე? რატომ არ მიაჩნდათ მაგ „მსხვერპლთა“ გვერდით მცხოვრებ თანამედროვეებს ისინი მსხვერპლად? ამ მოვლენებიდან ოთხმოცი წელი გავიდა, აღარ არიან ამ მოვლენების მონაწილენი და თქვენთვის ყველაფერი ნათელია — ვინ იყო უდანაშაულო და ვინ — დამნაშავე? საიდან ასეთი თვითდაჯერება? თქვენ ხომ იმ ეპოქაში არ ცხოვრობდით? თქვენ, დღეს რაც ხდება, იმის განსჯის უნარიც არ გაქვთ და რაზე მსჯელობთ? სწორედ იმ ეპოქას უნდა უმადლოდეთ ყველაფერს, რაც გაქვთ და, უპირველესად, სიცოცხლეს. **რამდენი თქვენგანი იკეთებს პოლიტიკურ კარიერას და საგრძნობლად იუმჯობესებს მატერიალურ მდგომარეობას სტალინიზმის ლანძღვით?!** სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ეპოქალური საქმეების კეთებისას შეცდომები გარდაუვალია, რადგან უცდომელი მხოლოდ ღმერთია, მაგრამ ამ შეცდომებს აქვს თავისი მოტივაცია და არგუმენტები. ლიბერალები კი გვთავაზობენ პრიმიტიულ ზღაპარს ჭკუიდან გადასულ სისხლიან ჯალათებზე, რომლებიც აწამებდნენ მორჩილ და უდანაშაულო მსხვერპლს... ამის უკან იმალება საღი გონების უარყოფა. **ეს იყო ისტორიული ბრძოლა მომავლისთვის და იმ ბრძოლაში ორივე მხარე ისროდა. ეს არ იყო უმიზეზო სროლა — კაცობრიობა გამოდიოდა მონათმფლობელობის, ფეოდალიზმის, კაპიტალიზმის მრავალსაუკუნოვანი სიბნელიდან, ჩამყაყებული სიღატაკიდან და ცივილიზაციის მწვერვალისკენ — სოციალიზმისკენ მიემართებოდა, რომელშიც თითოეული ადამიანი სოციალურად იქნებოდა დაცული.** ასე რომ, სტალინიზმისა და პირადად სტალინის უარყოფა XX საუკუნის უარყოფაა და, ფაქტობრივად, განაცხადია სიბნელესა და სიღატაკეში დაბრუნებაზე. ვემსგავსებით იმ ღორს, რომელიც დაბანის შემდეგ ისევ ტალახს უბრუნდება.

„სტალინიზმის მსხვერპლთა“ დღევანდელი თაყვანისცემა არ არის გულწრფელი. ეს არის პოლიტიკური პროსტიტუცია, სისხლზე თამაში, რომელშიც მთავარი მონაწილენი არიან ცივილიზაციის დამანგრეველი პოლიტიკური ძალები. მათ ძალიან უნდათ, დაგვარწმუნონ, რომ სტალინიზმის ყველა მსხვერპლი იყო უდანაშაულო და ამით დაგვაბრუნონ იქ, საიდანაც უდიდესი ძალისხმევითა და დიდი სისხლის ფასად დავაღწიეთ თავი.

**«სტალინიზმის მსხვერპლთა» დღევანდელი თაყვანისცემა არ არის გულწრფელი. ეს არის პოლიტიკური პროსტიტუცია, სისხლზე თამაში, რომელშიც მთავარი მონაწილენი არიან ცივილიზაციის დამანგრეველი პოლიტიკური ძალები. მათ ძალიან უნდათ, დაგვარწმუნონ, რომ სტალინიზმის ყველა მსხვერპლი იყო უდანაშაულო და ამით დაგვაბრუნონ იქ, საიდანაც უდიდესი ძალისხმევითა და დიდი სისხლის ფასად დავაღწიეთ თავი**

**გიორგი კორძაძე**

მსოფლიო

## Huffington Post: კანადის სენატორს — პასტორს სექსუალურ ძალადობაში ედება ბრალი

**სენატორ დონ მერედიტის, რომელიც შეთავსებით ორმოციანელთა ეკლესიის პასტორია, მისი ოფისის სამმა ყოფილმა თანამშრომელმა ბრალი დასდო სექსუალურ ძალადობაში სამუშაო ადგილზე, რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა.**

ეთიკის საკითხების სენატის კომისიამ ამ კონფლიქტის გამოძიება მას შემდეგ დაიწყო, რაც მერედიტის უზნეო საქციელის შესახებ მრავალი წერილი მიიღო.

ამ პოლიტიკოსის უზნეობის გამო გახმაურებული პირველი სკანდალი 2010 წელს ატყდა, 2015 წელს კი ეთიკის საკითხების კომისიამ პირველი გამოძიება ჩაატარა. სენატორი თავის თანამდებობაზე რჩება, მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის მარტში იგი დამნაშავედ ცნეს ეთიკური ნორმების დარღვევაში 16 წლის გოგონასთან სექსუალური კავშირის გამო. ეს ფაქტი კანადის პარლამენტში ყველაზე გახმაურებულ სკანდალურ შემთხვევად მიიჩნიეს.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრემიერმინისტრის მადლობის წერილი გადმომცეს, რომელშიც ეწერა: „მადლობა, თქვენ ბოროტებისგან იხსენით მსოფლიო“. მინდა, ახლა ვკითხო: მადლობას რომ გვეუბნება და იცის, რომ ბოროტებისგან ვიხსენით მსოფლიო, ის არ იცის, რომ ჩვენ მეთაური გვყავდა, გენერალისიმუსი გვყავდა? რა, მთავარსარდლის გარეშე მოვიგეთ ომი?“**

# ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება

**„გემშვიდობები, ჩემო სამშობლოვ. შესაძლოა, ველარ დავბრუნდე, მაგრამ პირობას ვდებ, რომ ამ მიწაზე ფაშისტები ვერ შემოვლენ“, — ასე ემშვიდობებოდნენ ოჯახსა და სამშობლოს ახალგაზრდები დიდ სამამულო ომში წასვლის წინ. „ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში“, — ასეა მოხსენიებული მსოფლიო ისტორიაში 1941—1945 წლების ომი, რომელშიც ქართველებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს. ფრონტზე საქართველოდან ნახევა? მილიონზე მეტი ადამიანი წავიდა, მათგან 300 ათასი დაიღუპა, 100 ათასი ხეიბარი დაბრუნდა. ამ ომის შემდეგ ქვეყანას 164 გმირი შეემატა. დღეს საქართველოში 900-ზე ნაკლები ომის ვეტერანია, თუმცა მათი ყოფა ქართულ სახელმწიფოში არც ისე სახარბიელოა... ჩვენი გაზეთის სტუმრები, დიდი სამამულო ომის ვეტერანები, შოთა ბუაძე და ტარას იჩქიტიძე, სისხლისმღვრელი ომის მძიმე წლებს იხსენებენ.**





## „39 შეღავათით ვსარგებლობდით, ყველაფერი წაიღეს, წაგვართვეს, დაგვამცირეს“

**შოთა ბუაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— ყველაფერი მახსოვს ან რა დამავიწყებს ომის ქარცეცხლს?!

1942 წელს საშუალო სკოლა დავასრულე, იმავე წელს გამიწვიეს ჯარში. სოჭთან ახლოს, ლაზარევსკაიაში აღმოვჩნდი. საზენიტო არტილერიაში მოვხვდი, აეროდრომს ვიცავდით. დიდი, ძალიან დიდი ბრძოლები იყო. გერმანელები ყოველ წუთს, ყოველ წამს გვესხმოდნენ თავს თვითმფრინავებით. რამდენიმე თვეს დავრჩით იქ, შემდეგ კრასნოდარში გადავედით, რადგან ის ერთ-ერთი საკვანძო სარკინიგზო ადგილი იყო. იქიდან მარაგდებოდა კავკასიის ფრონტი საკვებით, იარაღით... კრასნოდარი გერმანელების თავდასხმის ობიექტი იყო. ასე რომ, მძიმე ბრძოლები გადავიტანეთ, ისეთი მძიმე ვითარება იყო, მიწურების გათხრასაც ვერ ვასწრებდით...

როდესაც ფრონტმა სხვა მიმართულებით გადაინაცვლა, ჩვენი ბატალიონი უკრაინაში მე-20 სატანკო კორპუსს შეუერთდა. უკრაინაში დავრჩით ომის დასასრულამდე.

ყველაზე მძიმე წუთები კრასნოდარში გადავიტანე, ფრონტის ხაზზე ისე მოვხვდი, იარაღი ხელში არასოდეს მჭერია, ასე ვთქვათ, პირტიტველი ბიჭები ვიყავით. მართალია, არტილერია ფრონტის წინა ხაზზე არ მოქმედებს, მაგრამ მტრის მოგერიება ყველასთვის ერთნაირად საშიშია, განსაკუთრებით კბილებამდე შეიარაღებული ფაშისტური გერმანიის თავდასხმისას.

**— რას ნიშნავს თქვენთვის გამარჯვების დღე?**

— ეს უდიდესი დღესასწაულია, ჩვენ ფაშიზმი დავამარცხეთ, ჩვენ მსოფლიო ვიხსენით ბოროტებისგან — ეს ყველამ ერთად შევძელით. ამაზე საამაყო და სასიხარულო რა უნდა იყოს?! დიდებული დღეა ფაშიზმზე გამარჯვების დღე. ვამაყობ, რომ ჰიტლერელთა განადგურებაში, მსოფლიოს გათავისუფლებაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის.

გულდასაწყვეტია საქართველოს ხელისუფლებების ჩვენდამი დამოკიდებულება, ვიტყოდი, უდიერი დამოკიდებულება დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი.

ვიღაც ცრუ, ფსევდოისტორიკოსმა წლების წინათ სისულელე თქვა, — დიდი სამამულო ომი ჩვენი ომი არ იყო და ამდენი ქართველი სხვის ომში იბრძოდა, უცხო ქვეყნისთვის დაიხოცაო. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაა გაჩაღებული, ვეტერანებს არ გვინდობდნენ, გვცემდნენ, როცა დაგვინახავდნენ. ამის გამო, დიდი ხანია, მედლებს არ ვატარებ, სამწუხაროა, რომ თავდადება წყალში ჩაგვიყარეს.

**მთავრობები იცვლებიან, მაგრამ ჩვენდამი დამოკიდებულება — არა.** რამდენიმე წლის წინათ კრასნოდარში მიგვიწვიეს დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღის აღსანიშნავ გრანდიოზულ ღონისძიებაზე. **ავტობუსიდან ჩამოვდიოდი, ახალგაზრდები რომ მოცვივდნენ და ხელი შემაშველეს ჩამოსვლაში დასახმარებლად. ვუთხარი, ჯერ ხელის შეშველება არ მჭირდება-მეთქი, მათ კი მიპასუხეს — თქვენ არა მხოლოდ ჩვენი სამშობლო იხსენით, არამედ, ჩვენი მომავალიცო... ქართველი ახალგაზრდები კი ამას ვერ ათვითცნობიერებენ. უფრო მეტიც, რომ დაგვინახავენ, გვეკითხებიან — კიდევ ცოცხლები ხართო?**

დიდი სამამულო ომის ვეტერანები ათასიც არ ვართ დარჩენილი, რელიკვიად შემოვრჩით ამ ქვეყანას და მთავრობა ჩვენი მდგომარეობის ოდნავ შესამსუბუქებლად არაფერს აკეთებს. შეღავათით მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილებისას ვსარგებლობთ. ხო, კიდევ 22 ლარის შეღავათი გვაქვს დენსა და ბუნებრივ აირზე. მთავრობებმა ჩვენზე გული აიყარეს...

არადა, **39 შეღავათით ვსარგებლობდით, ყველაფერი წაიღეს, წაგვართვეს, დაგვამცირეს.**

საქართველოს ვეტერანთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ მსოფლიო შემოიარა, რათა გაეგო, სად, რა შეღავათებით სარგებლობენ ომის ვეტერანები და აღმოჩნდა, რომ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში ჩვენ ვართ. არ ვიცი, ასე რატომ მოხდა, რას გვერჩოდნენ? ვინმეზე ნაკლებად ვიბრძოდით, თავს არ ვწირავდით? საქართველოს დიდი სამამულო ომის 164 გმირი ჰყავს. ბოლოს და ბოლოს, გენერალისიმუსი ქართველი იყო...

**— რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ გადაცემაში თქვეს, რომ სტალინისა და ჰიტლერის იდეოლოგია ერთნაირი იყოო...**

— **სტალინის** მაგინებელი კაცი საზოგადოებას არ უნდა გააკარო, იზოლაციაში უნდა მოაქციო, თუ ლექტორია, სტუდენტებთან არ უნდა შეუშვა. რამხელა მკრეხელობაა სტალინისა და **ჰიტლერის** შედარება! წარმოუდგენელია პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ადამიანი სტალინს ლანძღავდეს. მან ხომ კაცობრიობა იხსნა საშინელი ბოროტებისგან, ტირანიისგან. სტალინმა თავისი ცოდნა, გამოცდილება, სიყვარული და რწმენა გამარჯვებისკენ მიმართა. სწორედ ამან გვიხსნა ფაშიზმისგან.

**ჰიტლერის შესახებ თუ ვინმეს რამე წაუკითხავს, აუცილებლად ეცოდინება მისი იდეოლოგია. ის მხოლოდ გერმანელებზე ზრუნავდა და, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველებს თავზე ხელს გადაგვისვამდა, ძალიან ცდება. თუმცა რა გასაკვირია, რომ ცდებოდნენ, წიგნს არ კითხულობენ, ისტორიას არ სწავლობენ, განსაკუთრებით — დიდი სამამულო ომის ისტორიას. ყველას ვურჩევ, გაეცნონ იმ დღეების ქრონიკას, იმ წლების ისტორიას.**

ომის მონაწილე ვარ, იმ საშინელი დღეებისა და იმ ფაქტების მომსწრე, რაც მაშინ ხდებოდა. პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი სტალინი ქმედებებზე...

ფრონტის ხაზი 1 300 კილომეტრზე იყო გადაჭიმული და სტალინის გარეშე ნაბიჯს ვერ გადადგამდი, ყველა ოპერაციის შესახებ იცოდა. ავითარებდა მრეწველობას, ქმნიდა იარაღს. საოცრებებს სჩადიოდა. სტალინი გამარჯვებისკენ უკანმოუხედავად მიდიოდა და მივყვებოდით ჩვენც.

გერმანელები მოსკოვთან იყვნენ, ბინოკლით უყურებდნენ საბჭოთა კავშირის დედაქალაქს და სწორედ მაშინ, სტალინის დავალებით, საჭადრაკო ტურნირი ჩატარდა, მიუხედავად იმისა, რომ მოჭადრაკეთა უმრავლესობა ომში იყო წასული. სტალინმა მაშინაც გაგვაოცა, როდესაც „გიორგი სააკაძე“ გადაიღო, იმხანად ძალიან გვიჭირდა, ომის ქარცეცხლში ვიყავით.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ველოდით სტალინის გამოსვლას რადიოში, როგორ გულდასმით ვუსმენდით და შემდეგ მის სიტყვებზე რამდენს ვფიქრობდით.

სტალინი სომეხი, რუსი, ინგლისელი ან, სულერთია, რომელი ერის შვილიც უნდა ყოფილიყო, გავაღმერთებდით. საშინელებაა, რომ ჩვენ მას არ ვაფასებთ. არადა, მისნაირი ადამიანები, როგორც ერთმა ინგლისელმა სწავლულმა განაცხადა, 500 წელიწადში ერთხელ იბადებიან.

**მინდა, ახალგაზრდებს ვუთხრა, სამამულო ომის წლები შეისწავლონ; იცოდნენ, რომ ჩვენ სხვის ომში არ ვიბრძოდით.** პატრიოტიზმი ჩვენთვის უმთავრესი იყო. მსოფლიო გაოცებული იყო საბჭოთა ხალხის სამშობლოსადმი სიყვარულით.

პატივს მივაგებ **მარო მაყაშვილის** ხსოვნას, **მაზნიაშვილის** ხსოვნას, მაგრამ იცით, რამდენი მაყაშვილი და მაზნიაშვილი გვყავდა ფრონტზე? — ასობით, ათასობით. მხოლოდ ბოლნისელი **პეტრიაშვილის** გახსენება რად ღირს — სხეულით გადაეფარა გერმანელების ტყვიამფრქვევს, თავისი ასეულისთვის გზა რომ გაეთავისუფლებინა. ახალგაზრდა კაცმა საცეცხლე წერტილი სხეულით გადაფარა, ჩააჩუმა... ეს მოხდა 1943 წლის იანვარში.

ომში ჩემი რაიონიდან ბევრნი წავედით, ჩემთან ერთად თანაკლასელიც იყო. როდესაც მატარებელში ავედით, ვთქვით: **„მშვიდობით, სამშობლოვ, ჩვენ, ალბათ, ველარ დავბრუნდებით, მაგრამ ფაშისტები ჩვენს მიწაზე ფეხს ვერ დადგამენ“.** სამშობლო და სტალინი განუყოფელი იყო.

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრემიერმინისტრის მადლობის წერილი გადმომცეს, რომელშიც ეწერა: „მადლობა, თქვენ ბოროტებისგან იხსენით მსოფლიო“. მინდა, ახლა ვკითხო: მადლობას რომ გვეუბნება და იცის, რომ ბოროტებისგან ვიხსენით მსოფლიო, ის არ იცის, რომ ჩვენ მეთაური გვყავდა, გენერალისიმუსი გვყავდა? რა, მთავარსარდლის გარეშე მოვიგეთ ომი?**

სტალინის ძეგლი ქურდულად მოხსნეს და დღემდე არ დაუბრუნებიათ თავის ადგილას. არ შეიძლება სტალინის ლანძღვა, **არ შეიძლება, დიდ სამამულო ომზე ილაპარაკო და სტალინი არ ახსენო.** დადგება დრო და ეს ყველაფერი ძალიან ცუდად მოგვიბრუნდება. ისტორია ასეთ შეცდომებს არავის მიუტევებს. ქართველებს არ შეგვეფერება ვიღაცის საამებლად სტალინის გინება. პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ბოლო წლებში მომიწია გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე ჩასვლა, ყველა გვეუბნება, სტალინს ქართველები არ აფასებთ და სხვა როგორ დააფასებსო...

შეხედეთ დღევანდელ მსოფლიოს და გადახედეთ ისტორიას, გადახედეთ სტალინისდროინდელ მსოფლიოს. ვინც აზროვნებს, მიხვდება დიდი ბელადის ძალასა და შესაძლებლობებს. ▶

**«ჰიტლერის შესახებ თუ ვინმეს რამე წაუკითხავს, აუცილებლად ეცოდინება მისი იდეოლოგია. ის მხოლოდ გერმანელებზე ზრუნავდა და, თუ ვინმე ფიქრობს, რომ ქართველებს თავზე ხელს გადაგვისვამდა, ძალიან ცდება. თუმცა რა გასაკვირია, რომ ცდებოდნენ, წიგნს არ კითხულობენ, ისტორიას არ სწავლობენ, განსაკუთრებით — დიდი სამამულო ომის ისტორიას. ყველას ვურჩევ, გაეცნონ იმ დღეების ქრონიკას, იმ წლების ისტორიას»**

**მინდა, დღევანდელმა ახალგაზრდებმა, მხოლოდ ევროპა კი არა, პოსტსაბჭოთა სივრცეც ნახონ, გაიარონ, იცოდნენ, რამხელა იყო საბჭოთა კავშირი, როგორი ერთიანი იყო ეს უზარმაზარი ქვეყანა. კარგია ევროპა, კარგად ვიცნობ ევროპელებს, ბევრი კარგი თვისება აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მათგან კარგი არაფერი გადმოგვაქვს, მხოლოდ ცუდზე ვართ ორიენტირებულნი. ვურჩევ, სამშობლოს მიხედონ. მინდა, იცოდნენ, რომ გამარჯვებას ერთობით მივაღწიეთ!**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# „აღარც მინდა, სადმე ჯილდოებით გამოვჩნდე... იყო დრო, როდესაც საცემადაც იწევდნენ. დღეს ასე აღარ არის, მაგრამ...“

**ტარას იჩქიტიძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც ფაშისტური გერმანია ჩვენს სამშობლოს დაესხა თავს. რადიოთი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი გამოვიდა და თქვა: „ჩვენი სახელმწიფო საფრთხის წინაშეა, ყველანი — სამშობლოს დასაცავად!“.

მისი სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სრულიად საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ომში ჩართულიყო.

გერმანიას რამდენიმე დიდი ქვეყანა უკვე დაპყრობილი ჰქონდა, თანაც ამ ქვეყნების დასაპყრობად სულ რამდენიმე დღე დასჭირდა. ჰიტლერს ეგონა, საბჭოთა კავშირსაც ადვილად მოერეოდა. ომის დასაწყისში ჩვენი შეიარაღება სუსტი იყო, მხოლოდ კარაბინები გვქონდა. მოკლედ, საბჭოთა არმიის შეიარაღება გერმანიის შეიარაღებასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა — კბილებამდე შეიარაღებული იყვნენ და ჯარისკაცებიც ყველაფრით უზრუნველყოფილი ჰყავდათ. ჩვენი დაპყრობის შემდეგ ჰიტლერის ბოროტება სრულიად მსოფლიოზე გავრცელდებოდა.

ფაშისტებმა დაიპყრეს უკრაინა, ბელორუსია, დონბასი, ლენინგრადი, კავკასიაში შემოვიდნენ... ყველამ კარგად ვიცოდით, რომ გზადაგზა ყველაფერი შესაქმნელი გვქონდა, ჯარს მოდერნიზაცია სჭირდებოდა, ჰიტლერი, როგორღაც უნდა შეგვეჩერებინა... არმიის მოდერნიზაციასა და იარაღის გაუმჯობესებას უკანდახევისას ვახერხებდით.

**ფაშისტები სტალინგრადთან რომ მოვიდნენ, ჩვენ უკვე საკმაოდ ძლიერები ვიყავით და საშუალება არ მივეცით, გზა გაეგრძელებინათ. სტალინმა მთავრობა კუიბიშევში გაგზავნა, თვითონ კი კრემლში დარჩა, მარტო მართავდა ყველაფერს.**

სტალინგრადის მისადგომებთან ორ თვეს ვიბრძოდი. საბჭოთა არმიამ საუკეთესო ტექნიკა მიიღო და 1943 წლის 2 თებერვალს შეტევაზე გადავედით. 300 ათასი გერმანელი ჯარისკაცი ტყვედ ავიყვანეთ.

სტალინმა მისი და ქვეყნის ერთგული ჯარის ძალისხმევით დიად გამარჯვებას მიაღწია. 1417 დღის განმავლობაში ვიბრძოლეთ, ფაშისტები თავიანთ ბუნაგში გამოვამწყვდიეთ და დავამარცხეთ.

დიდი ბრძოლები გავიარეთ. გადავლახეთ ვოლგა, დნეპრი, დუნაი... გავიარეთ ბელორუსია, უკრაინა, პოლონეთი... ბრძოლით, თავგანწირვით გერმანიამდე ფეხით ჩავედით და გამარჯვების დროშა ავაფრიალეთ.

გერმანიას მსოფლიოს დაპყრობა სურდა, ჰიტლერი მხოლოდ გერმანელების კეთილდღეობაზე ზრუნავდა, სხვა დანარჩენი მისთვის სულერთი იყო, ამიტომ, ფაშისტების გამარჯვების შემთხვევაში, ერები გადაშენდებოდნენ, ჩვენგან არაფერი დარჩებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თავი უნდა დაგვეცვა, სამშობლო დაგვეცვა, რათა გადავრჩენილიყავით. საბჭოთა ჯარისკაცებმა დიდი მისია შევასრულეთ არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ სრულიად მსოფლიოს წინაშე.

სამწუხაროა, რომ დღეს ეს არ ფასდება, მაგრამ მჯერა, ისტორია ამ დიად გამარჯვებას არ დაივიწყებს. რამდენიმე დღის წინათ ახალგაზრდებმა შეხვედრა მოგვიწყეს, ეს ახალგზრდების ის მცირე ნაწილია, რომელიც ჩვენს ღვაწლს აფასებს... მათ სწორად აღნიშნეს, რომ საქართველომ ფაშიზმის დამარცხებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მიხარია ასეთ ახალგაზრდებთან ურთიერთობა.

ერთხელ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა — გაგიხარდათ, რომ დაიჭერითო? ვუპასუხე, — გამიხარდა, რომ მხოლოდ დავიჭერი, არ მოვკვდი და შემეძლო ისევ ფრონტის ხაზს დავბრუნებოდი-მეთქი. **ჭრილობის მოშუშების შემდეგ ისევ ომში დავბრუნდი, სნაიპერი ვიყავი და 59 გერმანელი სნაიპერი შევიწირე...**

**— ბატონო ტარას, როგორ განვითარდა მოვლენები ომის შემდგომ პერიოდში, როგორი იყო თქვენი ცხოვრება?**

— ომის შემდეგ გერმანიაში დავრჩი. გერმანია ოთხ ნაწილად დაიყო. საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის საჯარისო ნაწილები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვიყავით განაწილებულნი. ჩვენს შენაერთს **გიორგი ჟუკოვი** ხელმძღვანელობდა. მე ცენტრალური საარტილერიო ბაზის კომკავშირის კომიტეტის მდივნის თანამდებობა მეკავა. იქ გერმანულიც კარგად ვისწავლე, კარგი ხელფასიც მქონდა. მოკლედ, რამდენიმე წელიწადი გერმანიაში მომიწია ცხოვრება.

გერმანელები ძალიან მოწესრიგებულნი არიან, ომის შემდეგ მალე დააყენეს ქვეყანა ფეხზე. დღეს ჩემი შვილიშვილი იენში სწავლობს, იმ ქალაქში, სადაც დაჭრილი მიმიყვანეს.



**«ქართველებს არ შეგვეფერება ვილაცის სააპებლად სტალინის გინება. პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ბოლო წლებში მომიწია გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე ჩასვლა, ყველა გვეუბნება, სტალინს ქართველები არ აფასებთ და სხვა როგორ დააფასებსო... შეხედეთ დღევანდელ მსოფლიოს და გადახედეთ ისტორიას, გადახედეთ სტალინისდროინდელ მსოფლიოს. ვინც აზროვნებს, მიხვდება დიდი ბელადის ძალასა და შესაძლებლობებს»**




1947 წელს გერმანიიდან, საოკუპაციო არმიის რიგებიდან, ბალტიისპირეთში გადამიყვანეს, იქიდან კი საქართველოში დავბრუნდი. მშობლები ცოცხალი აღარ დამხვდნენ.

ომში ისე წავედი, საშუალო სკოლა დასრულებული არ მქონდა, ამიტომ ერთწლიანი საბუღალტრო კურსები გავიარე და მუშაობა ელმავალმშენებელ ქარხანაში დავიწყე. თავდაპირველად ბუღალტრობა შემომთავაზეს, მაგრამ ვერ გავბედე, გამოცდილება არ მქონდა და მოლარედ დავინიშნე. მალე ოჯახიც შევქმენი. დრო გადიოდა და მივხვდი, უმაღლესი განათლება მჭირდებოდა. თბილისში მოსკოვის სასწავლებლის ფილიალი იყო და გადავწვიტე, იქ ჩამებარებინა გამოცდები. გამომცდელს ძალიან გაუკვირდა, ჩემი წლოვანება რომ შეიტყო და მკითხა, — აქამდე სად იყავიო. ვუპასუხე, რომ ფრონტზე ვიყავი. გამოცდები წარმატებით ჩავაბარე. სწავლა დასრულებული არ მქონდა, რომ ჩემი სასწავლებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა და ეკონომიკურ-სტატისტიკური ფაკულტეტი დავამთავრე.

ამის შემდეგ წარმატებული ცხოვრება მქონდა — კარგი სამსახური, ოჯახი, სოფელში სახლ-კარი ავაშენე... წლების განმავლობაში დიდი პატივით გვილებდნენ მთელს საბჭოთა კავშირში. გამარჯვების დღეს, როცა გრანდიოზული ღონისძიებები იმართებოდა, ყველგან გვიწვევდნენ.

გულდასაწყვეტია, რომ დღეს არავის ვახსოვართ, არავის ვჭირდებით. ახლანდელი ახალგაზრდები მოხუცებს პატივს არ სცემენ. ამას წინათ ავტობუსში ადგილის დათმობა ვთხოვე ერთ ახალგაზრდას და შემომიკურთხა. გასული წლის 9 მაისს ვაკის პარკიდან ავტობუსით მოვდიოდი, ჯილდოები მეკიდა გულზე. პატარა ბავშვმა შემომხედა და დედას ჰკითხა, — რა უკეთიაო, დედამ კი უპასუხა, — არ ვიციო... მეწყინა, სიმართლე გითხრათ, აღარც მინდა, სადმე ჯილდოებით გამოვჩნდე... იყო დრო, როდესაც საცემადაც იწევდნენ. დღეს ასე აღარ არის, მაგრამ...

რამდენიმე წელიწადია, რუსეთის პრეზიდენტის — **ვლადიმერ პუტინის** ინიციატივით, დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად სხვადასხვა ქალაქში დიდი ღონისძიებები იმართება. ჩვენ ყველგან გვიწვევენ და სწორედ იქ, იმ ღონისძიებებზე ვგრძნობთ, რამხელა წვლილი გვაქვს შეტანილი ფაშისტური ბოროტების დამარცხებაში. უსაზღვროა იმ ადამიანების პატივისცემა ჩვენდამი. ასეთი დღეები სიცოცხლეს გვიხანგრძლივებს, გვაბედნიერებს...

მინდა, დღევანდელმა ახალგაზრდებმა, მხოლოდ ევროპა კი არა, პოსტსაბჭოთა სივრცეც ნახონ, გაიარონ, იცოდნენ, რამხელა იყო საბჭოთა კავშირი, როგორი ერთიანი იყო ეს უზარმაზარი ქვეყანა. კარგია ევროპა, კარგად ვიცნობ ევროპელებს, ბევრი კარგი თვისება აქვთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ მათგან კარგი არაფერი გადმოგვაქვს, მხოლოდ ცუდზე ვართ ორიენტირებულნი. ვურჩევ, სამშობლოს მიხედონ.

მინდა, იცოდნენ, რომ ჩვენ გამარჯვებას ერთობით მივაღწიეთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«გულდასაწყვეტია, რომ დღეს არავის ვახსოვართ, არავის ვჭირდებით. ახლანდელი ახალგაზრდები მოხუცებს პატივს არ სცემენ. ამას წინათ, ავტობუსში ადგილის დათმობა ვთხოვე ერთ ახალგაზრდას და შემომიკურთხა. გასული წლის 9 მაისს ვაკის პარკიდან ავტობუსით მოვდიოდი, ჯილდოები მეკიდა გულზე. პატარა ბავშვმა შემომხედა და დედას ჰკითხა, რა უკეთიაო, დედამ კი უპასუხა, არ ვიციო... მეწყინა, სიმართლე გითხრათ, აღარც მინდა, სადმე ჯილდოებით გამოვჩნდე... იყო დრო, როდესაც საცემადაც იწევდნენ. დღეს ასე აღარ არის, მაგრამ...»**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რეიმსში ხელმოწერილი კაპიტულაციის აქტი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტალინმა არ მიიღო, რადგან, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, მას სუსლოპაროვისთვის არ ჰქონდა აქტზე ხელმოწერის რწმუნება მიცემული. სტალინმა მკაცრად უსაყვედურა მოკავშირეებს შეუთანხმებელი მოქმედების გამო და შესთავაზა, წარმოედგინათ წინადადებები უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელმომწერთა შესახებ.**

# სტალინი და 1945 წლის 9 მაისი

**1945 წლის 2 მაისს ბერლინი დაეცა. მელიტონ ქანთარიამ და მიხეილ ეგოროვმა რაიხსტაგზე გამარჯვების წითელი დროშა აღმართეს. ბერლინში შესულმა წითელი არმიის ჯარისკაცებმა გამარჯვების სალუტი მოაწყვეს. ჰაერში ისროდა საომარი ტექნიკა მძიმე არტილერიით დაწყებული, „კატიუშებითა“ და ავტომატებით დამთავრებული. ზანზარებდა ფანჯრის მინები; ზანზარებდა შენობის კედლები, ავეჯი და ინვენტარი, უძრავი და მოძრავი ნივთები, ზანზარებდა დედამიწა. ქალაქი ნანგრევებში იყო ჩაფლული.**

3 მაისს ქალაქის განაპირა უბნებში კანტიკუნტად ისმოდა საარტილერიო გასროლები თუ ავტომატის კაკანი. ბრანდენბურგის კარიბჭის მიმდებარე ტერიტორიასა და რაიხსტაგის მოედანს, რომელიც ჭურვების აფეთქების გამო კრატერებად იყო ქცეული, მძიმე ტექნიკა ასწორებდა და ნაგვისგან ათავისუფლებდა. 3 მაისის გვიან საღამოს ბერლინის გარნიზონის ჯარების სარდლობამ უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა, 4 მაისს კი წითელი არმიის ნაწილებმა სწორედ ბრანდენბურგის კარიბჭესთან მოაწყვეს გამარჯვების აღლუმი, რომელიც მიიღო გენერალმა **ბერეზინმა.** სტალინს სრული საფუძველი ჰქონდა, ელიარებინა გერმანელთა კაპიტულაცია და გამოეცხადებინა გერმანელებზე სრული გამარჯვება, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ ფაშისტების ზოგიერთი დაუმორჩილებელი შენაერთი გაafთრებით იბრძოდა არა მხოლოდ გერმანიის ტერიტორიაზე, არამედ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ქუჩებშიც.

**ჩერჩილი** აჩქარებდა **ტრუმენს** ბერლინში შესვლას, რადგან, თუ სტალინი მათ ბერლინში შეასწრებდა, ევროპის საკითხი სხვანაირად გადაწყდებოდა, მაგრამ წითელი არმიის ნაწილებმა ლეგენდარული საბჭოთა სარდლების — **ჟუკოვის, როკოსოვსკისა** და **კონევის** — ხელმძღვანელობით, მოკავშირეთა ჯარები ბერლინის მისადგომებს ახლოსაც არ გააკარეს. ფაშისტური გერმანიის მესვეურებმა დასავლეთის მოკავშირეებს მიაშურეს და კაპიტულაცია შესთავაზეს, რომელიც გააფორმეს საფრანგეთის ქალაქ რეიმსში 7 მაისს. გერმანიის მხრიდან კაპიტულაციის აქტს ხელი მოაწერა გენერალმა **იოდლმა**, საბჭოთა კავშირის მხრიდან — გენერალმა **ივანე სუსლოპაროვმა.** ბრიტანეთისა და აშშ-ის მხრიდან — **უოლტერ ბედელ სმითმა.** აქტს, აგრეთვე, ხელი მოაწერა ფრანგმა გენერალმა **ფრანსუა სევეზმა.**

**რეიმსში ხელმოწერილი კაპიტულაციის აქტი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტალინმა არ მიიღო, რადგან, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, მას სუსლოპაროვისთვის არ ჰქონდა აქტზე ხელმოწერის რწმუნება მიცემული. სტალინმა მკაცრად უსაყვედურა მოკავშირეებს შეუთანხმებელი მოქმედების გამო და შესთავაზა, წარმოედგინათ წინადადებები უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე ხელმომწერთა შესახებ.** ამას გარდა, სტალინმა შეშფოთება გამოთქვა, რომ მტრის კაპიტულაცია არა მტრის მიწაზე, არამედ საფრანგეთის ერთ ქალაქში მოხდა. საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მოკავშირეებს შესთავაზა, მიეღწიათ შეთანხმება გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის ხელმოწერის ადგილის ბერლინში გამონახვის შესახებ.

1945 წლის 8 მაისს, 22 საათსა და 10 წუთზე ცენტრალური ევროპის დროით, ხოლო მოსკოვის დროით — 00 საათსა და 10 წუთზე, ბერლინის გარეუბანში, კარლსჰორსტის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის სააქტო დარბაზში, სადაც კედლებზე გამოფენილი იყო საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გერბები და დროშები, გრძელ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას მიუსხდნენ: საბჭოთა კავშირის მხრიდან — მარშალი ჟუკოვი, მოკავშირეთა კოალიციის მხრიდან — საექსპედიციო ჯარების მთავარსარდალი, ავიაციის მთავარი მარშალი — **ტედერი**, ხელმოწერის დასტურის მოწმენი — ამერიკის სტრატეგიული საჰაერო ძალების სარდალი **სპაატსი** და საფრანგეთის არმიის გენერალი **ჟან დე ლატრ დე ტასინი.** დარბაზში შევიდნენ აკრედიტებული ჟურნალისტები და კინო და ფოტოდოკუმენტალისტები, ბერლინის აღების მონაწილე მაღალი რანგის სამხედროები.

**00 საათი და 20 წუთი.**

**გიორგი ჟუკოვი:** — „ჩვენ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის წარმომადგენლები და მოკავშირეთა ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა, უფლებამოსილი ჩვენი ქვეყნების მთავრობათა მიერ, ვიღებთ დღეს გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელებისგან ომში დამარცხების უსიტყვო კაპიტულაციას. გთხოვთ, შემოიყვანოთ დარბაზში გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა!“

**00 საათი და 25 წუთი.**

დარბაზში მყოფნი კარისკენ შებრუნდნენ, რათა დაენახათ ადამიანები, რომლებიც 4 წლის წინათ ამბობდნენ, რომ ელვისებურად დაიპყრობდნენ ინგლისსა და საფრანგეთს, ხოლო 1 ან 2 თვეში — საბჭოთა კავშირს.

**00 საათი და 30 წუთი.**

„გერმანიის უმაღლესი მთავარსარდლობა გაცნობებთ: ფრონტის მთელ ტერიტორიაზე ვერმახტის ყველა ნაწილი, ყველა შეიარაღებული ორგანიზაცია და ცალკეული პირები, რომლებიც ეწეოდნენ საომარ მოქმედებას, შეწყვეტენ წინააღმდეგობას 1945 წლის 9 მაისიდან და შემდგომ ყველა სამხედრო ნაწილის რადიოკავშირი და ქმედება იქნება ლეგალიზებული“, — განაცხადა **ვილჰელმ კაიტელმა.**

**00 საათი და 43 წუთი.**

წინასწარ მომზადებულ და მოკავშირეებთან შეთანხმებულ უსიტყვო კაპიტულაციის აქტზე დაიწყო ხელმოწერა.

**00 საათი და 45 წუთი.**

**ჟუკოვი:** — „გერმანელმა სამხედროებმა დატოვონ დარბაზი“.

**00 საათი და 47 წუთი.**

„გარდა სამხედროებისა, ყველამ დატოვოს დარბაზი“, – განაცხადა ჟუკოვმა და ჩვენ, ყველამ, ერთად დავტოვეთ ხელმოწერის დარბაზი, სადაც სამხედროები განაგრძობდნენ უსიტყვო კაპიტულაციის აქტის სრულყოფას და მის მომზადებას მოსკოვში სტალინთან გასაგზავნად“, – იგონებს ფრონტის ამბების მიმომხილველი **ბორის სოკოლოვი.**

**00 საათი და 57 წუთი.**

საბჭოთა შეიარაღებული მთავარსარდლობის სახელით ჟუკოვმა ყველა იქ დამსწრეს მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვება.

„დარბაზში ატყდა სიხარულის ჟრიამული. ყველა ერთმანეთს კოცნიდა და ესალმებოდა, — იგონებს მარშალი ჟუკოვი, — ჩემ გარშემო შეიკრა თანამებრძოლების წრე: **სოკოლოვსკი, მალინინი, ტელეგინი, ანტიპენკო, კოლპაჩკი, კუზნეცოვი, ბოკოვი, გორბატოვი** და სხვ.“

**01 საათი და 01 წუთი.**

კაპიტულაცია ძალაში შევიდა.

**01 საათი და 30 წუთი.**

საბჭოთა და მოკავშირეთა სარდლობა ემზადება საზეიმო ვახშმისათვის, რომელიც გახსნა მარშალმა ჟუკოვმა. მან სადღეგრძელოსთვის სიტყვა გადასცა ანტიჰიტლერული კოალიციის დიდი ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალების მთავარსარდალს არტურ ტედერს.

**01 საათი და 55 წუთი.**

სადღეგრძელოს წარმოთქვამს ფრანგი გენერალი **დე ლატრ დე ტასინი.**

**02 საათი და 00 წუთი.**

სადღეგრძელოს წარმოთქვამს ამერიკის საჰაერო ძალების სარდალი ენდრიუ სპაატსი.

მაშინ, როდესაც ბერლინში საზეიმო ვახშამი მიმდინარეობდა, წითელ მოედანზე, კრემლთან ახლოს, სპეცთვითმფრინავი დაეშვა, რომელსაც მართავდნენ გამოცდილი და სახელმოხვეჭილი მფრინავები, **ალექსეი სემენკოვი** (მეთაური) და **აბდუსამატ ტაიმეტოვი.**

საჰაერო ხომალდის მეთაური ალექსეი სემენკოვი, რომელსაც სპეცჩანთაში ედო გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტი, სასწრაფოდ კრემლისკენ გაეშურა.

სტალინს სიამაყით გადასცეს საუკუნის ყველაზე ძნელად მოპოვებული, პლანეტის გადარჩენის ყველაზე ძვირად ღირებული დოკუმენტი. ბელადმა დინჯად ჩაიკითხა უსიტყვო კაპიტულაციის აქტის მუხლები და წითელი ფანქრით დააწერა: **„პირად არქივში. ი. სტალინი“.** შემდგომ უკვე გამზადებულ ბრძანებას, რომელსაც სულ მალე მიკროფონთან წაიკითხავენ, ხელი მოაწერა და კაბინეტში სასწრაფოდ იხმეს **იური ლევიტანი,** რომელსაც ბრძანების ტექსტი სტალინმა თვითონ გადასცა.

ლევიტანი თანმხლებ პირთან ერთად სასწრაფოდ გაემართა წითელ მოედანთან ახლოს მდებარე სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის შენობაში განთავსებული რადიოანძისკენ, რათა მსოფლიოსთვის ემცნო ეს სასიხარულო ამბავი.

წითელი მოედანი ხალხით იყო სავსე. ლევიტანის თავგანწირულ მცდელობას, პანიკური ყვირილით, — „გამატარეთ, სასწრაფო საქმეა“, — ხალხი აგრესიულად ხვდებოდა, — გაჩერდი, რა დროს საქმეა, ლევიტანი სტალინის ბრძანებას წაიკითხავსო. „გასვლა შეუძლებელი იყო, — იგონებს ლევიტანი, — უცებ უკნიდან შემომესმა: „სასწრაფოდ დაბრუნდით, აქაც გვაქვს საშუალება!“. გამახსენდა, რომ სათადარიგო რადიოკვანძი კრემლშიც არსებობდა. სირბილით ისევ კრემლისკენ გავემართეთ, მაგრამ კრემლს შიგნით შესვლის თავისებური წესი ჰქონდა. დაცვას აჩქარებით ვუხსნიდით, რაშიც იყო საქმე. ისინი კი შიგა ტელეფონებით გადასცემდნენ ერთმანეთს, რომ არ შეეკავებინათ ორი მორბენალი ახალგაზრდა, რადგან განსაკუთრებულ დავალებას ასრულებდნენ“.




**03 საათი და 00 წუთი.**

ლევიტანი ჟრუანტელის მომგვრელი ხმით აცხადებს: „ყურადღება, ყურადღება! მოისმინეთ განსაკუთრებული მნიშვნელობის ცნობა. დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. ახლა შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ დადგა გერმანიის საბოლოო განადგურების ისტორიული დღე, გერმანიის იმპერიალიზმზე ჩვენი ხალხის დიადი გამარჯვების დღე“.

**03 საათი და 20 წუთი.**

მოსკოველი **სურკოვა** იხსენებს: „სამი საათია. ისმის საშინელი ბრახუნი კარზე. ალბათ, მიწისძვრაა, — ვიფიქრე, მაგრამ შემომესმა ხმამაღალი შეძახილი: „ადექით, ომი დამთავრდა!“.

**03 საათი და 23 წუთი.**

ყველა კარი ღიაა. დერეფანში ზღვა ხალხია. ყველა ერთმანეთს კოცნის და თავდავიწყებამდე ყვირის სიხარულით. იქოქება პატეფონები და ირთვება რადიომიმღებები. მღერიან ერთად და ცალ-ცალკე. ერთმანეთს უყურებენ თვალებში და სიხარულის ცრემლი სდით.

**03 საათი და 30 წუთი.**

გერმანიის მთავარსარდლობამ გამოაცხადა: „შუაღამეს ყველა ფრონტზე გერმანელმა მეომრებმა იარაღი უნდა დაყარონ. გროსადმირალის ბრძანებით, ყველა გერმანელმა ჯარისკაცმა შეწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა“. ამით დასრულდა სისხლისმღვრელი ომი, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა 1939 წლიდან.

**06 საათი და 00 წუთი.**

ლევიტანი კითხულობს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებას, რომელიც შემდგომ გადაიცემა ყოველ საათში. განუწყვეტლივ გუგუნებს მარშის ჰანგები. წითელ მოედანზე ენით აუწერელი სიხარულის ატმოსფეროა. ყველა ცეკვავს, ერთმანეთს კოცნის განურჩევლად ნაცნობობისა. ჯგუფ-ჯგუფად ცეკვავენ და მღერიან მოსკოველები. წითელ მოედანზე შემოდის ჯარისკაცებით დატვირთული სატვირთო ავტომანქანები, მათ ხალხი აღტყინებით ხვდება. ▶

**სტალინს სიამაყით გადასცეს საუკუნის ყველაზე ძნელად მოპოვებული, პლანეტის გადარჩენის ყველაზე ძვირად ღირებული დოკუმენტი. ბელადმა დინჯად ჩაიკითხა უსიტყვო კაპიტულაციის აქტის მუხლები და წითელი ფანქრით დააწერა: «პირად არქივში. ი. სტალინი». შემდგომ უკვე გამზადებულ ბრძანებას, რომელსაც სულ მალე მიკროფონთან წაიკითხავენ, ხელი მოაწერა და კაბინეტში სასწრაფოდ იხმეს იური ლევიტანი, რომელსაც ბრძანების ტექსტი სტალინმა თვითონ გადასცა**

# ჩერჩილი აჩქარებდა ტრუმენს ბერლინში შესვლას, რადგან, თუ სტალინი მათ ბერლინში შეასწრებდა, ევროპის საკითხი სხვანაირად გადაწყდებოდა, მაგრამ წითელი არმიის ნაწილებმა ლეგენდარული საბჭოთა სარდლების — ჟუკოვის, როკოსოვსკისა და კონევის — ხელმძღვანელობით, მოკავშირეთა ჯარები ბერლინის მისადგომებს ახლოსაც არ გააკარეს.

გრიგოლ ოniანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**08 საათი და 00 წუთი.**

„ბერლინში ისმის ჰაერში სროლის ხმა. ზალპთან ერთად ჰაერში ფრინავს სამხედრო „პილოტურები". გუგუნებს ბერლინის ქუჩები. რაც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა, ეს იყო დანგრევას გადარჩენილი შენობების გამოღებულ ფანჯრებში გადმოკიდებული თეთრი ზეწრები. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ჩვენი დიდი გამარჯვებაა", — იგონებს არტილერისტი **არკადი ბლიახერი**, რომელიც გამარჯვების დღეს ბერლინის ქუჩებში დაესწრო.

**08 საათი და 27 წუთი.**

დანციგში იზოლირებული და ტყვედ აყვანილი იქნა 75 000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 12 გენერალი.

**08 საათი და 48 წუთი.**

შეპყრობილ იქნა **გერმან გერინგი**, რომელმაც განაცხადა: „აი, ხომ ხედავთ, რომ არ მომკლეს. მე შეგნებულად შევხვდი ნაციზმის დასასრულს და ამით შევიქმენი საიმედო თავშესაფარი".

**09 საათი და 25 წუთი.**

მეხუთე გვარდიული არმია თავისი უმთავრესი დამრტყმელი ძალით, მარშალ კონევის სარდლობით, ათავისუფლებს ქალაქ პრაღას ჰიტლერელი დამპყრობლებისაგან.

**10 საათი და 00 წუთი.**

პრაღა მთლიანად იქნა გაწმენდილი გერმანელებისგან და პირველი მარშალმა კონევმა ბრძანა, პრაღის განთავისუფლების დღე აღენიშნათ საერთო მხიარულებითა და ზეიმით.

**11 საათი და 00 წუთი.**

საბჭოეთის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები ქალაქის მოედნებზე, ფაბრიკებში, ქარხნებში, კოლმეურნობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში ზეიმის მიმდინარეობის შესახებ.

**11 საათი და 05 წუთი.**

სევასტოპოლში მცხოვრები **ზოია დოლგუშევა** იგონებს: „რაიონიდან დარეკეს ჩვენს სოფელში, რომ ომი დამთავრდა. მთელი სოფელი ეკლესიასთან მივიდა და ატყდა ზარების რეკვა. ჩვენს სოფელში თითქმის ყველა ქალი ქვრივია, ბავშვი — ობოლი, მაგრამ ყველა ბედნიერი ვართ და სიხარულისგან ცრემლი გვდის".

**12 საათი და 00 წუთი.**

დაარიგეს გაზეთები, რომლებსაც პირველ გვერდზე დიდი ასოებით აწერია: „გაიმარჯვა არა სტალინმა, არამედ ხალხმა!", ქვეშ მიწერილია სიტყვები: „გაუმარჯოს ყველა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, ჩვენს მშობლიურ სტალინს".

**12 საათი და 35 წუთი.**

მეკავშირეებმა ხელთ იგდეს გერმანელთა რადიოგრამა: „რეიდზეა დიდი რაოდენობით გემი და სამგზავრო ხომალდი, რომლებზეც იმყოფება 7000 ჯარისკაცი და ოფიცერი. გემების მოძრაობა დანიშნულების მიმართულებით გრძელდება".

**12 საათი და 50 წუთი.**

ბერლინში ჟუკოვს აცნობეს, რომ გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტი და თანმდევი დოკუმენტაცია გადაცემულია უმაღლესი მთავარსარდლისთვის.

**12 საათი და 55 წუთი.**

ავსტრიის ქალაქ ცვეტლიდან მოვიდა დეპეშა. იუწყებიან, რომ ამერიკელებს ტყვედ ჩაბარდა გერმანელთა მესამე სატანკო დივიზია — „მკვდარი თავი" თავისი სარდლით, ბრიგადენფიურერ **ჰელმუტ ბეკერის** მეთაურობით, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცა საბჭოთა სარდლობას.

**18 საათი და 00 წუთი.**

წითელ მოედანზე მოზეიმე ხალხის წინაშე წარდგა 250 მსახიობი, რომლებიც თავიანთ გამოსვლებს გადახსნილი სატვირთო მანქანის ძარებზე ატარებდნენ.

**18 საათი და 20 წუთი.**

პოლონეთში ნაღმზე აფეთქდა საბჭოთა კავშირის გმირი **იოსებ მატრუნჩიკი.**

18 საათი და 30 წუთი.

ავსტრიის ტერიტორიაზე მოქმედმა გერმანელმა სამხედროებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს.

**21 საათი და 00 წუთი.**

საბჭოთა ხალხს კრემლიდან სტალინმა მიმართა:

„ამხანაგებო! თანამემამულენო!

დადგა დიადი დღე გერმანიაზე გამარჯვებისა. წითელი არმიისა და ჩვენი მოკავშირეების ჯარების მიერ დაჩოქებულმა ფაშისტურმა გერმანიამ თავი დამარცხებულად აღიარა და უსიტყვო კაპიტულაცია გამოაცხადა. 7 მაისს ქალაქ რეიმსში ხელმოწერილ იქნა კაპიტულაციის წინასწარი ოქმი. 8 მაისს გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებმა მოკავშირეთა ჯარების უმაღლესი სარდლობისა და საბჭოთა ჯარების უმაღლესი მთავარსარდლობის წარმომადგენელთა თანდასწრებით ბერლინში ხელი მოაწერეს კაპიტულაციის საბოლოო აქტს, რომლის შესრულებაც დაიწყო 8 მაისს, 24 საათიდან.

ამიერიდან ევროპაში იფრიალებს ხალხთა თავისუფლებისა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის დიადი დროშა.

სამი წლის წინათ ჰიტლერმა საჯაროდ თქვა, რომ მისი ამოცანა საბჭოთა კავშირის დანაწილება და მისგან კავკასიის, უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთისა და სხვა ოლქების მოწყვეტაა. მან პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვსპობთ რუსეთს, რათა ვერასოდეს შეძლოს წამოდგომა". ეს იყო სამი წლის წინათ, მაგრამ ჰიტლერის უგუნურ იდეებს ასრულება არ ეწერა, — ომის მსვლელობამ გააცამტვერა ისინი. გამოვიდა იმის საწინააღმდეგო, რასაც ჰიტლერელები ბოდავდნენ — გერმანია სასტიკად დამარცხდა. გერმანიის ჯარები კაპიტულაციას ახდენენ. საბჭოთა კავშირი გამარჯვებას ზეიმობს, თუმცა იგი გერმანიას არც დანაწილებას უპირებს და არც მოსპობას.

ამხანაგებო! დიდი სამამულო ომი ჩვენი სრული გამარჯვებით დასრულდა. ევროპაში დაიწყო მშვიდობიანი განვითარების პერიოდი. მოგილოცავთ გამარჯვებას, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო!"

**21 საათი და 30 წუთი.**

სტალინმა გადაწყვიტა, არ ჩაეტარებინა გამარჯვების აღლუმი, რადგან მოქმედი არმიები და სარდლები არ იმყოფებოდნენ მოსკოვში და აღლუმი სრულფასოვანი არ იქნებოდა.

„აუცილებელია ჩვენი მამაცი ჯარისკაცებისა და მთავარსარდლების დაბრუნებას დედაქალაქში", — განაცხადა სტალინმა.



1945 წლის 8 მაისი. კარლსჰორსტის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის სააქტო დარბაზი



გენერალ-პოლკოვნიკი ალფრედ იოდლი ხელს აწერს კაპიტულაციის აქტს

**1945 წლის 8 მაისს, 22 საათსა და 10 წუთზე, ცენტრალური ევროპის დროით, ხოლო მოსკოვის დროით — 00 საათსა და 10 წუთზე, ბერლინის გარეუბანში, კარლჰორსტის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის სააქტო დარბაზში, სადაც კედლებზე გამოფენილი იყო საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გერბები და დროშები, გრძელ მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდას მიუსხდნენ: საბჭოთა კავშირის მხრიდან — მარშალი ჟუკოვი, მოკავშირეთა კოალიციის მხრიდან — საექსპედიციო ჯარების მთავარსარდალი, ავიაციის მთავარი მარშალი — ტედერი, ხელმოწერის დასტურის მოწმენი — ამერიკის სტრატეგიული საჰაერო ძალების სარდალი სპაატსი და საფრანგეთის არმიის გენერალი ჟან დე ლატრ დე ტასინი**



**21 საათი და 55 წუთი.**

ლეგენდარული დიქტორი ლევიტანი რადიოთი გადასცემს უმაღლესი მთავარსარდლის — სტალინის ბრძანებას „წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი":

„1945 წლის 8 მაისს ბერლინში გერმანიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

დიდი სამამულო ომი, რომელსაც საბჭოთა ხალხი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ეწეოდა, ძლევამოსილად დამთავრდა — გერმანია განადგურებულია.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, გილოცავთ დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრებას!

**გერმანიაზე სრული გამარჯვების აღსანიშნავად დღეს, 9 მაისს, გამარჯვების დღეს, 22 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი, სამშობლოს სახელით, 1000 ქვემეხიდან 30 საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც ეს ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს.**

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლებში!

გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს!"

**22 საათი და 00 წუთი.**

იწყება საზეიმო სალუტი. ქალაქი მოსკოვი სალუტს აძლევს წითელი არმიის ნაწილებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ხომალდებსა და მატროსებს, მტერზე ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვების აღსანიშნავად. ქუხს 1000 ქვემეხი. თითოეულმა 30 საარტილერიო გასროლა შეასრულა.

**22 საათი და 10 წუთი.**

მოსკოვის ცის ტატნობზე გამოჩნდება საჰაერო აპარატზე ჩამოკიდებული სტალინის უზარმაზარი პორტრეტი, რომელიც სალუტის მიცემისას წითელი მოედნის ოთხივე კუთხიდან განათებულია უძლიერესი პროჟექტორების შუქის ნაკადით, რასაც წითელ მოედანზე გამოსული ასიათასობით მოზეიმე გამაყრუებელი ყიჟინით ხვდება. გაისმის ყველასათვის ნაცნობი სიტყვები — „დიდება დიდ სტალინს".

**22 საათი და 15 წუთი.**

**ვსევოლოდ ვიშნევსკი** იგონებს: „საღამოს 10 საათზე გამარჯვების სალუტი აზანზარებდა წითელ მოედანს, რასაც უერთდებოდა მოზეიმე ხალხის ცეკვა-სიმღერა. ადამიანების ახალ-ახალი ტალღა ემატებოდა წითელი მოედნის მიმდებარე ქუჩებსა და მოედნებს. ცა განათებული იყო ფოიერვერკებით. ხალხი უსაზღვროდ ბედნიერი გახლდათ. ეს იყო ჩვენი გამარჯვება".

ეს ყველაფერი სტიქიურად მიმდინარეობდა, მაგრამ მკითხველს მომავალ წერილში გავაცნობ წითელ მოედანზე დაგეგმილ და ჩატარებულ სანახაობას, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცობრიობას და, რომლის განმეორებაც თითქმის შეუძლებელი ჩანს. ეს გრანდიოზული სანახაობა, რომელშიც მონაწილეობდა 20 000-ზე მეტი ადამიანი, სტალინის რეჟისორულმა ნიჭმა ერთ ორგანიზმად აქცია და განაცვიფრა იმჟამინდელი მსოფლიო.

ეს 1945 წლის 24 ივნისს ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმზე მოხდა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1941-1945 წლების ომზე ბრიტანულ-ამერიკული ისტორიული და სამხედრო ისტორიული ლიტერატურა ასეულობით წიგნსა და ათასობით სტატიას ითვლის. ამ წიგნებისა და სტატიების ძირითადი ნაწილი, რომლებიც შორსაა ჭეშმარიტებისგან, მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლებისა და ახალი მსოფლიო ომის მოსურნეთა შეკვეთით დაიწერა და მიზნად ისახავს მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის როლის დაკნინებას, ქვეყნისა, რომელმაც ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა. დასავლელ ისტორიკოსებს სურთ, წარმოაჩინონ, თითქოს აშშ და დიდი ბრიტანეთი იყო მთავარი ძალა, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა. სწორედ ასე ასწავლიან აშშ-ისა და ბრიტანეთის სკოლებში.**

# ისტორიის ფალსიფიკატორები

**1941-1945 წლების დიდი სამამულო ომი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ნაწილია კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი კონფლიქტისა (1939-1945 წწ.), რომელშიც იმხანად არსებული 73 სახელმწიფოდან 62 მონაწილეობდა, ანუ დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტი. 1945 წლის გაზაფხულზე, გერმანელი ფაშისტების გაავფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა არმიის მეომრები ბერლინში შეიჭრნენ და 1 მაისს, დაახლოებით 3 საათზე, საბჭოთა არმიის მეომრებმა — მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშაააფრიალეს.**
**ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს ჯერ 7 მაისს მოაწერეს ხელი რეიმსში (საფრანგეთი), შემდეგ კი, როდესაც სტალინს არ მოეწონა არც ხელმომწერთა რანგი და არც ხელმოწერის ადგილი, 8 მაისს — ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში. კაპიტულაცია ძალაში შევიდა 8 მაისს, 23 საათსა და 1 წუთზე ცენტრალური ევროპის დროით, როცა საბჭოთა კავშირში (მოსკოვში) უკვე 1-ელი საათი და 1 წუთი იყო. შესაბამისად, სსრკ-ში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე 9 მაისს აღინიშნება, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში — 8 მაისს.**

## ვინ და რატომ აყალბებს დიდი სამამულო ომის ისტორიას



ყოველ 9 მაისს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ომგამოვლილი ვეტერანები, უკვე თითზე ჩამოსათვლელნი, ზეიმობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებას და პატივს მიაგებენ დაღუპული თანამებრძოლების ხსოვნას. დასავლური დემოკრატიის მიერ გულუხვად ნაკვები ფალსიფიკატორები კი, რომლებიც საკმაოდ არიან დასავლეთშიც და ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, ამ თარიღის აღნიშვნის წინ ხშირად ჩნდებიან ტელეეკრანებზე თუ ბეჭდურ მედიაში, რათა „შეაფასონ“ მეორე მსოფლიო ომის შედეგები. მათ ინტერვიუებსა და სტატიებს რეფრენად გასდევს მართლაც საჭირო ლოზუნგი: **„მეორე მსოფლიო ომის ისტორია ტყუილისა და ცილისწამებისგან, ანუ ფალსიფიკაციისგან უნდა გაიწმინდოს!“**. ამისკენ ზოგიერთი „ავტორიტეტული ისტორიკოსი“ გულწრფელად, კეთილშობილური მიზნით მოუწოდებს, მაგრამ არცთუ ცოტაა ისეთი, რომლებსაც მერკანტილური ინტერესი ამოძრავებთ — ცდილობენ მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის როლის დაკნინებასა და ბრიტანელთა და ამერიკელთა წვლილის შთამბეჭდავად წარმოჩენას, საბჭოთა არმიისთვის აგრესორის იარლიყის მიწებებას. ასე ხდება, მაგალითად, **პოლონეთში; ბალტიისპირეთის ქვეყნებში** ფაშისტებისგან გათავისუფლებას საბჭოთა ოკუპაციას უწოდებენ; **უკრაინელებმა** კი, რომლებმაც ფაშისტების ოკუპაციის დამანგრეველი შედეგები საკუთარ თავზე იწვნიეს, გამარჯვების დღის აღნიშვნა 8 მაისს დაიწყეს (?!).

ფაქტების დამახინჯებისა და, საერთოდ, ომის ისტორიის ფალსიფიცირებასთან ერთად, დასავლელი ისტორიკოსების ძალისხმევით შეიცვალა ტერმინებიც. მაგალითად, **„ფაშისტური გერმანია“ — „მესამე რაიხით“, „ფაშისტური ბლოკი, ფაშისტების სატელიტები“ — „ღერძის“ ქვეყნებად, გერმანიის მოკავშირეებად“, „ფაშისტების ხელშემწყობები“ — „კოლაბორაციონისტებად“** და ა.შ. ამას გარდა, **კომუნიზმსა და ფაშიზმს ერთ საფეხურზე აყენებენ.**

ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება დასავლეთის, კერძოდ, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ძალისხმევით, რომლებიც ყველანაირ ხერხს იყენებდნენ საბჭოთა კავშირის დასანგრევად 1917 წლიდან, ანუ შექმნის მომენტიდანვე, ახლა კი რუსეთს უპირისპირდებიან, რათა ხელში ჩაიგდონ ამ ქვეყნის სიმდიდრეები.

ამას აკეთებენ მიზანმიმართულად, რათა ადამიანების მეხსიერებიდან წაშალონ **სტალინის** ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხების დიადი გამარჯვება ფაშიზმზე.

დიდ სამამულო ომზე ბრიტანულ-ამერიკული ისტორიული და სამხედრო ისტორიული ლიტერატურა ასეულობით წიგნსა და ათასობით სტატიას ითვლის. ამ წიგნებისა და სტატიების ძირითადი ნაწილი, რომლებიც შორსაა ჭეშმარიტებისგან, მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლებისა და ახალი მსოფლიო ომის მოსურნეთა შეკვეთით დაიწერა და მიზნად ისახავს ამ ომში სსრკ-ის როლის დაკნინებას, ქვეყნისა, რომელმაც ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა. დასავლელ ისტორიკოსებს სურთ, წარმოაჩინონ, რომ თითქოს აშშ-დიდი ბრიტანეთი იყო მთავარი ძალა, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა. სწორედ ასე ასწავლიან აშშ-ისა და ბრიტანეთის სკოლებში.

ჰიტლერელებთან დაპირისპირების ეპიზოდებს შორის, რომელთა ფალსიფიცირებისკენ არის მიმართული ამერიკელი და ინგლისელი ისტორიკოსების, ჟურნალისტებისა და მემუარისტების ძალისხმევა, ერთ-ერთია გერმანელთა შეტევის პერიპეტიები დასავლეთის ფრონტზე — **არდენზე** (ბელგიის სამხრეთი დასავლეთი) 1944 წლის დეკემბერში.

ამ მოვლენის მონაწილე **დუაიტ ეიზენჰაუერი** (აშშ-ის არმიის გენერალი, მოგვიანებით — 34-ე პრეზიდენტი) თავის წიგნში „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაზე“ ქებადიდებას არ იშურებს ინგლისელი და ამერიკელი ჯარისკაცებისა და გენერლების მიმართ, მაგრამ არაფერს ამბობს საბჭოთა მეომრებზე. ეიზენჰაუერის დაწყებული საქმე განაგრძეს ბრიტანეთისა და აშშ-ის არმიების ყოფილმა ხელმძღვანელებმა და რანგით დაბალმა სამხედროებმაც, მათ მხარი აუბეს ინგლისელმა ისტორიკოსებმა — **ფულერმა** და **ბურნემ**, ამერიკელებმა — **შუგმა** და **რალფ ინგერსოლმა.** ისინი თავიანთ „ნაშრომებში“ დაწვრილებით აღწერენ არდენის ბრძოლას და ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებენ 1945 წლის იანვარში საბჭოთა არმიის შეტევას, რომელმაც ინგლისელები და ამერიკელები კატასტროფას გადაარჩინა. ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად საბჭოთა არმიამ მწყობრიდან გამოიყვანა გერმანიის მოკავშირეები — რუმინეთი და ბულგარეთი, შემდეგ — ფინეთი და უნგრეთი.

დასავლელი ე. წ. ისტორიკოსები სტალინს მიაწერენ ციტატას: „თუ ამერიკის დამხობა გსურთ, უნდა გაანადგუროთ სამი რამ: მისი სული, მისი პატრიოტიზმი და მისი მორალი“. მაგრამ ეს ხომ დემაგოგიაა, ეს ხომ სწორედ რუსეთზე თქვა **ალენ დალესმა.** ამ ციტატას, ოღონდ რუსეთზე, ხელს მოაწერდა სსრკ-ისა და მართლმადიდებლობის მოძულე **ზბიგნევ ბჟეზინსკი** ან **მადლენ ოლბრაიტი.**

ლაპარაკიც არ ღირს გონებასუსტი **ნიკიტა ხრუშჩოვისა** და მისი თანამზრახველების სულელურ და სასაცილო ბრალდებაზე, სტალინი გლობუსით აფასებდა ფრონტზე შექმნილ ვითარებას და სამხედრო ოპერაციებს ასე გეგმავდაო, განვიხილოთ მხოლოდ რამდენიმე თვალსაზრისი, რომელთა „ჩაბეჭდვასაც“ ცდილობენ თანამედროვე ადამიანების გონებაში ისტორიის ფალსიფიკატორები:

*** ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება მოიპოვეს მოკავშირეებმა და ამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს.**

სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის თანამშრომლობა ფაშისტური ბლოკის განადგურების საქმეში საკვანძო ისტორიული მომენტია, მაგრამ სსრკ-ისთვის დასავლელი მოკავშირეების დახმარება დიდი სამამულო ომის წლებში გადამწყვეტი არ ყოფილა — საბჭოთა კავშირის ხალხებს ისედაც შეეძლოთ ფაშისტების დამარცხება, ოღონდ გაცილებით მეტი მსხვერპლის ფასად.

* ბევრი დასავლელი „ისტორიკოსი“ ცდილობს, მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ და მის საწყის პერიოდში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა აგებული იყო იმაზე, რომ ჰიტლერის ფაშისტურ გერმანიას გაელაშქრა საბჭოთა კავშირზე.

* ბევრს წერენ ლიუფტვაფეს (გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები) მიერ ინგლისის ქალაქების დაბომბვაზე, ქალაქ კოვენტრის დანგრევაზე, მაგრამ თითქმის არაფერს — გერმანიის ქა- ▶

**დიდი სამამულო მსოფლიო ომში 700 ათასი ქართველი მონაწილეობდა, მათგან 300 000-მა ფაშისტებთან ბრძოლას შესწირა სიცოცხლე, ანუ იმდენმა, რამდენმა ბრიტანელმაც, აგრეთვე, ამერიკელმა. საბჭოთა საქართველოს ქართველების მიერ შეტანილი წვლილი ნაციზმის დამარცხებაში საამაყოა და დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ყველაფერი უნდა გაკეთდეს**

**1998 წელს არქივების გახსნის შემდეგ მსოფლიოს საზოგადოებისთვის ცნობილი შეიქნა გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებასაც უინსტონ ჩერჩილი აპირებდა 1945 წელს, უკვე გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ — 1945 წლის 1 ივლისს, ბრიტანელთა დახმარებით გერმანელი ჯარისკაცები თავს უნდა დასხმოდნენ ევროპაში განლაგებულ საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებს. ამ გეგმის განხორციელებას საბჭოთა დაზვერვის მიერ ინფორმირებულმა სტალინმა შეუშალა ხელი**

**სამარცხვინოა, რომ ზოგიერთი მოგვიწოდებს, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე საქართველოში 8 მაისს აღინიშნოს. თანაც, ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც ამ ომში არ მონაწილეობდნენ, არც ისტორია იციან, ომის მონაწილე ვეტერანებს კი, რომლებმაც სისხლისმღვრელი ბრძოლებით გაათავისუფლეს ევროპა ფაშისტებისგან და ბერლინში, საკუთარ ბუნაგში, მოახრჩვეს ჰიტლერელთა ურდოები, არაფერს ეკითხებიან...**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





◀ ლაქებზე ბრიტანეთის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმების შესახებ, რომელიც დაიწყო 1942 წელს ქალაქ კელნისა და მისი მოსახლეობის განადგურებით. საერთოდ კი, ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალების სტრატეგია, ე.წ. ლინდემანის დოქტრინა, უწინარესად, მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის განადგურებას ისახავდა მიზნად.

*** დასავლელი ისტორიკოსები წერდნენ და წერენ ბრიტანელი სამხედროების მიერ ჩატარებული ოპერაციების მნიშვნელობაზე სსრკ-გერმანიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებში, ოპერაციაზე ჩრდილოეთ აფრიკაში, იტალიაში და ა.შ., ანუ ყველანაირად ცდილობდნენ „ნისლიანი ალბიონის“ წარმოჩენას ნათელ ფერებში. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ 1939-1945 წლებში დიდ ბრიტანეთს არა მხოლოდ არაერთხელ მოუმზადებია, არამედ განუხორციელებია კიდეც თავისი აგრესიული გეგმები ევროპის სახელმწიფოებისა და სსრკ-ის წინააღმდეგ.**

მაგალითად, **1940 წლის აპრილში მხოლოდ შემთხვევამ შეუშალა ხელი დიდ ბრიტანეთს, გერმანელებზე ადრე განეხორციელებინა სკანდინავიის ქვეყნების ოკუპაცია:** ნორვეგიის სანაპიროს დანაღმვა და ნორვეგიაში დესანტის გადასხმა, რომელიც დაგეგმილი იყო 5 აპრილს, ტექნიკური მიზეზებითა და ტრანსპორტის გაუმართაობის გამო გადაიდო 8 აპრილისთვის. გერმანელებმა კი შეძლეს დაესწროთ ინგლისელებისთვის — ისინი 9 აპრილს შევიდნენ ნორვეგიაში. საინტერესოა, რომ ნორვეგიაში შეჭრის შემდეგ ინგლისელები ფინელებთან ერთად აპირებდნენ სსრკ-ზე თავდასხმას. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის პერიოდში (1939-1940) და მისი დასრულების შემდეგაც ბრიტანელი სამხედროები ფრანგ კოლეგებთან ერთად ადგენდნენ საბჭოთა კავშირთან ომის გეგმებს. 1940 წელს სწორედ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის თავდაცვის შტაბების ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაებომბათ სსრკ-ის ნავთობით მდიდარი რაიონები — ბაქო, გროზნო, მაიკოპი. ოპერაცია უნდა დაწყებულიყო 1940 წლის ივლისში. ამ ოპერაციას დასავლეთ ფრონტზე გერმანიის გააქტიურებამ შეუშალა ხელი.

* აღსანიშნავია ბრიტანელთა აგრესია თვით ფრანგი მოკავშირეების წინააღმდეგ: 1940 წლის 3 ივლისს ბრიტანეთის ფლოტი თავს დაესხა ორანსა და დაკარში განლაგებულ საფრანგეთის ფლოტს და გაანადგურა გემები იმ საბაბით, რომ გერმანელებს არ ჩავარდნოდათ ხელში. 1944 წელს კი ბრიტანეთმა სამხედრო გზით მოახერხა ოკუპაცია **საბერძნეთისა**, რომელიც უკვე დატოვებული ჰქონდათ ჰიტლერელებს. ამ ოკუპაციის მიზანი იყო ის, რომ საბერძნეთში მემარცხენე ძალებს არ გაემარჯვათ.

*** 1998 წელს არქივების გახსნის შემდეგ მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის ცნობილი შეიქნა გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებასაც უინსტონ ჩერჩილი აპირებდა 1945 წელს, უკვე გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ — 1945 წლის 1 ივლისს ბრიტანელთა დახმარებით გერმანელი ჯარისკაცები თავს უნდა დასხმოდნენ ევროპაში განლაგებულ საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებს.** ამ გეგმის განხორციელებას საბჭოთა დაზვერვის მიერ ინფორმირებულმა სტალინმა შეუშალა ხელი. საერთოდ, კი ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ჰიტლერმა სსრკ-ზე თავდასხმის გეგმის განხორციელება Drang nach Osten („შეტევა აღმოსავლეთზე“) მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მიიღო გარანტია, რომ დიდი ბრიტანეთი ამ ომში არ ჩაერეოდა.

*** ბრიტანელთა მხრიდან ფაშისტებისთვის მიცემული გარანტიების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ბრიტანეთი, სსრკ-სა და აშშ-თან შეთანხმების მიუხედავად, 1944 წლის ზაფხულამდე (!) თავს იკავებდა მეორე ფრონტის გახსნისგან დასავლეთ ევროპაში.**

სსრკ-ის მოკავშირეებმა — აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა — მეორე ფრონტი გახსნეს (ოპერაცია „ოვერლორდი“) 1944 წლის 6 ივნისს, როდესაც დესანტი გადასხეს საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში — ნორმანდიაში. ამ ოპერაციას მოკავშირეების მხრიდან 280 ათასი კაცის სიცოცხლე შეეწირა, დაიჭრა — 153 ათასი.

რომელმა ქვეყანამ რა წვლილი შეიტანა და რა დანაკარგები განიცადა მეორე მსოფლიო ომში, ამაზე ციფრებიც მეტყველებს: **საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგა დაახლოებით 24,5 მლნ ადამიანი, მათ შორის, 15,7 მლნ მშვიდობიანი მოქალაქე; გერმანიამ — 6,7 მლნ ჯარისკაცი და დაახლოებით 1,5 მშვიდობიანი მოქალაქე; დიდმა ბრიტანეთმა — 300 ათასი ჯარისკაცი და 92 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 405 ათასი ჯარისკაცი.**

აღსანიშნავია, რომ **დიდ სამამულო ომში 700 ათასი ქართველი მონაწილეობდა, მათგან 300 000-მა ფაშისტებთან ბრძოლას შესწირა სიცოცხლე, ანუ იმდენმა, რამდენმა ბრიტანელმაც, აგრეთვე, ამერიკელმა. საბჭოთა საქართველოს ქართველების მიერ შეტანილი წვლილი ნაციზმის დამარცხებაში საამაყოა და დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ყველაფერი უნდა გაკეთდეს.**

და სამარცხვინოა, რომ ზოგიერთი მოგვიწოდებს, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე საქართველოში 8 მაისს აღინიშნოს. თანაც, ამას ამბობენ ის ადამიანები, რომლებიც ამ ომში არ მონაწილეობდნენ, არც ისტორია იციან, ომის მონაწილე ვეტერანებს კი, რომლებმაც სისხლისმღვრელი ბრძოლებით გაათავისუფლეს ევროპა ფაშისტებისგან და ბერლინში, საკუთარ ბუნაგში მოახრჩვეს ჰიტლერელთა ურდოები, არაფერს ეკითხებიან...

**ნიკა კორინთელი**

**ცნობისთვის: 9 მაისი გამარჯვების დღედ ოფიციალურად არის გამოცხადებული აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელარუსში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, რუსეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, საქართველოში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, სერბეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში.**

# ამერიკელთა ცინიზმი

## პენტაგონმა სირიასა და ერაყში კოალიციის მიერ განხორციელებული დაბომბვების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა თითქმის ათჯერ შეამცირა

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ყალბი მონაცემები გამოაქვეყნა სირიასა და ერაყში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგად დაღუპულთა რაოდენობის შესახებ — მათი რაოდენობა თითქმის 10-ჯერ არის შემცირებული.**

ამა წლის აპრილის ბოლოს ოპერაცია „ურყევი სიმტკიცის“ გაერთიანებულმა სარდლობამ მსოფლიოს საზოგადოებრიობას წარუდგინა მოხსენება ერაყსა და სირიაში მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის შესახებ. აშშ-ის მიერ შექმნილი კოალიციის გენერლების აზრით, 2014 წლის აგვისტოდან დღემდე სირიასა და ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციების შედეგად (20 205 ავიადარტყმა) დაიღუპა 352 მშვიდობიანი მოქალაქე.

**ციფრები, რომლებიც მოყვანილია ოპერაცია „ურყევი სიმტკიცის“ გაერთიანებული სარდლობის მოხსენებაში, ეჭვს იწვევს, რადგან კოალიციის მიერ განხორციელებული 20 205 ავიადარტყმის, სულ ცოტა, 30% მოდიოდა მჭიდროდ დასახლებულ კვარტლებზე ისეთი დიდი ქალაქებისა, როგორიც არის სირიაში რაკა (300 ათასზე მეტი მცხოვრები) და ერაყში — მოსული (1,5 მლნ კაცი). ამ ქალაქებში მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 1,8 მლნ-ს აჭარბებს, თანაც საომარი მოქმედებების (დაბომბვის) დაწყების წინ მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია არ მომხდარა.**

ამიტომ, ამერიკული კოალიციის ძალების მიერ განხორციელებული დაბომბვის ინტენსივობიდან გამომდინარე, მოხსენებაში მოყვანილი ციფრები, რბილად რომ ითქვას, შემცირებულია, ხოლო პირდაპირ თუ ვიტყვით, ბანალური ტყუილია.

**ვებგვერდ Airwars.org-ის მონაცემებით, ოპერაცია „ურყევი სიმტკიცის“ დაწყებიდან დღემდე 3 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. ერაყული ვებგვერდი IBQ (Iraq Body Qoynt)-ი კი უფრო მეტი დაღუპულის შესახებ იუწყება.** სირიაში მსხვერპლის ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, არანაკლებია ერაყში დაღუპულებზე.

**მხოლოდ ამა წლის მაისის დასაწყისში ერაყის სხვადასხვა ქალაქში, კოალიციის მიერ განხორციელებული სამხედრო მოქმედებების შედეგად, 63 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის — 9 ბავშვი.** აღსანიშნავია, რომ ადამიანები მხოლოდ დაბომბვის შედეგად არ დახოცილან, იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა კოალიციის წარმომადგენლები მშვიდობიან ადამიანებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესვრიან — ჰგონიათ, რომ ისინი „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები არიან. მაგალითად, 2017 წლის 1 მაისს ქალაქ მოსულის ერთ-ერთ გათავისუფლებულ რაიონში კოალიციის ქვედანაყოფების „ინსტრუქტორებმა“ ორი ახალგაზრდა გამოასალმეს სიცოცხლეს, როცა მათ სამხედროების მიერ ინგლისურ ენაზე გაცემული ბრძანება არ შეასრულეს.

მოამზადა
**ლუკა მაისურაძემ**



საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„სამამულო ომის გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობით ქართველი კაცი, უწინარესად, პატივს მიაგებს დაღუპული ქართველების ხსოვნას. მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარის თქმა არის ამ ადამიანთა ხსოვნის შეურაცხყოფა“**

## ასტანაში ჩატარებული საერთაშორისო ფორუმის გამოძახილი:

# პოპულიზმი და ფსევდოპატრიოტიზმი — მსოფლმხედველობრივი ნაპრალის კერა

**მეშვიდე საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც ყაზახეთის დედაქალაქმა ასტანამ მაღალ დონეზე უმასპინძლა, საქართველოში დიდი განხილვის საგანი გახდა. ფორუმი სახელწოდებით „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება: ფრონტის სიმამაცე — უდრეკი ზურგი“, 28 აპრილს ჩატარდა. მას ესწრებოდა 15 ქვეყნის (ყაზახეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, ყირგიზეთი, ლატვია, ლიტვა, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი, ესტონეთი) 240-ზე მეტი წარმომადგენელი. ფორუმი იმართება ყოველწლიურად (2010 წლიდან) პოლიტიკური ცენტრის — „სამხრეთი-ჩრდილოეთის“ ინიციატივით. ფორუმის მიზანი იყო საერთო ისტორიული მეხსიერებისა და იმ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცება, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ.**




ჯერ კიდევ ოცი წლის წინათ ასტანა ყაზახეთის ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული ქალაქი იყო. გასაოცარია, როგორ სწრაფად იქცა ყაზახეთის პროვინციული ქალაქი ქვეყნის მარგალიტად, მის დედაქალაქად. მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება, ვწვეოდი ასტანას — ძალიან ლამაზ, თანამედროვე ქალაქს. განსაკუთრებით აღვნიშნავდი ყაზახი ხალხის სტუმართმოყვარეობას. ქალაქის დათვალიერებისას მიხვდებით, რომ უზარმაზარი თანხაა ჩადებული ამ შედეგის მისაღწევად. ყაზახეთის მთავრობამ უსწრაფესად შეძლო, შეექმნა მომავლის არქიტექტურა. უზარმაზარ სივრცეზე გაშენებული ეს ახალი ქალაქი თვალისმომჭრელ პანორამას ქმნის, თითოეული უბანი არქიტექტურულად დახვეწილი და საინტერესოა. მოწესრიგებულია ქუჩები, უამრავი პარკი, შადრევანი. ახალაშენებული ცათამბჯენები აღფრთოვანებას იწვევს. თუ ასტანამ ასეთ მცირე დროში (1997 წლიდან) შეძლო განვითარება, როგორი იქნება ის 20 წლის შემდეგ? ყაზახეთის დედაქალაქის მიღწევები გვიჩენს მოტივაციას, საქართველოშიც შევქმნათ მსგავსი კომფორტული გარემო არა მხოლოდ ჩვენი მოქალაქეებისთვის, არამედ მსოფლიოდან ჩამოსული ტურისტებისთვისაც...

ფორუმში საქართველოს მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხით სპეკულირება კი, რასაც სამწუხაროდ ადგილი ქონდა, უბრალოდ, უპატივცემულობაა იმ დაღუპული გმირებისა, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად მსოფლიო ფაშიზმის დიქტატურისგან იხსნეს. ეს ელემენტარულია, რისი გაკეთებაც ჩვენ, შთამომავლებს, მათი სახელების უკვდავსაყოფად შეგვიძლია.

### „დღეს ჩაგვჩიჩინებენ, რომ ყველგან ინტეგრაციის გზით უნდა ვიაროთ, იმ ხალხებთან კი, ვისთან ერთადაც ფაშიზმს კუდით ქვა ვასროლინეთ, დეზინტეგრაცია უნდა დავიწყოთ“

**დავით სუხიაშვილი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი:**

— ასტანა მართლაც შთამბეჭდავი ქალაქია თავისი მასშტაბებითა და გემოვნებიანი არქიტექტურით. ქალაქის დათვალიერების შემდეგ გიკვირს, როგორ მოახერხა ყაზახმა ხალხმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ოცი წლის განმავლობაში ასეთი დედაქალაქის აშენება. **იქვე სინანულის განცდაც გიჩნდება, როცა გაფიქრებ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველებმა, ქალაქის კი არა, ჩვენს მრავალსაუკუნოვან დედაქალაქში მეტროპოლიტენის თითქმის აშენებული ერთი სადგურის ექსპლუატაციაში შეყვანა ძლივს მოვახერხეთ. არადა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას მოწინავე ადგილი ეკავა საბჭოთა კავშირში.**

რაც შეეხება სამამულო ომს, მას გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ისტორიაში. წითელმა არმიამ დაიცვა ხალხები ფაშისტებისგან და გამანადგურებელი დამარცხება აგემა **ჰიტლერსა** და მის მოკავშირეებს. დიდ სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავ მე-7 საერთაშორისო ფორუმს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ომი 72 წლის წინათ დასრულდა, ომის შემდგომ თაობებს არ უნახავს სამამულო ომის მსგავსი ფართომასშტაბიანი და სისხლისმღვრელი დაპირისპირება. მსგავსი შეხვედრები კიდევ ერთხელ გვახსენებს ისტორიის ამ მწარე გაკვეთილს და გვავალდებულებს, მეტი წინდახედულება გამოვიჩინოთ კრიზისულ მდგომარეობაში. მიმაჩნია, რომ მტრის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ერის მსხვერპლი ამ ომში თანაბრად შეუფასებელია.

**სამამულო ომის გამარჯვების აღსანიშნავად გამართულ ნებისმიერ ღონისძიებაში მონაწილეობით ქართველი კაცი, უწინარესად, პატივს მიაგებს დაღუპული ქართველების ხსოვნას. მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობაზე უარის თქმა არის ამ ადამიანთა ხსოვნის შეურაცხყოფა.** განსაკუთრებით საამაყოა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელ ომში წითელი არმიის მთავარსარდალი იყო ქართველი — **იოსებ ჯუღაშვილი**, რომელიც იმ ურთულეს პერიოდში წარმართავდა მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებს.

**დღეს ჩაგვჩიჩინებენ, რომ ჩვენი ინტეგრირება უნდა მოხდეს ყველგან, რომ ინტეგრირებული მსოფლიო უკეთესია, ამასთანავე, კატეგორიულად მოითხოვენ უკვე არსებული ერთობების დეზინტეგრაციას, ანუ ყველგან ინტეგრაციის გზით უნდა ვიაროთ, იმ ხალხებთან კი, ვისთან ერთადაც ფაშიზმს კუდით ქვა ვასროლინეთ, დეზინტეგრაცია უნდა დავიწყოთ.** მსგავსი იდეები სათავეს იღებს დასავლეთიდან, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, რაც ათწლეულების განმავლობაში დაუღალავი შრომისა და მოღალატეების დახმარებით სისრულეში მოიყვანეს. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა დეზინტეგრაციული იდეებისა და პროცესების წახალისება დასავლეთის მიერ. საბჭოთა კავშირის დაშლით გახარებულმა იმპერიალისტებმა ახლა რუსეთის ფედერაციის დაშლა დაისახეს მიზნად, ამიტომ მათთვის მიუღებელი და წარმოუდგენელიც კია პოსტსაბჭოთა სივრცეში ნებისმიერ ინტეგრაციულ პროცესზე საუბარი.

### „თაობათა შორის იდეოლოგიური დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზი არის მესამე მხარე, მისი იდეოლოგიური პოლიტიკა, რომელსაც მასზე დამოკიდებული ინტელექტუალურ-პოლიტიკური კლასის მეშვეობით ატარებს საქართველოში“

**ირაკლი უბილავა, პოლიტოლოგი:**

— სიმართლე გითხრათ, ქალაქი სრულად ვერ დავათვალიერე. ფორუმის ფორმატიდან გამომდინარე, ძალიან ცოტა დრო გვქონდა, მაგრამ, რაც ვნახე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასტანა ახალი, ჯერ კიდევ განვითარების სტადიაში მყოფი ქალაქია და ისე სწრაფად ვითარდება, ალბათ, ძალიან მალე მიიღებს იმ სახეს, რომელიც მის დამფუძნებლებს აქვთ ჩაფიქრებული. რაც შეეხება დიდ სამამულო ომს, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, პირველ რიგში, პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრები ხალხებისთვის, ვინაიდან ყველაზე დიდი მსხვერპლი ამ ხალხებმა გაიღეს ყავისფერი ჭირის — ფაშიზმის დასამარცხებლად. ფორუმზე იმ ადამიანთა შთამომავლები შეიკრიბნენ, რომლებიც დაახლოებით 4 წლის განმავლობაში მტერს მედგრად ებრძოდნენ. საქართველოსაც ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის ფაშიზმზე გამარჯვებაში და ჩვენ ამით ვამაყობთ. ასტანაში გამართულ ფორუმში მონაწილეობით პატივი მივაგეთ იმ დაღუპული გმირების ხსოვნას, რომელთა სიმამაცითა და თავგანწირვით დამარცხდა ფაშიზმი. **საქართველო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ასეთ ფორუმებში, რადგან ფაშიზმის დამარცხებაში ჩვენ მიერ გაღებული წვლილი ძალიან დიდია არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ინტელექტუალური რესურსის თვალსაზრისითაც. არც ერთი სხვა ერის ინტელექტუალურ რესურს არ ვაკნინებ, მაგრამ ქართველებმა დიდ სამამულო ომს მისცეს 2 დიდი ინტელექტუალური რესურსი — სტალინი და ბერია.** სტალინის გენიალურობამ (რაც უნდა თქვან სხვებმა) გადაწყვიტა ამ ომის ბედი, ამ ომში გამარჯვება. ამას ვამბობ სრული პასუხისმგებლობით.

გლობალიზაციის პირობებში მსგავსი ფორუმი ერთგვარი ხიდია, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს წარსულს და აწმყოს, უფროს და უმცროს თაობებს და, აგრეთვე, ქმნის პლატფორმას მომავალ თაობებთან კავშირის დასამყარებლად. **თაობათა შორის იდეოლოგიური დაპირისპირებების გამომწვევი მიზეზი არის მესამე მხარე, მისი იდეოლოგიური პოლიტიკა, რომელსაც მასზე დამოკიდებული ინტელექტუალურ-პოლიტიკური კლასის მეშვეობით ატარებს საქართველოში. ამ ძალას სურს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის საერთო დამაკავშირებელი ჯაჭვის გაწყვეტა, რათა არ განვითარდეს ინტეგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცეში.** ეს არ სურს მესამე გეოპოლიტიკურ ძალას, ამ შემთხვევაში აშშ-ს, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს და ნებისმიერი საშუალებით ცდილობს დეზინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოს უფროსი თაობის წარმომადგენელთა უმრავლესობა იმ ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოდელის მომხრეა, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში. უფროს თაობაზე ზეგავლენა გაცილებით რთულია, განსხვავებით ახალგაზრდა თაობისგან. **უცხო ძალისთვის გაცილებით მარტივია, ახალგაზრდა თაობაში დანერგოს ის იდეოლოგიური პოსტულატები, რომლებიც მისთვის იქნება მისაღები, ამ შემთხვევაში ლიბერალურ ფასეულობებზე დამყარებული იდეოლოგია, რომლის მეხოტბენიც თვითონ არიან.** ახალგაზრდა თაობას, გამოუცდელობის გამო, აკლია ანალიტიკური და პრაგმატული აზროვნების უნარი და პროდასავლურ ტალღაზეა, ხოლო უფროსი თაობის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ანტიდასავლურადაა განწყობილი და პოსტსაბჭოურ სივრცეში ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას ემხრობა.

რუსეთი, თავის მხრივ, არის დასავლური კონსერვატიული იდეოლოგიის გამტარებელი და საერთაშორისო ურთიერთობებში მოქმედებს თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ლიბერალები არ აღიარებენ ეროვნული ინტერესების პრიორიტეტულობას საგარეო პოლიტიკაში, ისინი ერთ იდეურ ჩარჩოში არიან მოქცეულნი და ისე აფასებენ მოვლე- ▶



„ასტანაში გამართულ ფორუმში მონაწილეობით პატივი მივაგეთ იმ დაღუპული გმირების ხსოვნას, რომელთა სიმამაცითა და თავგანწირვით დამარცხდა ფაშიზმი. საქართველო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ამ ფორუმში, რადგან ფაშიზმის დამარცხებაში ჩვენ მიერ გაღებული წვლილი ძალიან დიდია არა მხოლოდ ადამიანური, არამედ ინტელექტუალური რესურსის თვალსაზრისითაც“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




ნებს, თუ ამ ჩარჩოს გაცდი, ე.ი. მტერი ხარ, მოღალატე.

## „ქართველ საზოგადოებას არ სჭირდება დასავლური ლიბერალური რადიკალიზმი“

**სერგო სკამკოჩაშვილი, ბლოგერი:**

— ყაზახეთის დედაქალაქმა ასტანამ დადებითი შთაბეჭდილებები დამიტოვა. მოკლე პერიოდში ყაზახეთის **პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის** ინიციატივით, ყაზახეთის მთავრობამ შეუძლებელი შეძლო — შექმნა დედაქალაქი, რომელიც გამოირჩევა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც. ასტანაში ყოფნისას სტუმრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნაციონალურმა სამხედრო-პატრიოტულმა მუზეუმმა, რომელშიც მრავალი საინტერესო ისტორიული ექსპონატია თავმოყრილი.

რაც შეეხება მეშვიდე ფორუმის თემატიკას — სამამულო ომსა და ფაშიზმზე გამარჯვებას, ვიტყოდი, რომ საქართველო აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს ასეთ ფორუმებში, რადგან **ჩვენს ქვეყანას (ისევე, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკებს) დიდი წვლილი აქვს შეტანილი ფაშიზმზე გამარჯვებაში. კარგია, რომ ფორუმი გვაძლევს საშუალებას, არ დავივიწყოთ დაღუპული გმირების ღვაწლი და გამარჯვების სიხარულთან ერთად გავიზიაროთ საერთო ტკივილი, რაც ასევე გვაერთიანებს.** ეს ჩვენი ისტორიის ნაწილია და ფორუმში მონაწილეობაზე უარის თქმით, ჩვენს წარსულს გავექცეოდით, რაც დაუშვებელია. მივესალმები და ვისურვებდი, რომ სამომავლოდ კიდევ უფრო გამყარდეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის კავშირები.

**ის იდეოლოგიური დაპირისპირება, რომელიც არსებობს დღეს ჩვენს თაობაში, არის შედეგი მესამე ძალის მიერ გავრცელებული ვირუსისა, რომელიც მიზნად ისახავს ქართველი ხალხის იდეოლოგიურ დამონებას, დაქსაქსვას.** სწორედ ამას უნდა ვებრძოლოთ. საერთო საზრუნავი უნდა იყოს ამ მესამე ძალის განადგურება, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და შემოაქვს დაპირისპირების ახალი ტალღა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პროდასავლური იდეოლოგიის მქონე პირები ბრალს სდებენ რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკების წარმოების ინიციატორ ყველა ორგანიზაციასა თუ პირს და მათ მოღალატეებს უწოდებენ. მე კი ვიტყვი, რომ ეს არის სიბრმავე. ლიბერალები ლანძღავენ ყველას, ვინც ცდილობს, კონსტრუქციული ნაბიჯებით მოაგვაროს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პრობლემები. მათ პოლიტიკას მხოლოდ ექსტრემისტულ შედეგებამდე მივყავართ.

**როგორ შეიძლება, ქვეყანამ ერთი მხარე აირჩიოს და მეორე ჯანდაბაში გაისტუმროს?! ქართველ საზოგადოებას არ სჭირდება დასავლური ლიბერალური რადიკალიზმი, მას სურს, იცხოვროს თავის სამშობლოში მშვიდად, იშრომოს, იზრუნოს ოჯახზე და დაიცვას სამშობლოს ინტერესები.**

მე, როგორც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი, ჩემს თანამოაზრეებთან, თანაატოლებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, ქვეყნის ეს ავბედითი მდგომარეობა უკეთესობისკენ რომ შეიცვალოს.

ესაუბრა
**ნათია თათარიშვილი**

**P.S. მსოფლმხედველობრივი ნაპრალი, რომელიც თაობებს შორის გაჩნდა, სულ უფრო ღრმავდება და ამას შეგნებულად აკეთებენ გარე ძალები. ახალგაზრდა თაობისთვის რთულია მოვლენის მრავალმხრივი შეფასება, რადგან მიზანმიმართულად გვაწვდიან ინფორმაციას, რომლის მიღებაც ისე, როგორი დაკვეთითაც შეიქმნა, გაცილებით მარტივია. თუმცა ახალგაზრდა თაობაში არიან ისეთებიც, რომლებიც მართებულად აანალიზებენ წარსულის მნიშვნელობას და პრაგმატულად უდგებიან ქვეყნისთვის მეტად მგრძნობიარე საკითხებს. პროდასავლური ორიენტაციის მეხოტბენი კი სკეპტიკურად უყურებენ პოსტსაბჭოთა სივრცეში ნებისმიერ ინტეგრაციულ პროექტზე და ამ მიმართულებით მხოლოდ დეზინტეგრაციისაკენ მოგვიწოდებენ. ისინი პოპულისტური განცხადებებით უნერგავენ მომავალ თაობებს ფსევდოპატრიოტულ ღირებულებებს, რომლებიც ულტრალიბერალური იდეოლოგიის წიაღში იხარშება. დღეს ყველა მხარე ეჯიბრება ერთმანეთს საქართველოს სიყვარულში, მაგრამ საკითხავია — ვის უფრო მეტად უყვარს სამშობლო ან ვინ უფრო მეტად ვნებს მას. ახალგაზრდა თაობა ჯერჯერობით ვერ ახერხებს იმის ფილტრაციას, ვინ არის რეალურად სამშობლოს პატრიოტი და ვინ, უბრალოდ, იბრალებს მას. კარგი იქნება, თუ ჩვენს ყოველ ქმედებას საფუძვლად ეროვნული ინტერესები დაედება და არა ის პოსტულატები, რომლებსაც ულტრალიბერალური მსოფლმხედველობის მეხოტბენი გვთავაზობენ.**

«უცხო ძალისთვის გაცილებით მარტივია, ახალგაზრდა თაობაში დანერგოს ის იდეოლოგიური პოსტულატები, რომლებიც მისთვის იქნება მისაღები, ამ შემთხვევაში ლიბერალურ ფასეულობებზე დამყარებული იდეოლოგია, რომლის მეხოტბენიც თვითონ არიან. ახალგაზრდა თაობას, გამოუცდელობის გამო, აკლია ანალიტიკური და პრაგმატული აზროვნების უნარი, ის პროდასავლურ ტალღაზეა, ხოლო უფროსი თაობის წარმომადგენელთა დიდი ნაწილი ანტიდასავლურადაა განწყობილი და პოსტსაბჭოურ სივრცეში ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებას ემხრობა»

# «უკვდავი პოლკი» ვაკის პარკში

**2017 წლის 9 მაისს თბილისში, ვაკის პარკში, საქართველოში პირველად გაიმართა მოძრაობა საქართველოს „უკვდავი პოლკის“ მსვლელობა. საცხრამაისო ღონისძიებაზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ უცნობი ჯარისკაცის საფლავი ყვავილებით შეამკო, დიდ სამამულო ომში დაღუპული გმირებისადმი პატივისცემა ასევე ყვავილების გვირგვინების მიტანით გამოხატეს ღონისძიების სხვა მონაწილეებმაც.**
**დღესასწაული გალაკონცერტით დასრულდა.**

**რევაზ გოგიძე, საქართველოს „უკვდავი პოლკის“ ხელმძღვანელი:**

— როგორც წინა წლებში, წელსაც მოვედით აქ, რათა პატივი მივაგოთ სამამულო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას, ოღონდ ამჯერად ერთი განსხვავებით — მოვაწყვეთ „საქართველოს უკვდავი პოლკის“ მსვლელობა. მისი მონაწილეები არ არიან რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენლები, ისინი უბრალო ადამიანები არიან, რომლებიც სათუთად უფრთხილდებიან სახელოვანი წინაპრების ხსოვნას. რაკი აქცია პირველად ჩატარდა, შესაძლოა, იმ დონისა არ იყო, როგორც, მაგალითად, იაპონიაში, აშშ-ში, კანადაში თუ სხვაგან, სადაც ამის დიდი ხნის ტრადიცია არსებობს.

ეს პროგრესული ნაბიჯია მიზნისკენ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ პატივი სცეს და იამაყოს წარსულით და ისტორიის უცოდინარობის გამო პროვოკატორების ანკესზე არ წამოეგოს.

**ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი, გენერალ-მაიორი:**

— მე იმ ოჯახის შთამომავალი ვარ, რომლის 4 წევრი (ბაბუაჩემი და მისი ძმები) დიდ სამამულო ომში იბრძოდა და არც ერთი მათგანი იქიდან ცოცხალი არ დაბრუნებულა. ამიტომ ვალდებული ვარ მათ წინაშე, მოვიდე აქ და სხვებთან ერთად მსოფლიოს დავანახვო, ამ გმირების შთამომავლები როგორი ამაყები ვართ.

მსოფლიო აღნიშნავს ამ დღეს, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ჩრდილში?! არ უნდა მივცეთ საშუალება პროვოკატორებს, ისედაც დაქსასული საზოგადოება კიდევ უფრო დაშალონ. მათი განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოსთვის 9 მაისი საზეიმო თარიღი არ არის და რომ ამ ომს სამამულოს არ უნდა ვუწოდებდეთ.

როგორ?!

გამოდის, ამაოდ დაღუპულა 300 ათასამდე ქართველი, ტყუილი ყოფილა **სტალინისა** და **ბერიას** წვლილი ფაშიზმის დამარცხებაში და ისიც, რომ **მელიტონ ქანთარიამ**ააფრიალა რაიხსტაგზე საბჭოთა კავშირის დროშა... ანუ, ეს ყველაფერი არ იყო ისტორიის ნაწილი და მხოლოდ 2003 წლიდან იწყება ჩვენი ისტორია?!

უნდა შერცხვეთ მათ მსგავსი განცხადებების გამო! საერთო ტკივილმა გაგვაერთიანა მაშინ და ახლა ნუთუ ასე ძნელია, საერთო სიხარულმაც გაგვაერთიანოს.

**ლევან ჩაჩუა, პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე:**

— სამწუხაროდ, ქართველი ერი პასიურობს. ეს არის იმ პროპაგანდის შედეგი, რომელიც კვლავ გრძელდება. **ეს პროდასავლური ფასეულობები, რომლებიც თავს მოახვია საზოგადოებას „ნაციონალურმა მოძარაობამ“ და რომლებსაც, 5 წელია, „ქართული ოცნების“ უნიათო ხელისუფლებაც ერთგულებს, ძირს უთხრის ევროვნულ ინეტერესებს.** მათ არანაირი პატივისცემა არ აქვთ იმ ხალხის მისამართით, რომელიც სამშობლოსთვის იბრძოდა, თავი დადო ამ უპრეცენდენტო მასშტაბებისა და მნიშვნელობის ომში. ამ თემას უნდა მიეძღვნას სერიოზული რეპორტაჟები, ფართოდ უნდა აშუქებდეს მედია.

ეს იყო სამამულო ომი. ვინც რა უნდა თქვას, რა პროპაგანდაც უნდა გაწიოს, ვერაფერი წაშლის ისტორიის ამ სახელოვან ფურცელს, იმას, რაც ამ ხალხმა გააკეთა სამშობლოსთვის. „ქართული იდეა“ ამაყობს ამ ადამიანების ღვაწლით. თქვენი გაზეთი, ალბათ, ერთადერთი გამონაკლისია, რომელიც ამ დოზით უთმობს ადგილს სამამულო ომის თემას. ამისთვის გმადლობთ, თქვენ, „ქართული იდეის“ სახელით.

მოამზადა **ნათია თათარიშვილმა**



«ეს პროდასავლური ფასეულობები, რომლებიც თავს მოახვია საზოგადოებას «ნაციონალურმა მოძარაობამ» და რომლებსაც, 5 წელია, «ქართული ოცნების» უნიათო ხელისუფლებაც ერთგულებს, ძირს უთხრის ევროვნულ ინეტერესებს. მათ არანაირი პატივისცემა არ აქვთ იმ ხალხის მიმართ, რომელიც სამშობლოსთვის იბრძოდა, თავი დადო ამ უპრეცენდენტო მასშტაბებისა და მნიშვნელობის ომში»

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თვითგვემა და უცხოელთა საამებლად სტალინის გინება საქართველოს ვერაფერს უშველის, ეს მხოლოდ ჩვენი ეროვნული ცნობიერების დეგრადაციას გამოიწვევს და პატრიოტულ სულს ჩაკლავს. ეს კი გამიზნულად ხდება, დემოკრატიის სახელით. ამიტომაც დარჩა ქართველი საზოგადოება პირდაბჩენილი, როდესაც მას თურქმა „მეგობრებმა“ დიდგორის ბრძოლის ოფიციალურად ზეიმი აუკრძალეს. კიდევ ბევრი სიურპრიზი გველის ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის დარჩენილი არც ისე მრავალი წლის განმავლობაში...**

# 9 მაისი და უმამაპაპო ქართველები

**ყველა ნორმალურ ქართველს (ისევე, როგორც რუსს, სომეხს, აზერბაიჯანელს, უკრაინელს, ბელარუსს, ყაზახს, ბაშკირს, თათარს, მოლდოველს, ოსს, აფხაზს) უხარია 9 მაისის დადგომა, დღისა, როდესაც ნაცისტურმა გერმანიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს და ევროპაში დამთავრდა ისტორიის ყველაზე საშინელი და სისხლისმღვრელი ომი. დიდ სამამულო ომში სიცოცხლე გაწირა ასიათასობით საქართველოს მკვიდრმა.**



დღევანდელ საქართველოში, მაშინ, როდესაც, უკვე მეხუთე წელია, თითქოს თავიდან მოვიცილეთ ნაციონალების ავაზაკური რეჟიმი, რომელმაც 9 მაისი გამარჯვების დღიდან ლამის „დამარცხების დღედ“ გადააქცია, ეს დიადი გამარჯვების თარიღი მაინც არ აღინიშნება ჯეროვნად. **ძთავრობა მორცხვად, მოვალეობის მოხდის მიზნით მიდის გამარჯვების პარკში (რომელსაც, დიდი ხანია, „ვაკის პარკი“ დაარქვეს და იქვე გაჩეხილი ხეების ადგილზე კორპუსები, საელჩოები და „მაგნატების“ კერძო სახლები წამოჭიმეს) და ყვავილების თაიგულს ტოვებს უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. იქ შეკრებილ ვეტერანებს ჩვენი პოლიტიკოს-მაღალჩინოსნები ცალყბად გაუღიმებენ და მალევე მიატოვებენ.** უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე ასეულ ცოცხალ გმირს 200 ან 300 ლარს აჩუქებენ და... მორჩა, ეს იყო ჩვენი ე. წ. სახელმწიფოს მონაწილეობა საცხრამაისო ზეიმში. ან რა ზეიმია ეს, როდესაც არც ტელევიზია და რადიო, არც სარეკლამო ბანერები არ გვამცნობენ, არ გვილოცავენ ამ დიად დღეს?! **მერამდენე წელია უკვე ჩვენი საამური ფსევდოდამოუკიდებლობისა, მაგრამ არც ერთ ხელისუფლებას აზრად არ გაუვლია ეს.** პირიქით — საცხრამაისო ღონისძიებები და სიმბოლიკა სამარცხვინო მინიმუმამდეა დაყვანილი. ასეთი განწყობაა კერძო სექტორშიც, მათი სარეკლამო კლიპები არ გვილოცავენ გამარჯვების დღეს, როგორც ამას შობა-ახალი წლის პერიოდში აკეთებენ ხოლმე.

საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში ამ მხრივ სხვადასხვაგვარი ვითარებაა. ზოგ რესპუბლიკაში 9 მაისს უფრო მოკრძალებულად აღნიშნავენ, ზოგში — ფართოდ და ხმაურიანად. ბუნებრივია, ამ მხრივ გამორჩეულია რუსეთი უზარმაზარი სამხედრო და სამოქალაქო აღლუმებით, მაგრამ ეს ღონისძიებები მხოლოდ ნაწილია იმ დიდი პატრიოტული პროექტისა, რომელსაც რუსეთი ახორციელებს. ამ პროექტის დედააზრი მდგომარეობს ბავშვებისა და ახალგაზრდების პატრიოტულ აღზრდაში, მათში გმირებისადმი პატივისცემის გაღვივებაში, სამხედრო სულის გაძლიერებაში. **შეცდომას უშვებს ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოველი რესპუბლიკა, რომელიც დიდი სამამულო ომის ხსოვნას უგულებელყოფს ან სულაც უპირისპირდება: ამ გზით ისინი დიად გამარჯვებას „ჩუქნიან“ რუსეთს და უარს ამბობენ თავიანთი წინაპრების გმირულ წარსულზე. სწორედ ეს უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში, წინაალმდეგ შემთხვევაში, თავი დავანებოთ უცხოელების წინაშე ომში დაღუპული 300 ათასი ქართველით ტრაბახს — არ ყოფილა ეს ომი ქართველების, მხოლოდ რუსების ყოფილა. შესაბამისად, ის დიდი გმირობა და მსოფლიოს გადარჩენაც მხოლოდ რუსეთის დამსახურებაა... გვინდა ასე? უარი ვთქვათ მამა-პაპათა წვლილზე მსოფლიოს გადარჩენაში?**

ამიტომ სჯობს, 9 მაისისადმი მიდგომაში რუსებს მივბაძოთ და არა, თუნდაც, უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყანა ჩიხში შეიყვანა და არ იცის, რით უშველოს. მით უმეტეს, **რომ რუსების სასახელოდ უნდა ითქვას: ისინი არ იჩემებენ დიად გამარჯვებას მხოლოდ თავისთვის, სწორედ რუსები მოუწოდებენ ყველას, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვების თანაზიარნი იყვნენ.** გადაშალეთ ნებისმიერი რუსული გაზეთი, უყურეთ ნებისმიერ რუსულ სატელევიზიო პროგრამას — რუსეთის ხელისუფლებაცა და ხალხიც ერთხმად მიაგებს პატივს ყველა გმირს, მათი ეროვნების მიუხედავად. და **ჩვენ როგორ ვიქცევით? — ხელს ვკრავთ ამ შემოთავაზებას, თავადვე ვამბობთ უარს ჩვენი წინაპრების გმირობაზე.**

აღარაფერს ვამბობ გამარჯვების ავტორის, ქართული გენიის მწვერვალის — **სტალინის** შესახებ. რუსეთსა და სხვა ქვეყნებში თუ ჰყავს

**საბჭოთა საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულამდე დაახლოებით 4 მილიონი ქართველი და კიდევ მილლიონ ორასი ათასი სხვა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობდა. განა ეს არის გენოფონდის განადგურება?! ახლა, სანუკვარი «დამოუკიდებლობის» პერიოდში, სად არის 4 მილიონი ქართველი?!**

მლანძღველები სტალინს, არ იქნებოდა ისე გასაკვირი. ვიტყოდით, რომ ეს არის ლატენტური ნაციონალიზმი, ნაციონალური შური და სტალინს ქართველობის გამო არ მიაგებენ პატივს-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთში და კიდევ ზოგიერთ ქვეყანაში სტალინის სახელი გაცილებით დიდ პატივშია, ვიდრე მის ისტორიულ სამშობლოში. სტალინს ამით არაფერი აკლდება, ისევ საქართველოს აკლდება. ერთხელ დავწერე და კიდევ გავიმეორებ: აბა, ყოფილიყო სტალინი სომეხი, აზერბაიჯანელი ან ნებისმიერი სხვა ეროვნების, წარმოიდგინეთ, რა პატივით მოიხსენიებდნენ, რამდენ ძეგლს დაუდგამდნენ, როგორი დიდებით შემოსავდნენ მის სახელს... ჩვენ, ქართველებს, კი რა გვჭირს?! **ცუდი რომ მართლა ჭარბობდეს კარგს სტალინის ბიოგრაფიაში (რაც ასე არ არის), მაინც მეტი პატივისცემა და პატრიოტიზმი გვმართებს, რადგან სტალინი ქართველია და, გვინდა თუ არა, ამ ფაქტს ვერავინ ამოშლის ისტორიიდან, ისევე ვერ ამოშლის (მიუხედავად მუდმივი მცდელობისა), როგორც სტალინის გადამწყვეტ როლს მეორე მსოფლიო ომში.** ლიბერალური „ნარატივით“, სტალინი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქართველი და, ამასთანავე, ყველაზე დიდი დამნაშავე და მკვლელია. **ამგვარი თვითგვემა და უცხოელთა საამებლად სტალინის გინება საქართველოს ვერაფერს უშველის, მხოლოდ ჩვენი ეროვნული ცნობიერების დეგრადაციას გამოიწვევს და პატრიოტულ სულს ჩაკლავს. ეს კი გამიზნულად ხდება, დემოკრატიის სახელით. ამიტომაც დარჩა ქართველი საზოგადოება პირდაბჩენილი, როდესაც მას თურქმა „მეგობრებმა“ დიდგორის ბრძოლის ოფიციალურად ზეიმი აუკრძალეს.** კიდევ ბევრი სიურპრიზი გველის ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის დარჩენილი არც ისე მრავალი წლის განმავლობაში...

**ქართველი ლიბერალები იქამდე დაეცნენ, რომ სკოლის ბავშვებს მრავალ იდეოლოგიურ საწამლავთან ერთად ასეთ შხამსაც აწვეთებენ: „საქართველო რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის ნაწილი, მეორე მსოფლიო ომი მას არ შეეხებოდა და ამდენი ათასი ქართველი არ დაიღუპებოდა, ქართული გენოფონდი შენარჩუნდებოდა“.** ერთი შეხედვით, ლოგიკურია, მაგრამ სასკოლო ასაკის ბავშვს არ აქვს განათლების ისეთი დონე და აზროვნების უნარი, რომ საკითხი ასე დასვას: **„მართლა იქნებოდა საბჭოთა კავშირის გარეშე დარჩენილი საქართველო დამოუკიდებელი და ომებისგან თავდაღწეული? ვინ შეაჩერებდა თურქეთსა და სხვა მეზობლებს? რუსეთზე გამარჯვების შემთხვევაში, ჰიტლერი დატოვებდა კი საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად?“**

დავუშვათ და დავეთანხმოთ, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნის გამო დაიღუპა 300 ათასი ქართველი. ცუდი საქმისთვის დაიღუპნენ? განა ისინი საქართველოსთან ერთად მსოფლიოს გადარჩენას არ შეეწირნენ?! ეს გარემოება ხომ ამაღლებს მათი გმირობის ხარისხს. **საბჭოთა საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულამდე დაახლოებით 4 მილიონი ქართველი და კიდევ მილლიონ ორასი ათასი სხვა ეროვნების მოქალაქე ცხოვრობდა. განა ეს არის გენოფონდის განადგურება?! ახლა, სანუკვარი „დამოუკიდებლობის“ პერიოდში, სად არის 4 მილიონი ქართველი?!**

საბჭოთა კავშირმა უზარმაზარი მსხვერპლის ფასად იხსნა მსოფლიო ნაციზმის ტრიუმფისგან. ეს არის ისტორიული ფაქტი, რომლის გადაწერასაც, დიდი ხანია, ცდილობს „ცივილიზებული სამყარო“. **ამერიკაში, მაგალითად, რიგითმა მოქალაქემ არაფერი იცის საბჭოთა კავშირის როლის შესახებ მეორე მსოფლიო ომში, ჰგონიათ, რომ ომი ამერიკამ მოიგო. ეს მწირი „ცოდნა“ კიდევ უფრო სასაცილო ხდება, როდესაც ამერიკელი ობივატელი ვერ იხსენებს, გერმანია ფაშისტური იყო თუ ფაშიზმს ებრძოდა...** ასეთი სურათი აჩვენა ნიუ-იორკის ქუჩებში „რაშა თუდეის“ ჟურნალისტების „გასეირნებამ“, რომლებმაც რიგითი ამერიკელები გამოკითხეს მეორე მსოფლიო ომზე. **ამერიკა დიდი სახელმწიფოა, თავისი გზა აქვს და, ავად თუ კარგად, ვითარდება ასეთი ისტორიის უცოდინარი ხალხის პირობებშიც, მაგრამ საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ თავისი მოქალაქეები აგრერიგად გაუთვითცნობიერებელი იყვნენ.** ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა ისტორიული განათლების დონე (სხვა დარგებთან ერთად) ამაღლდეს. ბოლოს და ბოლოს, **საქართველომ იმ დიდ ომში გერმანიასა და მის ევროპელ მოკავშირეებთან საომრად 700 ათასი** ▶



გულბაათ რცხილაძე

**რას გახდება ასე გაუცხოებული საქართველო რუსეთთან? — ეს შეკითხვა ყველა ნეიტრალურმა, ობიექტურად მოაზროვნე პატრიოტმა უნდა დაუსვას თავს და მაშინ გამოჩნდება რეალურად, ვინ არის საქართველოს მტერი — პრორუსად შერაცხილი ქართველები თუ დასავლეთიდან დაფინანსებული, დამახინჯებული ქართულით მობლუყუნე უსახური პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და «არასამთავრობოები»!**

# ისტორიას, რუსეთთან დღევანდელი ურთიერთობების თვალსაზრისით, მხოლოდ პოზიტივების ძიება სჭირდება. აუცილებელია, ეს ყველამ შეიგნოს, ვინც განზრახ არ მტრობს საქართველოს, რადგან სწორედ საქართველოს სჭირდება ამ დიდი ხსოვნის შენარჩუნება.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ჯარისკაცი გაგზავნა ფრონტზე (საიდანაც, როგორც ვიცით, 300 ათასი დაიღუპა), ხოლო უზარმაზარმა ამერიკამ იმავე პერიოდში, 1941 წლის 7 დეკემბრიდან 1945 წლის 2 სექტემბრამდე დაღუპულთა სახით — მხოლოდ 407 316 სამხედრო მოსამსახურე! და რამდენი მილიონი მსხვერპლი აქვთ გაღებული რუსებს, ბელორუსებს, საბჭოეთის სხვა ხალხებს?!.. ამის შემდეგ უსინდისოსა და უვიცის მეტმა, ვინ უნდა თქვას, რომ აშშ-ის როლი ნაციზმთან ბრძოლაში აღემატება საბჭოთა კავშირისას?!

**ისტორიას, რუსეთთან დღევანდელი ურთიერთობების თვალსაზრისით, მხოლოდ პოზიტივების ძიება სჭირდება. აუცილებელია, ეს ყველამ შეიგნოს, ვინც განზრახ არ მტრობს საქართველოს, რადგან სწორედ საქართველოს სჭირდება ამ დიდი ხსოვნის შენარჩუნება.** რაც უფრო დიდია ჩვენი ხალხის წვლილი დიდ სამამულო ომში, მით მეტია დაფასება რუსეთში. რაც მეტად დავშორდებით ჩვენს საერთო ისტორიას, მით გაღრმავდება გაუცხოება რუსეთთან, ხოლო მასთან, არათუ მოლაპარაკებების, ელემენტარული ურთიერთგაგების პერსპექტივაც გაქრება. განა **რას გახდება ასე გაუცხოებული საქართველო რუსეთთან? — ეს შეკითხვა ყველა ნეიტრალურმა, ობიექტურად მოაზროვნე პატრიოტმა უნდა დაუსვას თავს და მაშინ გამოჩნდება რეალურად, ვინ არის საქართველოს მტერი — „პრორუსად“ შერაცხილი ქართველები თუ დასავლეთიდან დაფინანსებული, დამახინჯებული ქართულით მობლუყუნე უსახური პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და „არასამთავრობოები“!**

ჩვენი ოპონენტები ნორმალური ადამიანები რომ ყოფილიყვნენ, თავიანთ მამა-პაპას მაინც გაიხსენებდნენ. შეუძლებელია, ზოგიერთი მათგანის წინაპარი მაინც არ იყოს დიდი სამამულო ომის მონაწილე, მაშინ, როდესაც პატარა საქართველოდან 700 ათასი კაცი წავიდა ფრონტზე. **მიუხედავად იმისა, ვინ ქოცია დღეს, ვინ — ნაცი, ვინ კიდევ — სხვა პარტიის წევრი ან უპარტიო, ჩვენი წინაპრების გმირობა ფრონტსა თუ ზურგში უნდა გვაერთიანებდეს. 9 მაისს, ისევე, როგორც დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, უნდა იქნას დავიწყებული მტრობა და შუღლი, რადგან ჩვენი წინაპრები საერთო ბოროტებას ებრძოდნენ.** მაგრამ ბოროტი თესლები არ ისვენებენ და სწორედ ასეთ წმინდა დღეებს აყენებენ ეჭვქვეშ, ყველანაირად ცდილობენ მათ დისკრედიტაციას. **რა ქნას ვეტერანმა ან 9 მაისს მოზეიმე ნებისმიერმა პატრიოტმა, როდესაც ფაქტია, რომ ფაშიზმი წითელმა საბჭოეთმა დაამარცხა და სწორედ წითელი დროშაა გამარჯვების სიმბოლო?** კარგი, დავუშვათ, ცხოველური ანტიკომუნისტია ვინმე, მაგრამ „ისე“ კარგი კაცია. მაშ, რაღას ერჩი ე.წ. გიორგის ბაფთას, რომელიც მართლა წმ. გიორგის ორდენის საფუძველზეა გამოგონილი გამარჯვების სიმბოლოდ? გამოიგონეს 2000-იან წლებში ნეიტრალურ, „უპარტიო“ სიმბოლოდ, რომ, ვისაც წითელი დროშა არ უნდა, ეს ბაფთა მაინც მიიღოს. მაგრამ არა, არც ის უნდათ, არც — ეს! **მალე ისე წაიყვანენ საქმეს, რომ საეკლესიო სიწმინდეებსაც, ჯვრებსაც და ხატებსაც, აგვიკრძალავენ, „ოკუპანტი რუსები“ მართლმადიდებლები არიან და ჯვარსა და ხატს „რუსულ პროპაგანდაში“ იყენებენო! დავფიქრდეთ ყველანი, სანამ გვიანი არ არის, და კუთვნილი ადგილი მივუჩინოთ უმამაპაპო მანქურთებს.**

სწორედ ამიტომ ევრაზიის ინსტიტუტი ყველაფერს აკეთებს ისტორიული ფაქტების უკვდავსაყოფად, რომელიც ხიდია ქართველებსა და რუსებს შორის. ჩვენ, შესაძლებლობის ფარგლებში, შევაკეთეთ დიდი სამამულო ომისდროინდელი რამდენიმე საძმო სასაფლაო და მონუმენტი, განადგურებისგან ვიხსენით გომბორის მონუმენტი, რომელიც არასახარბიელო მდგომარეობაში იყო. კახეთში, აგრეთვე, შეკეთდა თელავის, რუისპირის საძმო სასაფლაოები, ნატახტარში კეთილმოეწყო საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვისას 1942 წელს დაღუპული მფრინავის — **ანატოლი ზებზდას** საფლავი, შესანიშნავი მონუმენტი სოფელ დირბში; აჭარაში ჩვენი საქმიანობის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს არაერთხელ მოვუყევი... მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ჩვენს მრავალრიცხოვან მხარდამჭერს, რეგიონებში მოქმედი მეგობარი ორგანიზაციების ყველა წევრს, მათი ხელმძღვანელების — **ემზარ შალიკაშვილის** (თელავი —კახეთი), **თემურ თვალიაშვილისა** და **რობერტ ბეკურიშვილის** (მცხეთა-თიანეთი), **გივი ვანიშვილის** (შიდა ქართლი), **სოსო ქორიძის** (აჭარა), **გოჩა ტიკარაძის** (გურია), **მიშა აფციაურისა** და **შოთა ვართანაშვილის** (კახეთის ახალგაზრდული ორგანიზაცია) სახით. ცალკე მადლობა ბატონ **კობა ქოქოსაძეს** (ჭიათურა). ბოდიშს ვუხდი იმ უცხო ადამიანებს, რომლებიც ტელეფონით შემეხმიანენ და ვერ შევხვდი. ამას ობიექტური მიზეზები აქვს — ეკონომიის მიზნით, უარი ვთქვით ცენტრალური ოფისის დაფინანსებაზე თბილისში. მთავარია საქმე და არა კეთილმოწყობილი ოფისი. სამწუხარო ის არის და სამარცხვინოც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სარემონტო სამუშაოები ჩვენი წინაპრების ხსოვნის უკვდავსაყოფი ძეგლებისა ვერ განხორციელდებოდა საქართველოში რუსეთის ინტერესების სექციის დახმარების გარეშე. მართალია, ამ დახმარებას მეტად შეზღუდული ხასიათი აქვს და საუბარი მინიმალურ თანხებზეა, მაგრამ ქართველი „მეცენატები“ ამ ხარჯსაც გაურბიან. გამოდის, ჩვენი გმირი წინაპრების ხსოვნის თემა „ოკუპანტი რუსეთის“ საქმეა. აფერუმ, ჩვენ, ქართველებს! **ნუთუ ყველა „მეცენატიც“ ისეთივე უმამაპაპოა, როგორც ყველა ლიბერალი?!**

ერთადერთი ქართველი (თუ ჩემი ბავშვობის ერთ მეგობარს არ ჩავთვლი), რომელიც ოდესმე უანგაროდ დაგვხმარებია, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ბიზნესმენი და მაგნატი, არის ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** — პოლიტიკის ანალიტიკოსი და, ამასთანავე, პოლიტიკოსი, რომელიც შორს იყურება და საქართველოს მომავალი ადარდებს. ასეთი ადამიანების სიმრავლეს ვუსურვებ საქართველოს და, მიუხედავად დღევანდელი არასახარბიელო ვითარებისა, ყველას (განსაკუთრებით — ომის ვეტერანებს) გილოცავთ 9 მაისს — გამარჯვების დღეს! ღვთის შეწევნით, „ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებულ იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

**გულბაათ რცხილაძე**






Foreign Policy:

## პუტინისა და ტრამპის სატელეფონო საუბრის შესახებ

**სირია.** ორი ლიდერის სატელეფონო საუბარი მოულოდნელი არ ყოფილა. მას ელოდებოდნენ თუნდაც უცნაური და დღემდე გაგრძელებული საგის გამო, რომ რუსეთმა ჰაკერების ოპერაციის დახმარებით გავლენა იქონია აშშ-ში საპრეზიდენტო კამპანიაზე, რომელმაც ტრამპის არჩევას ხელი შეუწყო. თეთრი სახლისა და კრემლის კომენტარები ამ შეხვედრის თაობაზე საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რაც ითქვა, არამედ იმითაც, რაც არ თქმულა.

თეთრი სახლის პრესრელიზში აღნიშნულია, რომ ტრამპი და პუტინი შეთანხმდნენ, რომ „უბედურება სირიაში ზედმეტად დიდხანს გრძელდება“. მათ განიხილეს ამ ქვეყანაში „უსაფრთხოებისა და დეესკალაციის ზონების შექმნის“ საკითხი, რათა შეუმსუბუქონ ცხოვრება მშვიდობიან მოსახლეობას. თეთრმა სახლმა, აგრეთვე, გამოაცხადა, რომ გააგზავნის თავის წარმომადგენელს ასტანაში სირიის სამშვიდობო მოლაპარაკების მორიგ რაუნდში მონაწილეობის მისაღებად *(ეს მოლაპარაკება, რომლის სპონსორები არიან რუსეთი, ირანი და თურქეთი, გასულ კვირაში გაიმართა და, მიუხედავად იმისა, რომ სირიის შეიარაღებულმა ოპოზიციამ მემორანდუმს ხელი არ მოაწერა, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი ამოქმედდა სირიის ექვს რაიონში).*

**ჩრდილოეთ კორეა.** ეს ქვეყანა ტრამპის პრეზიდენტობის პირველი 100 დღის განმავლობაში მისთვის ყველაზე მწვავე პრობლემად იქცა იმის გამო, რომ ჯიუტად აგრძელებს ბირთვული იარაღის შექმნისა და რაკეტების გაშვების გამოცდის თავის პროგრამას, ტრამპის მრავალი და მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად. რუსეთის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ კრემლმა მოუწოდა თავშეკავებისა და დაძაბულობის შენელებისკენ, ხაზი გაუსვა პრობლემის დიპლომატიური გზით გადაწყვეტის მნიშვნელობას. თეთრი სახლის პრესრელიზში ჩრდილოეთ კორეა ასევე არის ნახსენები, მაგრამ მხოლოდ ერთი წინადადებით: „დაბოლოს, მათ ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს ძალიან საშიში სიტუაცია ჩრდილოეთ კორეაში“. **მთავარი მაშველი რგოლი, ჩრდილოეთ კორეისთვის, რომელიც გარე სამყაროსთან დაკავშირების საშუალებას აძლევს, არის ჩინეთი. მას კი ეკონომიკური კავშირი აქვს რუსეთთან, რომელსაც ყველაზე მეგობრულ მოკავშირეს უწოდებს.**

ეს ყველაფერი გვაცნობეს.

ახლა, რაზეც არაფერი უთქვამთ:

**უკრაინა.** ფრიად ნიშანდობლივია, რომ თეთრი სახლისა და კრემლის განცხადებებში სატელეფონო საუბრის შესახებ უკრაინაზე არაფერია ნათქვამი. რუსეთის „შეჭრა“ აღმოსავლეთ უკრაინაში და ყირიმის „უკანონო ანექსია“, რომელმაც გამოიწვია მოსკოვის წინააღმდეგ ამერიკისა და ევროპის სანქციების დაწესება, უაღრესად მტკივნეული თემაა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.

ის, რომ თეთრი სახლის პრესრელიზში არაფერია ნათქვამი უკრაინის შესახებ, შეიძლება ნიშნავდეს შემდეგს: სავარაუდოა, რომ ტრამპი სირიასა და ჩრდილოეთ კორეასთან ორმხრივ ურთიერთობას უმნიშვნელოვანეს საკითხად მიიჩნევს ან ადმინისტრაციას (რომელსაც არაერთხელ დავუეჭვებივართ უკრაინისადმი აშშ-ის ერთგულებაში) ამ საკითხის უკანა პლანზე გადაწევა სურს, რათა მოსკოვის მხრიდან უფრო მეტ თანხმობასა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნას მიაღწიოს.

**ყველაფერი, რაც ადამიანის უფლებებს ეხება.** იყო სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომლებიც მჭევრმეტყველურ მინიშნებად აკლდა მოლაპარაკების დღის წესრიგს. ეს არის რუსეთის ე.წ. ჩარევა არჩევნებში, ჩეჩნეთში გეების სავარაუდო გატაცება და მკვლელობა, გეების უფლებათა დაცვისთვის სანკტ-პეტერბურგში გამართული დემონსტრაციის დაშლა, შეკრების თავისუფლება, ასევე რეპრესიები სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ. ამ საკითხებზე, როგორც ჩანს, ტრამპის ადმინისტრაციამ დუმილი არჩია.

დასავლეთის ღირებულებების დასაცავად, რომლებიც იანვრამდე ვაშინგტონის სავიზიტო ბარათი იყო, თავი გამოიდო გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, რომელმაც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საკითხი დააყენა პუტინთან შეხვედრისას, რომელიც გასული კვირის სამშაბათს სოჭში გაიმართა.

Reuters:

## «იგი სამხედრო დამნაშავეა, მისი ადგილი ციხეშია»



**ამას აცხადებენ ბრიტანელები ყოფილი პრემიერმინისტრის — ტონი ბლერის შესახებ, რომელიც მთავრობის მეთაურად დაბრუნებას აპირებს.**

მათი უმრავლესობა ნეგატიურად აფასებს თავის დროზე ბრექსიტის ჩაშლასთან დაკავშირებულ მის მცდელობას.

გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების აზრით, რომლებსაც „როიტერი“ ესაუბრა, ბლერმა უარი უნდა თქვას პოლიტიკაში დაბრუნებაზე.

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ამ გამოხდომებში არც ფაქტები ჩანს, არც ლოგიკა შეიმჩნევა. ასეთი სტერეოტიპული პოლიტიკური რიტორიკა ისტორიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დიდ სახელმწიფოთა შორის ომის დაწყებაში.**

# ახალი «ცივი ომი»

**უსაფუძვლო ბრალდებები, რომლებიც რუსეთის წინააღმდეგ გაისმის, თითქოს აღვივებს კრიზისებს ვაშინგტონიდან და ევროპიდან სირიამდე, უკრაინამდე და ავღანეთამდე, ამერიკა-რუსეთის ომის ალბათობას ანალიტიკიდან რეალური კალაპოტისკენ წარმართავს. პრინსტონისა და ნიუ იორკის უნივერსიტეტების დამსახურებული პროფესორის, The Nation-ის რედაქტორის — სტივენ კოენისა და რადიოგადაცემების წამყვანის — ჯონ ბატჩელორის ყოველკვირეული დისკუსიები ამ პრობლემურ თემაზე წარიმართება. საუბრის მიმოხილვა, რომელსაც დღეს ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ, ვაშინგტონის ფრიად საეჭვო იდეას ეხება, რომლის მიხედვით რუსეთთან ომი საჭიროა და აუცილებელი.**



კოენის აზრით, ასეთი მიდგომის გამამართლებელი არგუმენტები სულ უფრო მეტი და მრავალფეროვანი ხდება, რაც ომის დაწყების რისკს აძლიერებს.

იგი აანალიზებს აშშ-ის პოლიტიკური და მედიაისტებლიშმენტის მიერ საჯაროდ გამოტანილ მტკიცებულებას „ცივი ომის გარდაუვალობის შესახებ.

**„ქორები“ ცდილობენ, დაარწმუნონ ამერიკელი მოქალაქეები, რომ:**

* უკრაინის კრიზისზე მოსკოვის სამი წლის წინანდელი რეაქცია ამართლებს რუსეთის საზღვრებთან ნატოს ძალების პროვოკაციულ ზრდას, რომლის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის მცირე ქვეყნების მიმართ რუსეთის მიერ ჩაფიქრებული აგრესიის აღკვეთა;

* რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის ქმედება, რომელმაც აშშ-ში 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების „უზურპირება“ მოახდინა, რათა თეთრ სახლში დონალდ ტრამპი მიეყვანა, სხვა არაფერია, თუ არა „ამერიკის დემოკრატიის წინააღმდეგ ომის აქტი“, რომელიც ადეკვატურ პასუხს მოითხოვს;

* სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენებამ ტრამპის მიერ სირიაზე რაკეტული დარტყმის განხორციელება განაპირობა, ანუ იმ ქვეყანაზე, რომლის ლიდერი რუსეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული;

* კრემლი დღეს აწარმოებს კიბერშეტევისა და პროპაგანდის მასშტაბურ კამპანიას, რომლის მიზანია ევროპაში არჩევნებზე ზემოქმედება და აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების ხელისუფლებაში მოსკოვისთვის სასურველი, მარინ ლე პენის მსგავსი კანდიდატების მოყვანა. ეს დაასუსტებს ტრანსანალიტიკურ ალიანსს და ნატოსაც კი;

* ბოლო დროს კრემლი გაურიგდა თალიბებს ავღანეთში აშშ-ის განადგურების მიზნით.

**ვაშინგტონის ამ ბრალდებებს კოენმა სამი განზოგადებული შენიშვნით უპასუხა:**

* ეს იდეები ცალ-ცალკე და ყველა ერთად აძლიერებს ახალი „ცივი ომის“ მილიტარიზაციას და ამერიკის პოლიტიკურ და მედიაისტებლიშმენტში წარმოქმნის რუსოფობიურ შეფასებებს, რომლებიც არ გამორიცხავს რეალური ომის შესაძლებლობას;

* დღევანდლამდე არც ერთი რეალური მტკიცებულება, რომლებიც ამ ცილისწამებას დაადასტურებდა, არავის წარმოუდგენია. თუნდაც იმ საკითხზე, რომ თითქოს პუტინმა უბრძანა ჰაკერებს განეხორციელებინათ კიბეროპერაცია ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიის დასახმარებლად, და რომ იგი (პუტინი) დღესაც იმავეს იმეორებს მისთვის სასურველი ევროპის კანდიდატების მიმართ. თუნდაც იმის დასადასტურებლად, რომ სწორედ ასადი დგას სირიაში განხორციელებული ქიმიური შეტევების უკან; ან იმაზე, რომ მოსკოვს აქვს აგრესიული საომარი გეგმა აღმოსავლეთ ევროპის წინააღმდეგ.

უფრო მეტიც: კოენი მიიჩნევს, რომ კრემლის პროპაგანდა, რომელიც ამერიკელი ან ევროპელი კანდიდატების ინტერესების განსახორციელებლად არის გამოყენებული, არაფრით განსხვავდება წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოში არჩევნების პროცესში ამერიკელების ჩარევისგან, მათ შორის, რუსეთშიც. ყოველ შემთხვევაში, „რუსეთის პროპაგანდის“ ეფექტი ძლიერ გაზვიადებულია. დემოკრატიული ქვეყნების მოსახლეობის აზრის იოლად შეცვლა „იარაღად ქცეული ინფორმაციის“ მეშვეობით შეუძლებელია, რადგან ისინი ზომბები არ არიან;

* და მესამე: უწინ კრიტიკულად განწყობილ ამერიკულ მედიას შეეძლო გავლენა მოეხდინა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. დღეს იგი ამ როლში უმეტესად ველარ გამოდის, თუმცა ცდილობს პროპაგანდისტული იდეების გავრცელებას. კოენი ასახელებს მასობრივი ინფორმაციის რამდენიმე ალტერნატიულ საშუალებას, რომლებიც საზოგადოებას წარუდგენს ობიექტურ ფაქტებსა და ანალიტიკურ შეფასებებს. მათი პოზიცია ეწინააღმდეგება გაბატონებულ ტენდენციას. ესენია — The Nation, The National Ynterest, The American Conservative, Consirtiumnews და თაკერ კარლსონის საღამოს გადაცემა Fox News-ის ტელეარხზე, მაგრამ მათ არ ძალუძთ წამყვანი გაზეთებისა და გადაცემების მონოპოლისტური ზეგავლენის ნეიტრალიზება.

დაბოლოს, კოენი ლაპარაკობს ორი მოვლენის შესახებ, რომლებიც ვაშინგტონის დამატებით ორთოდოქსულ კონცეფციებად ყალიბდება.

**პირველი არის მოძველებული და, ძირითადად, მცდარი მტკიცება იმისა, რომ მაინცდამაინც მოსკოვი არ ასრულებს მინსკის შეთანხმებებს, რომლებიც უკრაინაში სამოქალაქო ომის შეწყვეტას ითვალისწინებს.** სინამდვილეში ამერიკის მიერ მხარდაჭერილი კიევის მთავრობა ხელს უშლის მინსკის შეთანხმებების რეალიზაციას და უარს ამბობს საკუთარი ვალდებულებების შესრულებაზე. უკრაინის ეკონომიკის ისედაც კრიტიკული მდგომარეობის მიუხედავად, კიევი აძლიერებს მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი აღმოსავლეთის ოლქების ბლოკადას — შეუწყვიტა ელექტროენერგიის მიწოდება. ზოგიერთი მიმომხილველი თვლის, რომ ამგვარი მოქმედებით მას (მთავრობას) სურს ულტრამემარჯვენე ძალების გულის მოგება, რომლებზეც ძლიერ არის დამოკიდებული პოლიტიკური თვალსაზრისით. **კოენს კი მიაჩნია, რომ არსებობს სხვა შესაძლებლობაც, კერძოდ, კრემლის პროვოცირება გარკვეული რადიკალური პოლიტიკური ან სამხედრო ქმედების განსახორციელებლად, რაც ვაშინგტონსა და ევროპას კიევის შესუსტებული დახმარების რეანიმაციის საშუალებას მისცემს. თუ ასე მოხდება, შეიქმნება სიტუაცია, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის სამხედრო კონფლიქტს გამოიწვევს.**

**მეორე ორთოდოქსული კონცეფცია არის ის, რომ მოსკოვი გაურიგდა „თალიბანს“ ამერიკელების წინააღმდეგ, რომლებიც, დიდი ხანია, ომობენ ავღანეთში.** უეჭველია, რომ მოსკოვი, ისევე, როგორც ვაშინგტონი, ფარულ მოლაპარაკებას ეწევა თალიბებთან ამ ომის უფრო მძიმე შედეგების თავიდან აცილების მიზნით. მაგრამ ნებისმიერმა, ვინც ეროვნული უშიშროების საკითხებით დაკავებულ რუსულ ელიტას იცნობს, შესანიშნავად იცის, რომ მას (ამ ელიტას) ხელს არ აძლევს ამერიკელების ავღანეთიდან გასვლა, რადგან მოსკოვი პირისპირ დარჩება პრობლემის წინაშე და მარტოს მოუწევს ავღანეთიდან რუსეთისკენ (ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით) დაძრული ჯიჰადისტებისა და ნარკოტიკების ნაკადთან გამკლავება. იაფი ავღანური ნარკოტიკისა და ვიჩინფექციის გავრცელებას რუსეთის ხელისუფლება ისედაც თავს ვერ ართმევს.

ვაშინგტონის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ამ გამოხდომებში არც ფაქტები ჩანს, არც ლოგიკა შეიმჩნევა. ასეთი სტერეოტიპული პოლიტიკური რიტორიკა ისტორიულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა დიდ სახელმწიფოთა შორის ომის დაწყებაში. გამორიცხული არ არის, რომ იგივე განვითარდება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში.

ესაა საშიში და გასათვალისწინებელი.

მაგრამ ანალიტიკური მიმოხილვიდან რეალობაში თუ გადმოვინაცვლებთ, ვნახავთ, რომ ვითარება გაცილებით რთული და ფეთქებადსაშიშია.

რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარი ოპერატიული შტაბის უფროსის პირველმა მოადგილემ, გენერალ-ლეიტენანტმა **ვიქტორ პოზნიხერმა** ახლახან განაცხადა, რომ არსებობს ამერიკის მიერ რუსეთზე ფარული სარაკეტო-ბირთვული თავდასხმის საშიშროება, კერძოდ, **აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები შეიძლება გამოყენებული იქნას რუსეთზე მოულოდნელი თავდასხმის განსახორციელებლად.**

„ამერიკელების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები ევროპაში, რუსეთის ტერიტორიასთან ახლომდებარე ზღვებისა და ოკეანეების აკვატორიებში განლაგებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხომალდები წარმოქმნის მძლავრ ფარულ დამრტყმელ კომპონენტს რუსეთის ფედერაციაზე მოულოდნელი სარაკეტო ბირთვული შეტევის განსახორციელებლად“, — თქვან მან.

Ruposters-ის ცნობით, იმავე დღეს რუსეთის თავდაცვის მინისტრმა **სერგეი შოიგუმ** ნატოს თვითმფრინავების მიერ ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცის პატრულირება რუსეთის უშიშროების საფრთხის შემცველ ქმედებად შეაფასა, ხოლო გენერალური შტაბის უფროსმა **ვალერი გერასიმოვმა** პოლონეთში „ტომაჰავკების“ გამოჩენის საფრთხეზე გაამახვილა ყურადღება.

ჩრდილოეთ კორეის პროპაგანდისტულმა პორტალმა Arirany-Meari-მ გამოაქვეყნა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ამერიკაზე მოდელირებული თავდასხმის ვიდეორგოლი; ომი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, კორეელების გამარჯვებით დამთავრდა.

ასეა: ზოგი ვიდეოსივრცეში ომობანას თამაშობს, ზოგი ვითარებას აანალიზებს, სხვა ომის რეალურ საშიშროებაზე მიგვითითებს, ჩვენი პლანეტის თავზე კი, ალბათ, უკვე დაჟანგული დამოკლეს მახვილივით ჰკიდია უახლესი ბირთვული იარაღი, ადამიანების მასობრივი განადგურების საშუალება.

ჩვენ კი ვდგავართ და ცისკარას ზღაპრის ჯადოქარივით კოჭებზე ვმარჩიელობთ — იქნება ომი, არ იქნება ომი...

**არსებობს ამერიკის მიერ რუსეთზე ფარული სარაკეტო-ბირთვული თავდასხმის საშიშროება, კერძოდ, აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები შეიძლება გამოყენებული იქნას რუსეთზე მოულოდნელი თავდასხმის განსახორციელებლად**



**კოენი მიიჩნევს, რომ კრემლის პროპაგანდა, რომელიც ამერიკელი ან ევროპელი კანდიდატების ინტერესების განსახორციელებლად არის გამოყენებული, არაფრით განსხვავდება წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოში არჩევნების პროცესში ამერიკელების ჩარევისგან, მათ შორის, რუსეთშიც**

გვერდი მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

**დღეს ცენტრალური აზია, ერთი შეხედვით, სტაბილურია, მაგრამ ნამდვილად საგანგაშოა ის, რომ მის საზღვრებზე, ავღანეთის ჩრდილოეთით, შეიარაღებული რადიკალები იკრიბებიან და მათ დეკლარირებულ მიზანს ცენტრალურ აზიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს, ხოლო „ზურგში“ ადგილობრივ მმართველებს თითქოსდა „ზომიერი“ სალაფიტები ჰყავთ, რომლებიც დირექტივებს იღებენ საუდის არაბეთიდან და განუხრელად აფართოებენ გავლენის სფეროს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გლობალური ჯიჰადი: აღმოსავლეთის ფრონტი

**გასულ კვირას „საქართველო და მსოფლიომ“ მიმოიხილა გართულებული სიტუაცია ავღანეთში. წერილში აღნიშნული იყო, რომ ამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების საზღვრებთან, „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკების ჭარბი კონცენტრაცია შეინიშნება. რა საფრთხეებს უკავშირდება ეს რეგიონისთვის და მოხერხდება თუ არა მათი განეიტრალება?**



**დესტაბილიზაცია რეგიონში ხაზს გადაუსვამს პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს ენერგომატარებლების ტრანზიტს დასავლეთში სამხრეთ კავკასიის გავლით. ეს კი ნეგატიურად აისახება საქართველოს სატრანზიტო როლზე**



**დღეს ცენტრალური აზია, ერთის შეხედვით, სტაბილურია, მაგრამ ნამდვილად საგანგაშოა ის, რომ მის საზღვრებზე, ავღანეთის ჩრდილოეთით, შეიარაღებული რადიკალები იკრიბებიან**

საბჭოთა პერიოდში შუა აზიის რესპუბლიკები ისლამურ სამყაროში განვითარებული პროცესებისგან მნიშვნელოვანწილად იზოლირებულნი იყვნენ. მათ უფრო სწრაფად გაიარეს მოდერნიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის გზა, მაგრამ სსრკ-ის დაშლისა და კომუნისტური იდეოლოგიის უარყოფის შემდეგ იდეოლოგიურ ვაკუუმში აღმოჩნდენ და ამ ქვეყნებში დაიწყო იმ რელიგიურ-პოლიტიკური დოქტრინების გავრცელება, რომლებიც ისლამურ სამყაროში განვლილ ათწლეულებში შემუშავდა. **მიუხედავად იმისა, რომ აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მმართველები რადიკალური ისლამისტური იდეების გავრცელებას ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ განიხილავენ, მათი გავლენის სრულ ნეიტრალიზებას ვერ ახერხებენ. მნიშვნელოვან პრობლემას მათთვის ამ ეტაპზე სალაფიტური იდეების გავრცელება წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას ხელს უწყობენ უცხო სახელმწიფოები.**

სიტყვა „სალაფია“ არაბულად „წინაპრებს“ (წინამორბედებს) ნიშნავს. შესაბამისი მოძღვრების მთავარ იდეას წარმოადგენს ორიენტაცია „პირვანდელ ისლამზე“ და მისი მოდერნისტული ინტერპრეტაციების უარყოფა. ზოგიერთი ექსპერტი იმისთვის, რომ სალაფიზმის არსი უკეთ ახსნას, სალაფიტებს პროტესტანტებს, უფრო ზუსტად კი პურიტანებს ადარებს და ახასიათებს მათ, როგორც თანმიმდევრულ ფუნდამენტალისტებს.

მედიაში სალაფიზმსა და ვაჰაბიზმს ხშირად სინონიმებად განიხილავენ, რაც არასწორია. ვაჰაბიზმი სალაფიტური ტრადიციის მხოლოდ ერთ-ერთი განშტოებაა, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაკლებ ჩართულობას ითვალისწინებს. შესაძლოა, სწორედ ეს გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ საუდის არაბეთის მმართველმა დინასტიამ ვაჰაბიზმი სახელმწიფო იდეოლოგიად აქცია. სხვა სალაფიტურ მიმდინარეობებში იდეალად მიჩნეულია ისლამური სახელმწიფოს, გლობალური ჰალიფატის შექმნა და ეს ბუნებრივად წარმოშობს კონფლიქტს საერო ხელისუფლებებსა და რადიკალ სალაფიტებს შორის, რომელთაგან ყველაზე თანმიმდევრულნი ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას სავსებით დასაშვებად მიიჩნევენ.

საუდის არაბეთი ყველაზე მდიდარი და გავლენიანი სუნიტური სახელმწიფოა; მის ტერიტორიაზე მდებარეობს მუსლიმებისთვის წმინდა ადგილები — მექა და მედინა. რელიგია მის საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. საუდის არაბეთი ყოველთვის ხელს უწყობდა ვაჰაბიზმის გავრცელებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ხოლო თავის კონკურენტებად განიხილავდა არა მხოლოდ შიიტ სასულიერო ლიდერებს, რომელთაც ზურგს ირანი უმაგრებს, არამედ სხვა სუნიტური მომდინარეობების წარმომადგენლებსაც. ამ შემთხვევაში საუდის არაბეთის მიერ მხარდაჭერილი ვაჰაბიტებისა და სხვა სალაფიტების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ისინი ერთ იდეოლოგიურ ბაზისს ეყრდნობიან.

**რაღაც მომენტში საუდის არაბეთის ხელისუფლება მივიდა დასკვნამდე, რომ მან უნდა განახორციელოს არა მხოლოდ ვაჰაბიზმის, არამედ სხვა, ხშირ შემთხვევაში გაცილებით აგრესიული სალაფიტური დოქტრინების ექსპორტი, რადგან ამ გზით, ერთი მხრივ, შეამცირებს სალაფიტების გავლენას საუდის არაბეთის საშინაო საქმეებზე და, მეორე მხრივ, მათი მეშვეობით არამეგობრული რეჟიმების დესტაბილიზაციას მოახდენს. ამ გადაწყვეტილებამ გლობალური ტერორისტული ჯიჰადის დაწყებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა.**

საუდის არაბეთმა მალევე დაკარგა კონტროლი მთელ რიგ რადიკალ ისლამისტებზე, რომელთა მხარდაჭერაზე დიდძალი ფული დახარჯა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის ძველ სტრატეგიაზე უარის თქმას არ აპირებს, კვლავინდებურად აფინანსებს მუსლიმური საზოგადოების „სალაფიზაციას“ სხვა ქვეყნებში და გამონაკლისს ამ მხრივ არც ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ.

იქაურმა ლიდერებმა საკმაოდ სასტიკი მეთოდების გამოყენებით მინიმუმამდე შეამცირეს რადიკალური დაჯგუფებების რაოდენობა, მაგრამ თითქმის ვერაფერი დაუპირისპირეს „რბილ ძალას“, რომლის მთავარ მიზანს სასულიერო ლიდერების ეტაპობრივი „სალაფიზაცია“ წარმოადგენს. ამ კონტექსტში ხდება სასულიერო სასწავლებლების სტუდენტების დაფინანსება და მათი კარიერული წინსვლის მხარდაჭერა, სხვადასხვა რელიგიურ-საქველმოქმედო ცენტრების შექმნა, მედიაპროექტების რეალიზება და ა.შ.

რადიკალური სალაფიზმი გამორიცხავს თანამშრომლობას საერო სახელმწიფოსთან, მაგრამ ცენტრალური აზიის შემთხვევაში მისი სპონსორები გარკვეულ ტაქტიკურ დათმობაზე წავიდნენ და, ადგილობრივ მთავრობებთან მკვეთრი დაპირისპირების ნაცვლად, აქცენტი ლობისტური სტრუქტურების შექმნასა და ჩინოვნიკების გადაბირებაზე გადაიტანეს. **დღეს ცენტრალური აზია, ერთის შეხედვით, სტაბილურია, მაგრამ ნამდვილად საგანგაშოა ის, რომ მის საზღვრებზე, ავღანეთის ჩრდილოეთით, შეიარაღებული რადიკალები იკრიბებიან და მათ დეკლარირებულ მიზანს ცენტრალურ აზიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს, ხოლო „ზურგში“ ადგილობრივ მმართველებს თითქოსდა „ზომიერი“ სალაფიტები ჰყავთ, რომლებიც დირექტივებს იღებენ საუდის არაბეთიდან და განუხრელად აფართოებენ გავლენის სფეროს.**

„არაბული გაზაფხულის“ დაწყების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა ის იყო, რომ კორუმპირებულ და უსამართლო რეჟიმებს საზოგადოების, უპირველესად კი, ახალგაზრდების გაზრდილ მოთხოვნებზე ადეკვატური პასუხის გაცემა არ შეეძლო, მაგრამ რეგიონში დემოკრატიული ტრადიციების სისუსტისა და რიგი სხვა გარემოებების გამო, რევოლუციონერებმა უკეთესი ხელისუფლება ვერ მიიღეს, პირიქით, მათ ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა რადიკალი ისლამისტების გავლენა და ისეთი ქაოსი დაიწყო, რომ ბევრმა საუკეთესო გამოსავლად ისევ ძველი ტიპის ავტორიტარული რეჟიმების აღდგენა ჩათვალა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ეგვიპტეა, თუმცა ჯინის დაბრუნება ბოთლში ყველგან როდი გამოდის და ამას ადასტურებს სირიისა და ლიბიის გამოცდილება.

არაერთი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ძველი რეჟიმებისგან ცენტრალური აზიის მოსახლეობაც დაიღალა და მას მეტი სამართლიანობა და კეთილდღეობა სურს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ დესტაბილიზაცია აქაც, დიდი ალბათობით, ქაოსით, რადიკალური ისლამიზმის გავრცელებითა და ომით დასრულდება. ადგილობრივი მთავრობები ჯერ-ჯერობით ახერხებენ უკმაყოფილოთა შეკავებას, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ამოქმედდება ორი დამატებითი ფაქტორი — ჩრდილოეთი ავღანეთიდან ისლამისტი „ბოევიკების“ შემოდინება დაიწყება და ამავე დროს „ზომიერი სალაფიტები“ დაიწყებენ მუშაობას ქვეყნის დესტაბილიზაციაზე „შიგნიდან“?

საუდის არაბეთი, მისი სიმდიდრის მიუხედავად, გეოპოლიტიკური თამაშების „პირველ ლიგაში“ ასპარეზობს და პროცესებს სრულად ვერ აკონტროლებს. ალბათ, მიზანშეწონილია, გავარკვიოთ, რა ხდება „უმაღლეს ლიგაში“.

ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დესტაბილიზაცია რუსეთსა და ჩინეთს უდიდეს პრობლემებს შეუქმნის. მეორე შემთხვევაში საქმე მხოლოდ ის როდია, რომ ისლამისტებს პრეტენზია აქვთ ჩინეთის მუსლიმი უიგურებით დასახლებულ ოლქებზე. ქაოსი ცენტრალურ აზიაში მკვეთრად შეამცირებს მისი, როგორც ენერგომატარებლების რეზერვუარის, მნიშვნელობას ჩინეთის ეკონომიკისთვის, აგრეთვე, დაბლოკავს სტრატეგიული სარკინიგზო და საავტომობილო პროექტებს. თუ შეერთებული შტატები მოინდომებდა მცირე დანახარჯებით ძლიერი იერიშის მიტანას ერთდროულად ორ გლობალურ კონკურენტზე, ჩინეთსა და რუსეთზე, ცენტრალური აზიის დესტაბილიზაცია ამისთვის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული სცენარია. თანაც, ყველაფერი შეიძლება წარმოჩინდეს ისე, თითქოს აშშ საერთოდ არაფერ შუაშია, ისე, როგორც ეს „არაბული გაზაფხულის“ საწყის ეტაპზე ხდებოდა. ბევრი რამ შეიძლება საუდიტების ამბიციებსა და უმართავ სალაფიტებს დაბრალდეს. ამასთანავე, სამხედრო მოქმედებების გავრცელება ჩრდილოეთის მიმართულებით შეამცირებს წნეხს ამერიკელების მიერ კონტროლირებად ავღანურ მთავრობაზე და შესაძლებლობას მისცემს ვაშინგტონს, კონფლიქტის მიმდინარეობა გაცილებით ეფექტურად მართოს. რეგიონის მასშტაბის გათვალისწინებით ეს იქნება სირია „კვადრატში“, თუ არა — „კუბში“.

ბევრი რამ ამ სიტუაციაში დამოკიდებულია არა მხოლოდ მოსკოვსა და პეკინზე, არამედ ადგილობრივი მთავრობების კეთილგონიერებაზე. კარგი იქნება, თუ ისინი გააცნობიერებენ, რომ ძალისმიერი მეთოდებით ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია და საზოგადოებას ახალ სოციალურ პროგრამებსა და გონივრულ რეფორმებს შესთავაზებენ. ამასთანავე, მათ მოუწევთ დაფიქრება იმაზე, თუ როგორ მოახდინონ „ზომიერი სალაფიტების“ პროპაგანდისა და მათი ლობისტური ძალისხმევის ნეიტრალიზება. უხეში რეპრესიები, განსაკუთრებით სასულიერო პირების წინააღმდეგ, ამ შემთხვევაში კარგს არაფერს მოიტანს. ის, რომ ასეთ დროს საზოგადოების უდიდესი ნაწილი რელიგიურ ლიდერებს გულშემატკივრობს, კარგად აჩვენა 1978-79 წლების მოვლენებმა ირანში. ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა ადგილობრივი მთავრობებისთვის იდეოლოგიური და საინფორმაციო ომის მოგებაა, რომელიც, მხარეთა პოტენციალის გათვალისწინებით, ურთულეს ამოცანას წარმოადგენს.

**დესტაბილიზაცია რეგიონში ხაზს გადაუსვამს პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს ენერგომატარებლების ტრანზიტს დასავლეთში სამხრეთ კავკასიის გავლით. ეს კი ნეგატიურად აისახება საქართველოს სატრანზიტო როლზე.** ის უდიდეს ზიანს მიაყენებს ოფიციალური პეკინის სტრატეგიის „ერთი სარტყელი — ერთი გზა“ სახმელეთო კომპონენტს, მათ შორის იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ კავკასიას და, შესაბამისად, საქართველოს, ეხება. ამასთანავე, კიდევ ერთი, ამჯერად ლამის კონტინენტური მასშტაბის „უბედურების ზონის“ გაჩენა, სადაც შეიარაღებული რადიკალი ისლამისტები ითარეშებენ, უარყოფითად აისახება ყველა მომიჯნავე რეგიონზე და საქართველო ამ შემთხვევაშიც დაზარალებულთა შორის იქნება. ამგვარად, ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მიერ სტაბილურობის შენარჩუნება საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებში შედის.

**ლუკა ნემსაძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის, რაც ამ ბოლო პერიოდში კახეთში გაკეთდა სამელიორაციო სამუშაოების კუთხით, თვალსაჩინოა. ათობით კილომეტრზე აღდგენილია და გაწმენდილია არხები, უმაღლესი ხარისხითაა შესრულებული სადრენაჟო სამუშაოები და ა.შ. თანამედროვე უახლესი ტექნიკა მუშაობს აქ და საშვილიშვილო საქმე კეთდება უხმაუროდ, მაგრამ სანიმუშაოდ და, როგორც კახეთში იტყვიან, ბარაქიანად.**



## ბიძინა სონღულაშვილი:

# თაობების ჯანი და ღონე შეეწირა მეტროს ამუშავებას თბილისში

**დღეს, როცა მიმდინარე მოვლენების შეფასების პრიორიტეტული უფლება ელექტრონულ მედიაში სააკაშვილის შთამომავლებმა დაისაკუთრეს და ტელეეკრანებზე გონების სიმწირე და შიშველი ბარძაყების სიმრავლე პირველობისთვის ცვედნობასთან პაექრობს, ჭკუადამჯდარი ადამიანების მოსმენა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. პროფესიონალების ნაკლებობაზე ვლაპარაკობ, თორემ სერიოზული სახით კაც-ნახევრიანი „პარტიების“ ე.წ. ლიდერების შეგონებანი ისე გვაქვს ყელში ამოსული, როგორც მოუხარშავი ძირხვენების შექამანდი, რომელსაც ყოველდღიურად ტენიან ტელეაუდიტორიას, — ნახეთ, რა გემრიელიაო! დაახლოებით ისეთი მონდომებით, თავის დროზე ქუჩის მიტინგების ორატორები რომ გვარწმუნებდნენ — ქართული ჩაი და ბორჯომის წყალი ააყვავებს საქართველოს ეკონომიკასო. და კიდევ — ციტრუსები, ეკზოტიკურ ხურმასთან ერთად.**
**მაშინ რა ვიცოდით, პოლიტიკური ხურმა რა ხილი იყო. ამიტომ, მოდით, დღეს მოვუსმინოთ ცნობილ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს, დამსახურებულ მშენებელს, თავის დროზე კახეთის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს, უფრო ადრე — მეტრომშენის უფროსს — ბიძინა სონღულაშვილს. პირველი თემა, რა თქმა უნდა, მეტრომშენებლობაა, კერძოდ, ბოლო სადგური, რომელიც დღედღეზე საექსპლუატაციოდ ჩაბარდება.**

— დიდი საქმეა, უაღრესად საჭირო და სასარგებლო ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობისთვის. ახალი მეტროსადგურის გახსნა ჩვენს მოქალაქეებს, უპირველეს ყოვლისა კი, სტუდენტობას გადაუჭრის სატრანსპორტო პრობლემას, — **ამბობს ბატონი ბიძინა,** — სამწუხაროა, რომ ამ მართლაც საშურ საქმეს ქართულმა მედიამ სათანადო ყურადღება არ მიაქცია.

**— ასევე უყურადღებოდ დატოვეს, მაგალითად, დედაქალაქის ავტოპარკის ახალი ავტობუსებით შევსებაც.**

— არადა, სააკაშვილის გაპიარებული ყვითელი, ნახმარი და გაძარცვული ავტობუსების თბილისში შემოყვანა თავის დროზე ისე მოგვაწოდეს, როგორც სატრანსპორტო რევოლუცია, როგორც ახალი სიტყვა ურბანიზაციაში.

ჩვენ ახლა მეტრომშენებლობაზე ვლაპარაკობთ, რომლის ისტორიას ახალი თაობა ნაკლებად იცნობს. დღეს ამ ყველაზე იაფ, სწრაფ და მოხერხებულ სატრანსპორტო სისტემას ხალხი ისე შეეჩვია, როგორც იმთავითვე ბოძებულ და თავისთავად არსებულ სიკეთეს.

თაობების ჯანი და ღონე შეეწირა მეტროს ამუშავებას თბილისში. რატომღაც არ სურთ ამის არც ცოდნა, არც გახსენება და არც იმ ადამიანების ღვაწლის დაფასება, რომლებმაც ამ ისტორიას დაუდეს სათავე.

უფრო მეტიც, ამ საქმის უდიდესი მოამაგისა და ხელმძღვანელის — **ვიქტორ გოცირიძის** სახელი, რომელიც მეტროს ერთ-ერთ სადგურს ერქვა, სასწრაფოდ მოაცილეს (დელისის სადგურზეა ლაპარაკი).

ხოლო 1951-1953 წლებში მეტრომშენის პირველი ხელმძღვანელის — **გიორგი ნასიძის** სახელი და გვარი, კარგახანია, არავის ახსოვს.

1957-1963 წლებში (ეს ხრუშჩოვის ზეობის პერიოდია) მრავალთა მიზეზთა გამო მშენებლობა შეჩერებული იყო.

სიტყვას არ გავაგრძელებ და გეტყვით, რომ 2000 წელს ვაჟა-ფშაველას ხაზის პირველი ეტაპი ავამუშავეთ.

**— ამ დროს თქვენ იყავით მეტრომშენის უფროსი...**

— დიახ. ამ ხაზის დასამთავრებელი დავალება ქვეყნის პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისგან 1997 წელს მივიღეთ და 2000 წლის 3 სექტემბერს საექსპლუატაციოდ ჩავაბარეთ.

**— ედუარდ შევარდნაძის სახელის დადებით კონტექსტში მოხსენიება დღეს ხომ კრამოლად არის მიჩნეული!**

— ჩემი აზრით, უსამართლობაა. ამ პიროვნებაზე ხელის შეწმენდა სააკაშვილის საყვარელი მეთოდი იყო. ამ საკითხის გარჩევა, მოდით, სხვა დროისთვის გადავდოთ.

სადგური, რომელზეც ვლაპარაკობთ, დაუმთავრებელი დარჩა, თუმცა უნივერსიტეტის სადგურის სრულად შესაყვანად, ფაქტობრივად, ბევრი არაფერი იყო დარჩენილი, მაგრამ 2003 წლიდან მოყოლებული მისი დამთავრებისთვის სააკაშვილის ხელისუფლებამ „ვერ მოიცალა“. ახლა, როგორც ვიცი, ვაჟა ფშაველას ხაზის ეს მონაკვეთი კომპლექსურად მთავრდება და, ჩემი ინფორმაციით, დღედღეზე ჩადგება მწყობრში.

**— ამ კარგ საქმესთან ერთად თბილისში და მთელ ქვეყანაშიც ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი სიახლე ინერგება, მაგრამ, მართალი გითხრათ, არ მესმის, სათანადოდ რატომ არ პიარდება, რატომ უტოვებს ხელისუფლება აშკარად ნეგატიურად განწყობილი ნაცების ნარჩენებს საჯიჯგნი გამოხდომების ასპარეზს?! თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო ბიძინა, რატომ ხდება ასე?**

— ჩემი აზრით, ალბათ, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, არ სურთ, სააკაშვილს დაემსგავსონ, რომელიც წითელი ლენტების გაჭრით იყო დაკავებული, თანაც ერთ ობიექტს რამდენჯერმე ხსნიდა... ეს ხომ ცნობილია. მეორეც, ალბათ, იმიტომ, რომ „შუბი ხალთაში არ დაიმალება“.

**— გინდათ, თქვათ, რომ, როგორც ჭირი თავს არ დამალავს, კარგი საქმეც მით უფრო არ დაიმალება?**

— დიახ, ასეა. მაგალითებს დაგისახელებთ. ის, რაც ამ ბოლო პერიოდში კახეთში გაკეთდა სამელიორაციო სამუშაოების კუთხით, თვალსაჩინოა. ათობით კილომეტრზე აღდგენილია და გაწმენდილია არხები, უმაღლესი ხარისხითაა შესრულებული სადრენაჟო სამუშაოები და ა.შ. თანამედროვე უახლესი ტექნიკა მუშაობს აქ და საშვილიშვილო საქმე კეთდება უხმაუროდ, მაგრამ სანიმუშაოდ და, როგორც კახეთში იტყვიან, ბარაქიანად.

გურჯაანის რაიონში დასრულდა მთელი რიგი სოფლების გაზიფიკაცია; მოწესრიგდა და უკვე მოასფალტდა შიდა გზები; მუკუზანში იწყება 600 ტონის სიმძლავრის ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელიც ივლისში ყურძნის პირველ მოსავალს გადაამუშავებს; მოგვარდა მევენახეების ხარისხიანი შხამ-ქიმიკატებით მომარაგების პრობლემა. რაიონში საინტერესო ნაბიჯები გადაიდგა სოფლის მეურნეობის კადრების მოსამზადებლად, შეიქმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ტექნიკური ბაზა და ა.შ. მეტსაც გეტყვით, კახეთში განახლდა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს დაწყებული უაღრესად მნიშვნელოვანი პროექტი — თელავი-გურჯაანი-წნორი-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის მიმართულებით ავტობანის მშენებლობა.

გულახდილად გეტყვით, მეამაყება ეს ყველაფერი, რადგან გურჯაანელი კაცი ვარ ფუძით, მოდგმით, გვარით, მამა-პაპით.

შეიძლება ითქვას, რომ მთელ საქართველოში, როგორც ჩემთვის ცნობილია, ფართოდ მიმდინარეობს არა მხოლოდ ტრასების, არამედ შიდა გზების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა. ასეა, მაგალითად, ზუგდიდის, ბაღდათის, ხარაგოულის, მარტვილის, ბორჯომის, ბოლნისის, თეთრიწყაროსა და სხვა მუნიციპალიტეტებში.

ახლახან გაზეთში წავიკითხე, რომ დმანისის რაიონის სოფელ განთიადში გაიხსნა ბიბლიოთეკა. თითქოს არაფერი, მაგრამ, ყოფილი ხელისუფლების პირობებში ეგებ ვინმემ გაიხსენოს თუნდაც ერთი მსგავსი ფაქტი...

ბევრი სასარგებლო საქმე კეთდება სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამით, მაგრამ ამას სპეციალისტები უკეთ გააცნობენ თქვენს მკითხველს.

**— მაშ თქვენი, მშენებლობის სპეციალისტის, თვალით დანახულ სიახლეებზე თქვით რამე.**

**— პირველი,** რაც ხაზგასასმელია: აღიკვეთა უნებართვო მშენებლობები, რომელთა გამოც დამახინჯდა თბილისი, მის ისტორიულ უბნებს დაეკარგა კოლორიტი, მოსახლეობის დიდ ნაწილს დისკომფორტში უწევს ცხოვრება, მანქანების გადაადგილება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა და ა.შ.

**მეორე:** შენდება წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით საცხოვრებელი სახლები, სასტუმროები, ოფისები, სხვა ობიექტები. ასეთ სიტუაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მას შემდეგ, რაც მოგეცემა მშენებლობის ნებართვა, შენი შემწუხებელი აღარავინაა. მთავარია, დაადგა თავი მშენებლობას, დაიცვა ყველა არსებული წესი და პირნათელი იყო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების კუთხით.

ხელს არავინ შეგიშლის. პირიქით, თუ დაგჭირდა, დაგეხმარებიან.

**— და არავითარი ნაკლოვანება, არავითარი ხარვეზი?!**

— სასურველია, რომ გაცილებით უფრო ოპერატიული გახდეს შესაბამისი სამსახურების მიერ სამშენებლო ობიექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება. შეფერხებების აღკვეთა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქმშენებლობის მიღწეული ტემპის შენარჩუნებას. ბევრი ჩემი კოლეგა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ უსაფუძვლო და გაუმართლებელი გაჭიანურება ამ დარგის განვითარებას სერიოზულად აფერხებს.

**— თქვენი კომპანია რით არის დაკავებული?**

— ამჯერად თბილისში სამი ობიექტი უნდა ავაშენოთ; ერთიც — გურჯაანში, ღვინის ქარხანა, უცხოური ინვესტიციით, 2500 კვადრატულ მეტრ ფართობზე და მინუს 9 მეტრით, სადაც მარანი გაკეთდება. ეს ახალი სიმძლავრე წლეულსვე მოუხსნის მევენახეებს ყურძნის ჩაბარების პრობლემას, დაეხმარება ხარისხიანი პროდუქციის დამზადებაში.

**— კახელი კაცი ვენახს გარიდებული ძნელი წარმოსადგენია. თქვენ გამონაკლისთა სიაში ხომ არ ხართ?**

— არა, რა თქმა უნდა. ჩემი სოფელი ძირკოკი დამემოწმება, რომ ზუსტად 1996 წელს, როცა ყველაფერი ჩანაგდებოდა, მე და ჩემმა ნათესავებმა 25 ჰექტარი ვენახი ჩავყარეთ. იქიდან მოყოლებული 10-12 წელიწადი ამ საქმეს ვიყავით გადაგებული; ხალხი დავასაქმეთ, მევენახეობა, როგორც შეგვეძლო, გადავარჩინეთ. ათეულობით ოჯახის სამუშაოთი, მაშასადამე, ხელფასით უზრუნველყოფა განა ცოტას ნიშნავდა იმ უძნელეს დროში?

**— მაშინაც და ახლაც, ბატონო ბიძინა.**

— ახლაც ვმუშაობ, ახლაც მეამაყება.

**— ამ დღეებში ერთგვარად საიუბილეო თარიღი გაქვთ — 65 წლისა ხდებით. ამ გრძელი გზის გავლისას ყველაზე უფრო რა დაგამახსოვრდათ, რა მიგაჩნიათ თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად თუ ფაქტად?**

— ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის მთავარი უნივერსიტეტი იყო. მათგან ვისწავლე, რომ უპირველესი იმ მოვალეობის პირნათლად შესრულებაა, რომელიც შენ, როგორც ქვეყნის ერთ-ერთ მოქალაქეს, გაკისრია ყველგან და ყოველთვის.

თბილისის მეტროს 12 სადგურის გაშვებაში ვმონაწილეობდი — ყველაზე დაბალი საფეხურიდან დაწყებული ამ დარგის ხელმძღვანელამდე; ურთულეს წლებში კახეთის მხარის წელში გამართვაშიც და პანკისის ხეობაში სტაბილურობის შენარჩუნებაშიც ჩემი წვლილი შევიტანე.

გრემის მონასტრის, ვეჯინის ამაღლების ტაძრის, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსისა და სხვათა აღდგენაში ვმონაწილეობდი. ალავერდის ტაძრის რესტავრაციაზე ხომ აღარაა ლაპარაკი, სადაც 8 რაიონი ზაფხულობით ავარიასაშიში მდგომარეობის სალიკვიდაციოდ მუშაობდა.

ამ ყველაფრიდან რომელიმე ერთსა და განსაკუთრებულს ვერ გამოვყოფ.

მოგეხსენებათ, დამპყრობი რომ შემოესეოდა საქართველოს, კერძოდ, კახეთს, უპირველეს ყოვლისა, ვენახს გაანადგურებდა, რადგან იგი იყო ქვეყნისთვის ძალის, მათ შორის, სამხედრო ძლიერების მიმცემი. ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით ჩემი დაჯილდოების ფორმულირებაში ჩაწერეს, რომ ეს უმაღლესი სამხედრო ჯილდო მონიჭებული მქონდა კახეთის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის.

**ასე ჰქონდა ჩაწერილი საკუთარი ხელით ბატონ ედუარდ შევარდნაძეს.**

**ჩემი საქმიანობის ასეთი შეფასება დღესაც ვალად მაწევს, ვალდებულებად და პასუხისმგებლობად მაკისრია.**

**« ახალი მეტროსადგურის გახსნა ჩვენს მოქალაქეებს, უპირველეს ყოვლისა კი, სტუდენტობას გადაუჭრის სატრანსპორტო პრობლემას »**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

---

მსოფლიო

## CBS: გარყვნილი მასწავლებელი შანტაჟის მსხვერპლი გახდა

**აშშ-ის ქალაქ ინდიანაპოლისის პოლიციამ დააკავა სკოლის 38 წლის მასწავლებელი ქეთრინ ჰაგანი მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი მოწაფის დედამ სამართალდამცავებს განცხადებით მიმართა.**

დედა შეაშფოთა მისი 17 წლის ვაჟიშვილისა და მასწავლებლის მიმოწერამ სოციალურ ქსელში: მასწავლებელი არასრულწლოვანს შინ ეპატიჟებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ქეთრინ ჰაგანი ამ ბიჭთან სექსუალურ კავშირში იმყოფებოდა და მას ფსიქოტროპულ პრეპარატებსაც აძლევდა.

პოლიციამ არასრულწლოვანი მოსწავლის გარყვნის კიდევ ერთი ეპიზოდი დაადგინა. გაარკვია ისიც, რომ ამ ქალმა იყიდა ცეცხლსასროლი იარაღი და მისცა სხვა მოსწავლეს, რათა შემდეგ შეიარაღებული ძარცვა განეხორციელებინათ, — იტყობინება CBS.

დეტექტივები ყვებიან, რომ დამნაშავეობისკენ მიდრეკილი მასწავლებელი თვითონ გახდა თავისი მოსწავლეების მიერ მოწყობილი შანტაჟის მსხვერპლი. მოსწავლესთან სექსუალური აქტის ერთი შემთხვევა ვიდეოზე გადაიღეს და სწრაფად გაავრცელეს მოსწავლეთა შორის, რომლებმაც მასწავლებელს მაღალი შეფასებების დაწერა მოსთხოვეს, უარის შემთხვევაში ჩანაწერის გამოქვეყნებით დაემუქრნენ.

მასწავლებლის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს, ქეთრინ ჰაგანს დიდი ხნით პატიმრობა ემუქრება.





**გერმანიაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რომ რესპონდენტთა ერთ მეოთხედზე მეტი (27,5 პროცენტი) თავს უხერხულად და შეურაცხყოფილად გრძნობს, როცა ყველას თვალწინ ორი დედაკაცი სასიყვარულო თამაშით არის გართული, ხოლო მამაკაცების ეროტომანიაზე 38,4 პროცენტს გული ერევა.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...



## ირანში გეებს სიკვდილით სჯიან, აშშ-ში — ათასობით დოლარს უხდიან

**მსოფლიოს ორი ექსტრემისტული ძალა ემუქრება: სულიერი წარყვნის — ლგბტ მოძრაობის სახით და ტერორიზმი „ისლამური სახელმწიფოს“ შარიათის კანონებით. ეს იცის ყველამ, ზოგი პირველის მხარესაა, ზოგი მეორის იდეოლოგიას იზიარებს. ორივენი კი ერთმანეთის მოსისხლე მტრებად წარმოგვიდგებიან. ორივე მიუღებელია და უცხო კაცობრიობისთვის.**

2017 წლის 1 აპრილს ტერორისტებმა ერაყის სამხრეთით, მოსულში უცნობი ჰომოსექსუალი შენობის სახურავიდან გადააგდეს და შემდეგ ჩაქოლეს.

წესი აქვთ ასეთი. რიტუალი სირიის „ხალიფატის“ კანონით დადგენილი, რადგან მამათმავლები „არსებათა შორის უარესებად“ არიან მიჩნეულნი.

განვითარებულ გერმანიაში კი ამ ქვეყნის მოქალაქეთა 80 პროცენტი მხარს უჭერს ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინებისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას, — იტყობინება გაზეთი „დოიჩე ველე“.

„თანაბარი უფლებები — სიყვარულის ყველა ფორმას“ — ასეთია გერმანიის ფედერალური სახელმწიფოს მთავრობასთან არსებული დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის კრედო და ლოზუნგი. სწორედ ამ ცენტრის დავალებით შეისწავლეს სოციოლოგებმა გერმანელების დამოკიდებულების საკითხი არატრადიციული სექსუალური ურთიერთობებისადმი.

მოიცალეს!

მოიცალეს და აღშფოთდნენ, რადგან თურმე „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სამუშაოზე, სკოლებში ჯერ კიდევ შეინიშნება (ცვედნების) შეურაცხყოფის შემთხვევები“.

შეწუხდა ფრიად ამ სიტყვების განმცხადებელი, აღნიშნული ცენტრის დირექტორი **ქრისტინე ლუდერსი.**

შეწუხდებოდა, რადგან ამისთვის უხდიან ფულს.

უბედურება ისაა, რომ ამავე აზრზე დგას სოციოლოგების მიერ გამოკითხული გერმანელების 80 პროცენტი. ისინი მიიჩნევენ, რომ მათ ქვეყანაში გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები უწინდებურად დისკრიმინაციის წნეხის ქვეშ იმყოფებიან. აღნიშნული კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ გამოკითხულთა 95 პროცენტი თვლის, რომ მათ (მამათმავლების და ა.შ.) დასაცავად დადგენილი სამართლებრივი ღონისძიებები ყოველმხრივ გამართლებულია.

სწორიაო.

მაგრამ საოცარი, იცით, რა არის? ის, რომ სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა მხოლოდ 46 პროცენტი გრძნობს პირადად მათ მიმართ აკვიატებულ დამოკიდებულებას: არავითარი წნეხი, არავითარი დისკრიმინაცია.

ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის ევროკავშირის სააგენტო მიიჩნევს, რომ ლგბტ თემის მიმართ გერმანელი საზოგადოების ტოლერანტულობა აშკარად გაიზარდა.

**მაგალითად, თუ 2006 წელს გერმანელების ორი მესამედი მხარს უჭერდა კლასიკურ ქორწინებას და არა ე.წ. დარეგისტრირებულ კავშირს კაცისა კაცთან და ქალისა ქალთან, ამჟამად ერთნაირსქესიანთა ქორწინების მომხრეთა რიცხვი 82 პროცენტამდე გაიზარდა. ამასთანავე, გამოკითხულთა სამი მეოთხედი თვლის, რომ ერთნაირსქესიანი „მეუღლეები“ შვილად აყვანის საქმეში იმავე უფლებით უნდა სარგებლობდნენ, როგორიც მინიჭებული აქვთ ნორმალურ ოჯახებს.**

უფრო მეტიც: ორი მესამედის აზრით, ერთნაირსქესიან „ცოლ-ქმარს“ ისეთივე სახელმწიფო დახმარება უნდა მისცენ ხელოვნური განაყოფიერების შემთხვევებში, როგორიც ნორმალურ ცოლ-ქმარს ბავშვის ბუნებრივად ჩასახვის დროს ეძლევა.

ინფორმაციას, რომელიც მოგაწოდეთ, შეიძლება გერმანიაში მოსახლეობის მიერ არატრადიციული ურთიერთობებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების დადასტურება უწოდოთ ან პირიქით — სულიერების წარყვნის შედეგი.

და გათახსირება.

კიდევ კარგი, რომ იმავე გერმანიაში ყველას არ მოსწონს, როცა ქუჩაში ორი მამაკაცი ერთმანეთს ტუჩებში კოცნის.

„კუჭის წვენის ამოღებამდე“.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის დირექტორ ქალბატონს კი (რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ), შექმნილი ვითარება არა მხოლოდ მოსწონს და აკმაყოფილებს, არამედ გერმანელი პოლიტიკოსების გაკრიტიკების უფლებასაც აძლევს: „ქორწინების ყველა ფორმის უფლებათა გათანაბრების მხარდაჭერა არასოდეს ყოფილა ისეთი მაღალი, როგორიც დღეს არის. ეს გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრიობა ბევრად უფრო შორს წავიდა, ვიდრე პოლიტიკოსები“, — ენამწარობს **ფრაუ ლუდერსი** და სამწუხარო ფაქტად მიიჩნევს, რომ გერმანია ამ „საქმეში“ მნიშვნელოვნად ჩამორჩა ევროპის 14 სხვა ქვეყანას. სტატისტიკაც მის მხარესაა: გამოკითხულთა 20 პროცენტზე ნაკლები ჰომოსექსუალობას ბუნების საწინააღმდეგო მოვლენას უწოდებს, ამორალობად კი მხოლოდ 9 პროცენტი მიიჩნევს.

მაგრამ არც ისე ცალსახაა მოქალაქეთა დამოკიდებულება პედერასტიისადმი, როგორადაც სტატისტიკა წარმოგვიდგენს: ერთია ანონიმური მამათმავლებისა და ლესბოსელების უფლებათა თეორიულ დონეზე მხარდაჭერა და სულ სხვაა რეალობაში მათი ხილვა და შეგუება ამგვარ უზნეობასთან.

იმავე გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რომ რესპონდენტთა ერთ მეოთხედზე მეტი (27,5 პროცენტი) თავს უხერხულად და შეურაცხყოფილად გრძნობს, როცა ყველას თვალწინ ორი დედაკაცი სასიყვარულო თამაშით არის გართული, ხოლო მამაკაცების ეროტომანიაზე 38,4 პროცენტს გული ერევა.

ყოველ მეათე გამოკითხულს არ მოსწონს ქალი და კაცი ერთმანეთს საჯაროდ რომ ეხუტება.

გერმანელთა ამბივალენტოვნება სიყვარულის არატრადიციული ფორმების მიმართ კიდევ უფრო ძლიერად ვლინდება, როცა ეს თემა მათ პირად ცხოვრებას ეხება.

მარტივად ავხსნათ ეს ვითარება: თუ მავანის სამუშაო ადგილზე არიან გეები და ლესბოსელები, ეს არ აღელვებს გამოკითხულთა თითქმის 90 პროცენტს.

მაგრამ სულ სხვა ვითარება ყალიბდება მაშინ, როცა საქმე ეხება საბავშვო ბაღში შვილის აღმზრდელ ლესბოსელს ან მამათმავალს.

თუ გაირკვევა, რომ საკუთარი ნაშიერი ლესბოსელია ან გეი, მაშინ გერმანელთა 40 პროცენტს უარყოფითი ემოციები უჩნდება. მაგრამ ასეთი პასუხის გამცემთაგან ბევრს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, რომ მათ შვილებს სკოლებში ასწავლიდნენ ტოლერანტულ დამოკიდებულებას ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ. ერთ-ერთი მიზანი სასკოლო განათლებისა სწორედ ეს უნდა იყოს, მიიჩნევს გამოკითხულთა 89,6 პროცენტი.

რა მოგახსენოთ!

მით უფრო, რომ ასეთი პოზიცია აღმოცენებულია იმ ფონზე, როცა, სამი მეოთხედის განცხადებით, სიყვარულზე ლაპარაკისას მასწავლებლებმა ეს თემა არ უნდა დაიყვანონ ქალისა და კაცის სიყვარულის დონემდე, რადგან დღეს სასიყვარულო პალიტრა არატრადიციული ურთიერთობების წყალობით „განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია“.

**P.S. ჩვენ აქ მორალსა და სიყვარულის სიწმინდეზე ვლაპარაკობთ, აშშ-ში კი ორმა სასამართლო ინსტანციამ დაადგინა, რომ ტეხასის შტატმა 585 470 დოლარი უნდა გადაუხადოს მარკ ფარისსა და მის ქმარს — ვიკ ჰოლმსს (ორივე ბიოლოგიური მამაკაცია) და კლეოპატრა დელეონსა და მის ცოლს — ნიკოლ დიმეტმანს (ორივე ბიოლოგიური ქალია), იმის გამო, რომ რამდენიმე წლის წინათ შტატის მთავრობა შეეცადა, აეკრძალა ერთნაირსქესიანთა ქორწინება შტატის ტერიტორიაზე.**

**გეიწყვილებმა სარჩელი შეიტანეს სასამართლოში და, როგორც ჩანს, გაიმარჯვეს.**

**აღნიშნულ თანხას და კიდევ 20 202 დოლარს გაღებული სასამართლო ხარჯების დასაფარად შტატის ბიუჯეტი გაიღებს.**

**შტატის მთავარი პროკურორის წარმომადგენელმა კენ პაკსტონმა, რომელსაც ეს საქმე მიჰყავდა, როგორც ბრალდების მხარეს, განაცხადა, რომ პროკურორი „გულგატეხილია სასამართლოს გადაწყვეტილებით“.**

**ამის პარალელურად ირანში, ისფაჰანის პროვინციაში, პოლიციამ დააკავა 30 „ელგებეტელი“, რომლებიც კერძო წვეულებაზე დროს სატარებლად სხვებთან ერთად შეიკრიბნენ. ციხეში აღმოჩნდნენ 16-დან 30 წლამდე ასაკის მამაკაცები. დაკავებულებს შორის არიან არა მარტო გეები, არამედ ჰეტეროსექსუალებიც.**

**ირანში არატრადიციული სექსის მიმდევრებს უმკაცრესი სასჯელი ემუქრებათ, მათ შორის, სასიკვდილო განაჩენიც.**

**ორივე ეს უკიდურესად განსხვავებული ფაქტი, ორიოდ კვირის წინათ დაფიქსირებული, წარმოგვიდგა, როგორც ერთი მედლის (პრობლემის) ორი მხარე.**

**ერთნაირად მიუღებელი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის.**

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 234-32-95, ან მოგვწერეთ: gazeti@inbox.ru

# ასოციაცია «კულტურათა დიალოგი XXI» — მიზნები, პერსპექტივა




**ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“, რომლის პრეზიდენტია ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ვალერი ასათიანი, 2013 წელს შეიქმნა და არსებობის განმავლობაში, მისი ძალისხმევით, მრავალი მნიშვნელოვანი პროექტიც განხორციელდა — გამოიცა წიგნები, მუსიკალური ალბომები, დაიდგა ძეგლები, გაიმართა მხატვართა გამოფენები, სიმპოზიუმები, კონცერტები, იუბილეები და ა.შ.**




„თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში უმნიშვნელოვანესია ეროვნული თვითმყოფადობის, იდენტობის შენარჩუნება. წინსვლა წარმოუდგენელია სხვა ხალხთა კულტურებთან ურთიერთობის, თანამედროვე მიღწევების შეთვისების გარეშე. შემოქმედებითი კონტაქტები მაჩვენებელია იმ კულტურული სამყაროსი, რომელთან კავშირსა და ურთიერთობაში იმყოფებოდა და იმყოფება ესა თუ ის ხალხი, ერთმანეთს უზიარებდნენ კულტურულ ღირებულებებს. ასეთი ურთიერთობა ხალხთა შორის ყოფილა და მუდამ იქნება. ცივილიზაციის ისტორიამ არ იცის მაგალითი აბსოლუტურად იზოლირებული კულტურული განვითარებისა. ამა თუ იმ ხალხის კულტურა მდიდრდებოდა და გამდიდრდება სხვა ხალხთა კულტურული მიღწევებით“, — ამბობს ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს პრეზიდენტი **ვალერი ასათიანი.**

ასოციაციის მიზანია ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს პოპულარიზაციას თანამედროვე მსოფლიოში, საერთაშორისო კონტაქტების განმტკიცებას, ნიჭიერი ახალგაზრდობის წარმოჩენასა და მხარდაჭერას, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე მიღწევების საყოველთაო გავრცელებას, სხვა ხალხთა კულტურებთან დაახლოებასა და მათი მიღწევების ჩვენებას საქართველოში, შემოქმედებითი ინოვაციების მხარდაჭერასა და სხვ.

ასოციაცია აერთიანებს კულტურის, მეცნიერებისა და განათლების სფეროების სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს — ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს.

ასოციაცია აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, კერძო სექტორთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, უცხოელ კოლეგებთან, პარტნიორებთან.

ცხადია, ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს მნიშვნელოვანი, მრავალფეროვანი, მრავლისმომცველი სამომავლო გეგმები აქვს, მათ შორის, კულტურულ — სამეცნიერო — საგანმანათლებლო ფორუმების, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების გამართვა, წიგნების, ალბომების გამოცემა, შეხვედრების ორგანიზება მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, კულტურულ-საგანმანათლებლო ტურისტული პროგრამების, უცხოეთში ქართული კულტურის დღეების (სეზონების) ორგანიზება და სხვა.

ამჯერად, **ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ 15 მაისს, 18 საათზე გიწვევთ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში კონცერტზე სახელწოდებით „ახალი ქართული საოპერო ხმები“.** კონცერტში მონაწილეობენ გამოჩენილი ქართველი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ **თეიმურაზ გუგუშვილის** სტუდენტები და მოსწავლეები: **ეკატერინე ანტიპოვა-ჩხეიძე, ნათია ბეჟაშვილი, ბაია საგანელიძე, ანა სალარიძე, მარიშა შახდინაროვა, ნუცა ციმაკურიძე, ანა ხარაიძე, ანანო ხერხეულიძე, აკაკი გუგუშვილი, ლექსო კაპანაძე, გიორგი მჭედლიშვილი, ვალერიან მჭედლიძე, ნიკოლოზ ნატროშვილი, გიორგი ჭელიძე,** კონცერტმაისტერები — **ლელა უსეინაშვილი** და **მარინე ადამაშვილი.** კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია — აჟღერდება ქართველი, რუსი და დასავლეთევროპელი კომპოზიტორების ნაწარმოებები. სწორედ ამ კონცერტზე შედგება ვანო სარაჯიშვილის სახელობის ახალგაზრდა ვოკალისტთა კონკურსის პრეზენტაციაც, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის მხარდაჭერით ჩაატარებს ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ და ვანო სარაჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ფონდი (პრეზიდენტი თეიმურაზ გუგუშვილი).

**ზურაბ ოიკაშვილი**

BBC:

# ტერეზა მეიმ ევროკავშირი დიდ ბრიტანეთში არჩევნებზე გავლენის მოხდენის მცდელობაში დაადანაშაულა



**დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ევროკავშირი ცდილობს, გავლენა მოახდინოს გაერთიანებულ სამეფოში ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებზე.**

„დიდი ბრიტანეთის პოზიცია კონტინენტური პრესის მიერ დამახინჯებულად არის წარმოდგენილი. მოლაპარაკებისას ევროკომისიის პოზიცია გამკაცრდა. ევროპელი პოლიტიკოსებისა და ოფიციალური პირების მხრიდან ისმის მუქარა“, — ამბობს მეი.

მისი აზრით, ეს ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რათა გავლენა მოახდინონ 8 ივნისის საყოველთაო არჩევნებზე.

**„ბოლო დღეების მოვლენები გვიჩვენებს, რომ, იმის მიუხედავად, როგორიც გინდა იყოს ჩვენი მისწრაფება ან რაგინდ გონიერი იყოს სხვა ევროპელი ლიდერების პოზიციები, ბრიუსელში არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ, მოლაპარაკება (ბრექსიტის შესახებ) წარმატებით დამთავრდეს“,** — თქვა პრემიერმა.

უფრო ადრე კი მეიმ განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის ოპონენტები ეძებენ მიზეზებსა და საშუალებას, ჩააგდონ მოლაპარაკება ბრექსიტის თაობაზე.

# გიორგი სიჭინავა — 75



ჩვენს მეგობარს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ „აიას“ უცვლელ რედაქტორს, რომანების — „გვირილების მინდორი“, „უთვისტომო“, ისტორიული რომან „უტუ მიქას“ ოთხტომეულის, ზანურენოვანი ლექსებისა და მოთხრობების კრებულ „ნანაგეს“, ლექსების კრებულ „ჩემი კუნძულის“ ავტორს, ბატონ გიორგი სიჭინავას ვულოცავთ დაბადების 75 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს, სამშობლოს კეთილდღეობას, რომელიც ასე სტკივა მას.

ალექსანდრე ჭაჭია, ტარიელ გაგნიძე,
ირაკლი თოდუა, როლანდ ჯალაღანია,
ზურაბ კვარაცხელია, ზაურ გახარია,
ვიქტორ ცაავა, თენგიზ კუზლაშვილი


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


# Reuters: ამერიკელების მიყურადება გრძელდება



**აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტომ შარშან 151 მილიონი ამერიკელის კერძო საუბარი ჩაიწერა, მიუხედავად იმისა, რომ კონგრესმა 2015 წელს მიღებული „აშშ-ის თავისუფლების აქტით“ სპეცსამსახურებს შეუზღუდა მიყურადების უფლება.**

ამ აქტის მიხედვით, მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება, გადაწყვიტოს, ნება დართოს თუ არა სპეცსამსახურებს, შეაგროვოს ტერორიზმში ეჭვმიტანილი ადამიანის შესახებ ინფორმაცია ფარული მიყურადებით.

ეს ფაქტი აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა **დენიელ კოუტსმა** თავის მოხსენებაშიგაასაჯაროვა. საინტერესოა, რომ უცხოეთის დაზვერვებზე ზედამხედველობის სასამართლომ 2016 წელს სააგენტოს ნება დართო, ტერორიზმში ეჭვმიტანილი მხოლოდ 42 ადამიანისთვის ფარულად ეთვალთვალა.

ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894